საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 იანვარი ოთხშაბათი 2012
№013 (13619) ფასი 80 თეთრი




7



2

# ხოჯავამ ვოლგიდან ლიახვში შეცურა

გორელებმა დაგვაჯერეს




12

დღეს ფინალისტები გაირკვევა



2

# ესპანიოლეე

დინამომ ესპანეთში მეორედ ითამაშა და 2:0

# ნაკრების ციფრული ანალიზი



5

## ქართული ფეხბურთი

სამზადისი. დინამო



# დინამოს მეორე მეორე ესპანიოლი იყო

**დინამო-ესპანიოლი B 2:0**

1:0 რობერტინიო (29), 2:0 ჩისკო (62).

დინამო პირველ ტაიმში: **ლორია - ოდიკაძე, ჰომოლა, კვეკვესკირი, ხმალაძე - ალვარო, გერაუ, ძარია - რობერტინიო, იაგუე, კოშკაძე**

მეორე ტაიმში: **ზარქუა - თომაშვილი, ჰომოლა (80. ჩივაძე), კვეკვესკირი (85. ჯილაური), ლომიძე - ჩისკო, გერაუ (75. პაპავა), კოშკაძე (85. კახელიშვილი) - კოტო, მერებაშვილი, გურული**

ესპანიოლი: **დინუ, აროიო, ექტორი, ზოუ, გაბი, კ. გომესი, ალფონსო, მირავენტი, ფორტეტი, ისმაელ ტრაორე, ლუკასი**

ესპანურ შეკრებაზე თბილისის "დინამომ" მეორე შეხვედრა "ესპანიოლის" დუბლიორებითა და 19-წლამდელებით დაკომპლექტებულ გუნდთან გამართა, ბარსელონელთა ძირითადი გუნდი კი გუშინვე ესპანეთის თასის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში "მირანდესს" ხვდებოდა.

მატჩი, რომელიც "ესპანიოლის" ბაზაზე გაიმართა, თავიდან თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. "დინამოს" ვებგვერდის ცნობით, მე-10 წუთზე **ირაკლი ძარიამ** სცადა მეტოქის კარის აღება, მე-13 და 25-ე წუთებზე - **რობერტინიომ**, მაგრამ სამივე მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

"დინამომ" ანგარიში 29-ე წუთზე გახსნა: **იაგუეს** პასის შემდეგ რობერტინიომ მეკარეს შორეულ კუთხეში დაურტყა, ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ კი ბადეში აღმოჩნდა.

პირველი ნახევრის ბოლო წუთებზე "ესპანიოლმა" სახიფათო შეტევა განახორციელა, კარში **ფორტეტი** ურტყამდა, მაგრამ ააცილა.

"დინამომ" ანგარიში 62-ე წუთზე გაზარდა: საჯარიმოში **ჩისკომ** მახვილი კუთხიდან ზუსტად დაარტყა.

ბოლო წუთებზე "დინამომ" კონტრშეტევებზე ითამაშა - ტერიტორიული უპირატესობა ესპანელებისა კი იყო, მაგრამ მათ სახიფათო მომენტები ვერ შექმნეს და საბოლოოდ "დინამომ" 2:0 გაიმარჯვა.

■ ■ ■

მატჩის შემდეგ დინამოს ვებგვერდზე ჩისკოს კომენტარი გამოქვეყნდა:

- ვფიქრობ, თამაშით კარგი შთაბეჭდილება დავტოვეთ, თანაც, უკეთ შეთამაშებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით. დავიმატეთ კარგი ფეხბურთელები, რომლებიც გუნდს მალე შეენყობიან და გაგვაძლიერებენ.

ჩვენი დღევანდელი მეტოქის მწვრთნელები იმ ფეხბურთელებს აკვირდებოდნენ, რომლებიც პირველ გუნდში მოხვედრას ცდილობენ. შეკრებაზე თავს კომფორტულად ვგრძნობთ. ჩვენი მიზანია, ჩემპიონატის განახლებას ოპტიმალურ ფორმაში შევხვდეთ.

# შოთა კაშიას სტიმული და ამბიცია გორშიც მიჰყვება



შოთა კაშია

თბილისის "დინამომ" **შოთა კაშია** გორის "დილაში" იჯარით გაუშვა. "დინამოსა" და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ტრავმებმა გააწვალა, თბილისელთა მთავარი მწვრთნელი **ალექს გარსიაც** დიდად არ ენდობოდა და სათამაშო ფორმის აღსადგენად იძულებული გახდა, "დინამოდან" დროებით წასვლას დასთანხმებოდა.

*"იჯარა მაისამდე გაფორმდა. უთამაშებლად გაჩერებას აზრი არ ჰქონდა, ფეხბურთელი სკამზე ჯდომით ვერც გაიზარდება და ვერც გამოჩნდება. სამწუხაროდ, ბოლო დროს "დინამოში" თამაში აღარ მიწევდა, ასე რომ, "დილაში" წასვლა მიჯობდა და ეს გარსიამაც მირჩია"* – ამბობს კაშია.

27 წლის ფეხბურთელის კარიერა ტრავმებმა არია: *"ზედიზედ ორჯერ გავიკეთე მენისკის ოპერაცია, ამის შემდეგ კი ფორმის აღდგენა ძნელი გამოდგა, ორი სეზონი ჩამივარდა და ამან ძალიან უკან დამწია. ამბობენ, ტრავმის შემდეგ ბევრ ფეხბურთელს შიში უჩნდება და ორთაბრძოლებს ერიდებაო. ჩემს შემთხვევაში ასე არ არის, არანაირი შიში არ დამჩემებია".*

საქართველოში ყოველთვის ასე იყო: ყველაზე ტიტულიანი ქართული კლუბიდან, თბილისის "დინამოდან" თუნდაც ამბიციურ, მაგრამ ნაკლებად სახელიან კლუბში გადასვლის შემდეგ ბევრ ფეხბურთელს სპორტული მოტივაცია გაუქრა. შოთა გვეთანხმება, რომ ასე მართლაც მომხდარა.

*"... მაგრამ მე სტიმულის ნაკლებობას არ ვუჩივი. ყველაზე რთული ეს იყო: "დინამოში" ბავშვობიდან ვირიცხები, 27 წლის ვარ, აქედან 12 წელი ამ გუნდში ვთამაშობდი და უცებ ყველაფერი შეიცვალა, ტრავმამ დამამუხრუჭა, რასაც ძალიან განვიცდიდი. რა თქმა უნდა, გაიჯარებაც ძალიან განვიცადე. მაგრამ რას ვიზამ, დაკარგულის დაბრუნებაზე უნდა ვიფიქრო. თან ახლა ის დრო აღარ არის, როდესაც მხოლოდ თბილისის "დინამოში" თამაში იყო სტიმული. ჩემი ახალი გუნდიც ამბიციურია და აქ მოხვედრაზე ბევრი მოთამაშე ფიქრობს. "დილა" თასის ნახევარფინალშია და ვეცდებით, ფინალშიც გავიდეთ, თასი მოვიგოთ და საუკეთესო რვა გუნდშიც მოვხვდეთ. გორში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა იკრიბება და, ჩემი აზრით, ამ მიზნების შესრულება შესაძლებელია"* – გვითხრა კაშიამ.

დილა

# დილა ჯ[illegible]... გორელებმა [illegible]: ხოჯავათ დააჯერეს

**გიორგი ილურიძემ** მახაჩყალის "ანჟი" დატოვა და საქართველოში დაბრუნდა. 19 წლის თავდამსხმელი რუსულ კლუბში 2010 წლიდან ირიცხება, იყო საქართველოს 17, 19-წლამდელ და ახალგაზრდულ ნაკრებთა კანდიდატი. გიორგიმ რუსეთის პრემიერლიგაში 5 შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ "ანჟიში" **სულეიმან კერიმოვის** მისვლის შემდეგ მხოლოდ დუბლებში გამოდიოდა.

შესაძლოა, ილურიძემ თამაში გორის "დილაში" გააგრძელოს. შევიტყვეთ, რომ იგი გუნდს უკვე შეუერთდა, მაგრამ ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებია.

გორში დაიწყებს სეზონისთვის მზადებას საქართველოს ნაკრებში ნათამაშები, მაგრამ ტრავმებისგან გაწვალებული **რევაზ ბარაბაძეც**. 23 წლის ფეხბურთელს ტრავმების გამო 2008 წლის შემდეგ თითქმის არ უთამაშია. შარშან რუსთავის "მეტალურგში" ჩაირიცხა და, როგორც იქნა, მოედანზე გასვლა ელირსა, მაგრამ ტრავმა კვლავ გაუმიზეზდა.

ახლა კი მთავარი ამბავი: "დილაში" ითამაშებს ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" 26 წლის შემტევი ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა**. ეს ყველაფერი გორელთა მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** დაგვიდასტურა.

*"ბარაბაძე, ილურიძე და ხოჯავა მართლაც ვარჯიშობენ ჩვენთან. მართალია, ხოჯავას კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ დღეს ჩვენებთან ერთად იძუნძულა და საგაზაფხულო ეტაპზე "დილაში" ითამაშებს"* – გვითხრა მახარაძემ.

შესაძლოა ისიც, რომ გუნდში მალე **კახა ალადაშვილიც** გამოჩნდეს, თუ "ზესტაფონი" მის გაშვებას დასთანხმდება. კახას კონტრაქტი ექვს თვეში უმთავრდება და წასვლა სურს. გავრცელდა ხმები, რომ 27 წლის მცველს თბილისის "დინამოში" გასინჯავდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ლაპარაკი ლაპარაკადვე დარჩა. თავად ალადაშვილი ამ თემაზე კომენტარს თავს არიდებს, თუმცა ფაქტია, რომ "ზესტაფონში" აღარ ვარჯიშობს. მახარაძემ ალადაშვილისადმი ინტერესიც დაადასტურა, მაგრამ, იმერულ კლუბთან ეს საკითხი ჯერაც შესათანხმებელიაო, თქვა.

რაც შეეხება **ლაშა სალუქვაძეს**, მას "ვოლგასთან" სასამართლო დავა აქვს და საკითხის გადაწყვეტამდე კონტრაქტს ვერ გააფორმებს. თანაც, მას სხვა რუსულ კლუბშიც იწვევენ. ამას გარდა, ლაპარაკია კიდევ ერთი ვოლგელის, **ზურაბ არზიანის** დამატებაზეც.

გორის "დილა" "ამერის" სტადიონზე დღეს მორიგ საკონტროლო შეხვედრას "გაგრასთან" გამართავს.

## გოჩა ხოჯავა
# ჯერ დილა, მერე ალანია



გოჩა ხოჯავა

**გორის "დილა" ისეთ მადაზე მოვიდა, რუსულ პრემიერლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული შემტევი ნახევარმცველი გოჩა ხოჯავა დაიმატა. ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი განმარტავს, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება.**

**- სიმართლე გითხრა, თავიდან ვერც ვიჯერებდი, რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი "დილაში" თამაშს თუ დაჰყაბულდებოდი.**

- ეს ყველაფერი "ვოლგას" "დამსახურებაა". გუნდმა მე, გოგუას და სალუქვაძეს კონტრაქტის გაწყვეტა შემოგვთავაზა, დეკემბერში დავალიანებას გაგისტუმრებთ და თავისუფალი აგენტები გახდებითო. გავიკვირვე, ტრავმირებული ვარ და ასეთ მდგომარეობაში ვინ ამიყვანს, თუ ასე გსურთ, მკურნალობის ხარჯი გადაიხადეთ, გუნდში ფორმის აღდგენის საშუალება მომეცით და მერე ჩემს გზას ვიპოვი-მეთქი. ჯერ დამთანხმდნენ, მაგრამ მერე დავალიანება მაინც არ გამისტუმრეს და მივხვდი, მათთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა.

საბოლოოდ, თავისუფალი აგენტი გავხდი და სწორედ ამ დროს გამოჩნდა "დილა", თანაც, მალე ამ კლუბის გენერალური დირექტორი ჩემი მენეჯერი მამუკა ჯულელი გახდება. მამუკამ მთხოვა, ექვსი თვით მოგვეხმარე, "დილა" ევროპის ლიგაზე გავიყვანოთო. სიამოვნებით, საქართველო მომენატრა და რატომაც არა, ვითამაშებ.

**- რუსეთში შემოთავაზება არ გქონია?**

- არაერთი კლუბი მიწვევდა, მოსკოვის "დინამო", "ტერეკი", "ამკარი", "ალანია"... მოლაპარაკებების შემდეგ შევთანხმდით, რომ ევროპის ლიგის მატჩები დასრულდება თუ არა, "ალანიაში" ვითამაშებ.

**- თბილისის "დინამო" არ გიწვევდა?**

- ამაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ იმ დროს "ვოლგასთან" ურთიერთობა გარკვეული არ მქონდა და რუსეთიდან წამოსვლაზეც არ ვფიქრობდი. ვითარება მერე შეიცვალა, როდესაც ვერ შევთანხმდით და "დილაში" თამაში შემომთავაზეს.

**- შენთან ერთად "დილაში" სალუქვაძესაც ვიხილავთ?**

- ლაშაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ დიდი შანსია, „დილაში" ზურაბ არზიანმა ითამაშოს.

**- ტრავმა აღარ გაწუხებს?**

- მოვმჯობინდი და დღეს "დილასთან" ერთად ვივარჯიშე. ხუთი თვეა, არ მივარჯიშია, მაგრამ ანთალიაში მოვემზადები და სეზონის დაწყებამდე ფორმას აღვიდგენ.

**- კონტრაქტს როდის გააფორმებ?**

- პირობებზე დავილაპარაკებთ და კონტრაქტს თურქეთში გავაფორმებთ.

**- ზუსტი პასუხი არავის უთქვამს, "ვოლგამ" ქართველების მიმართ დამოკიდებულება რატომ შეიცვალა?**

- ეს ყველაფერი დმიტრი ჩერიშევის "კაიკაცობის" ბრალია. იმიტომ კი არ აგვითვალწუნა, რომ ვერ ვთამაშობდით, არამედ იმიტომ, რომ თავისი ფეხბურთელები მოეყვანა, თორემ რუსეთში ვერავინ იტყვის, რომ გოგუა, სალუქვაძე და ხოჯავა პრემიერლიგაში თამაშს არ იმსახურებდნენო.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტ ჯორჯია | სამზადისი

# ვეტერინარებმა სტუ ამეცადინეს

გუშინ "ვიტ ჯორჯიამ" მოსამზადებელი ეტაპის პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. **ზურაბ ბერიძის** გუნდმა "მცხეთა პარკზე" სტუ-ს უმასპინძლა და 5:2 დაამარცხა.

პირველი ტაიმი "ვიტ ჯორჯიამ" **ბესიკ ჩიმაკაძის** დუბლით 2:0 მოიგო. მეორე ნახევარში თავი **ნიკა ჯოლოხავამ** და **შოთა დავლაშელიძემ** გამოიჩინეს, რასაც სტუდენტებმა ორი გოლით უპასუხეს. ანგარიშს საბოლოო სახე **გიორგი ვაშაკიძის** მიერ 87-ე წუთზე გატანილმა გოლმა მისცა.

"ვიტ ჯორჯია" პირველ ტაიმში: **ძაძამია, ხურცილავა, გოგიაშვილი, ადამაძე, ღანიაშვილი, ვასაძე, კასრაძე, ჯაყელი, ზაქრაძე, კორიფაძე, ჩიმაკაძე.**

მეორე ტაიმში: **რეჭია, გეთიაშვილი, კალანდია, ზაქრაძე, ჯავაშვილი, დავლაშელიძე, ჭრელაშვილი, ვაშაკიძე, ჯულელი, ჯოლოხავა, კუხალეიშვილი.**

19 იანვარს "ვიტ ჯორჯია" "ზოოვეტს" უმასპინძლებს, 21 იანვრიდან კი "ბენდელას თასის" გათამაშებაში ჩაერთვება, სადაც მისი პირველი მეტოქეები გორის "დილა" და სოხუმის "აეტი" იქნებიან. ეს შეხვედრებიც მცხეთაში ჩატარდება.

ამის შემდეგ ვეტერინარები თურქულ შეკრებაზე გაემგზავრებიან, სადაც სამ საკონტროლო მატჩს გამართავენ. იქაური მეტოქეების ვინაობა ჯერ არ დადგენილა, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ერთ-ერთი სავარაუდო სპარინგ-პარტნიორი სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" დუბლშემადგენლობაა.


ნიკა დაუშვილი

■ ■ ■

გუშინ "ვიტ ჯორჯიამ" სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა 22 წლის მეკარე **ნიკა დაუშვილს.** მისი დამატება ვეტერინარებს გასულ ზაფხულსაც სურდათ, მაგრამ მაშინ "სპარტაკმა" დაუშვილის დათმობა არ ისურვა, ამჯერად კი კლუბებმა შეთანხმებას დაუბრკოლებლად მიაღწიეს.

198 სანტიმეტრი სიმაღლის დაუშვილი თბილისის "ოლიმპიკის" აღზრდილია. მიმდინარე ჩემპიონატში იგი მუდმივად ხვდებოდა "სპარტაკის" 18-კაციან განაცხადში, თუმცა თამაშმა არ მოუწია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კოლხეთი

# მატება რუსეთიდან და ბელარუსიდან

ფოთის "კოლხეთში" ახალი ფეხბურთელები ვარჯიშობენ. ინფორმაცია მენეჯერმა **ჯანო ხონელიძემ** მოგვაწოდა.

*"მოსკოვის "დინამოს" ასაკობრივ გუნდში 17 წლის თავდამსხმელი დავით ხუბუტია თამაშობდა. მისით დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ ტანმაღალიც არის და შედეგიანიც, ახლახან მოსკოვის "სპარტაკის" ასაკობრივ გუნდთან ითამაშა და დუბლი შეასრულა. მაგრამ ლეგიონერებზე ლიმიტის გამკაცრების შემდეგ რუსეთის მოქალაქეობის არმქონე მოთამაშეებს, ვისაც 18 წელი არ შესრულებია, შესაძლოა, პრობლემები შეექმნათ. არადა, "დინამოს" მწვრთნელს უნდა, რომ ხუბუტიამ ითამაშოს. ამიტომაც დათანხმდა დათოს "კოლხეთში" გამოშვებაზე"* – გვითხრა ხონელიძემ.

მანვე გვაცნობა, რომ "კოლხეთში" ბრესტის "დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი **ზაზა ჭელიძეც** ვარჯიშობს: *"დიდი ხანია, ზაზას ბელარუსიდან წამოსვლა სურდა, რადგან "დინამოს" ფინანსური პრობლემები აქვს და ხელფას-პრემიებს დროულად ველარ იხდიან. როგორც იქნა, ბრესტელები კონტრაქტის გაწყვეტაზე დავითანხმეთ და ზაზა უკვე ფოთში ვარჯიშობს, თუმცა რუსეთისა და ყაზახეთის კლუბების წინადადებებსაც ელის".*

**მერაბ მამულაშვილი**

■ ■ ■

ფოთის „კოლხეთი" მოსამზადებელ ეტაპზე პირველ საკონტროლო მატჩს დღეს ითამაშებს – ფაზისელები ქუთაისში „ტორპედოს" ეწვევიან

ადრეც გაუწყეთ, რომ „კოლხეთში" რამდენიმე ახალწვეული მივიდა, თუმცა ჯერ მხოლოდ ერთ ფეხბურთელს შეუთანხმდნენ – ზუგდიდის „ბაიადან" წასული 28 წლის ნახევარმცველი **ლევან წურწუმია** „კოლხეთში" იჯარით ითამაშებს.

ფოთელთა გუნდში მივიდა 27 წლის მარჯვენა მცველი **დაჩი ფოფხაძეც**, თუმცა გადაწყვეტილი არ არის, დარჩება თუ არა იქ.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები


ალექსანდრე იაშვილი

# დუბლი ამხანაგურში

**შოთა არველაძის** "ქაისერისფორმა" თურქულ სუპერლიგაში "გაზიანთეფსფორს" უმასპინძლა და 1:1-ს დასჯერდა. "ქაისერი" 18-გუნდიან ჩემპიონატში მე-10 ადგილზე დარჩა. **ზურაბ ხიზანიშვილს** ტრავმის გამო კვლავ არ უთამაშია.

**ალექსანდრე იაშვილმა** კი დუბლი შეასრულა ამხანაგურ მატჩში – მისმა "კარლსრუემ" თურქულ შეკრებაზე ჩეხურ "მლადა ბოლესლავთან" 3:3 ითამაშა, გერმანელთა ქართველმა კაპიტანმა კი ბოლო წუთზე გატანილი გოლით თავის გუნდს ფრე მოუტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სპარტაკი

# ურეკი, 21

ცხინვალის „სპარტაკმა" მზადების თბილისური ეტაპი დაასრულა და დღეიდან შეკრებას ურეკში განაგრძობს. „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ** იქ 21 ფეხბურთელი წაიყვანა: მეკარეები - **ლაშა ძაგანია, გიორგი ნადირაძე;** მცველები - **ლევან ჭაფოძე, სერგი ორბელაძე, ბადრი ტეტუნაშვილი, დავით ლომაია, ნიკა მაისურაძე, მიხეილ მერეჩკო, უჩა ბურძენაძე, გიორგი გველესიანი;** ნახევარმცველები - **თეიმურაზ შონია, ვალერი კილასონია, ირაკლი სამხარაძე, მიხეილ ჯიშკარიანი, ლაშა ჩაფიძე, გიორგი მამუჩიშვილი, თორნიკე თუხარელი;** თავდამსხმელები - **კონსტანტინე გაბაშვილი, დავით გელაშვილი, ილია ბუზალაძე, თეიმურაზ შარაშენიძე.**

„სპარტაკი" ურეკში სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს: 22 იანვარს - მარტვილის „მერანთან", 24 იანვარს - ფოთის „კოლხეთთან" ან ოზურგეთის „მერცხალთან", 27 იანვარს - ლანჩხუთის „გურიასთან".

გუნდი ურეკში 28 იანვრამდე დარჩება და ამის შემდეგ „სპარტაკის" ძირითადი შემადგენლობა „ბენდელას თასის" გათამაშებაში იასპარეზებს.

**გია ტუხაშვილი**

გურია


ანო ჩასემი

# 12+1 კამერუნელი
## საუმაღლესო შერჩევები

პირველი ლიგის გათამაშების დასრულებამდე 2 ტურით ადრე ლანჩხუთის „გურიამ" უმაღლესი ლიგის პლეი ოფში თამაშის უფლება გაინაღდა. ლანჩხუთელები წლეულს უმაღლესში გადასვლას გეგმავენ და საამისოდ კარგი გუნდის შეკრებაც სურთ. მთავარ მწვრთნელ **გიგლა იმნაძის** განკარგულებაში ამჟამად 28 ფეხბურთელია, რომელთაგან ნახევარზე მეტი ადგილობრივია. კლუბს 13 ახალწვეული ჰყავს, თუმცა რამდენს დაიტოვებენ, ჯერ არ გადაწყვეტილა. აღსანიშნავია „გურიაში" **დავით ბაქრაძის** გამოჩენა — იგი ბოლოს გორის „დილას" ღირსებას იცავდა. სინჯებზე მყოფთაგან (**ანო ჩასემი, მოსიაშვილი, ჩარგეიშვილი, ბაკარანძე, სამსეიშვილი, ხაჩიძე, გედენიძე, საცერაძე, ზურაბ კვარაცხელია, გორგუჩაძე, ჯოხაძე, თორნიკე შალიკაშვილი**) ნაწილს უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს, ანო ჩასემი კი კამერუნელია.

როგორც კლუბის ადმინისტრაციაში გვითხრეს, სინჯებზე მყოფთა ნაწილს დაიტოვებენ და კლუბის გაძლიერებას რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელითაც გეგმავენ. „გურიას" ამ ეტაპზე მეკარის პრობლემა აქვს და რამდენიმე გამოცდილ კიპერთან აწარმოებენ მოლაპარაკებას.

რაც შეეხება ტესტმატჩებს, „გურიამ" ოზურგეთში „მერცხალს" 4:1 მოუგო. 19 იანვარს ლანჩხუთელები გრიგოლეთში ფოთის „კოლხეთს" შეხვდებიან, ხოლო 21-ში ზუგდიდში „ბაიას" ესტუმრებიან.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელი „გურიას" აღორძინების წლად გამოცხადდა და სწორედ ამ ეგიდით იგეგმება კლუბის უმაღლეს ლიგაში გადასვლა და სტადიონის გაკეთება.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

**საფეხბურთო კლუბი "საბურთალო" სამძიმარს უცხადებს ძმებს ქართლოს და კახა ჭუმბურიძეებს დედის, მედორა ლვინეფაძე-ჭუმბურიძის გარდაცვალების გამო.**

ლეგიონი


დავით თარგამაძე


იგორ სურკისი

# რა უნდა სურკისს?

"სოვეტსკი სპორტთან" ინტერვიუში კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** კიდევ ერთხელ ახსენა საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **დავით თარგამაძე.**

ჟურნალისტის კითხვა ასეთი იყო: დეკემბერში თქვით, რომ ნებისმიერს დაენაძლევებოდით, რომ თარგამაძე "პორტუში" არ გადავიდოდა. ვინმეს თუ დაენაძლევეთ?

*"არავინ დამნაძლევებია, თუმცა, როგორც ხედავთ, არ შევმცდარვარ, ამიტომ ამ საკითხის განხილვას აზრი აღარ აქვს. მოთამაშემ საკუთარი გზა აირჩია და კონტრაქტი "შახტართან" გააფორმა. თუმცა ახლა იმის დამტკიცება მოუწევს, რომ "ილიჩიველის" ძირითადში მოხვედრას იმსახურებს. რაც შეეხება "დინამოს", მზად ვარ, გავიმეორო – თარგამაძის მიმართ ინტერესი არ გვქონია"* – თქვა სურკისმა.

კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა ეს ფრაზა იმდენჯერ გაიმეორა, რომ ბუნებრივად იბადება კითხვა, ეს კაცი თარგამაძის არჩევანზე ამდენს რატომ ლაპარაკობს? ვინც არ გაინტერესებს, მასზე დასმულ კითხვას ან აირიდებ, ანაც მოკლედ უპასუხებ.

სანამ სურკისი იძაბება, თარგამაძე მარიუპოლში ჩავიდა და "ილიჩიველთან" ერთად იალტურ შეკრებაზე გაემგზავრა.

**მერაბ მამულაშვილი**

# იქნებ, იქნებ...
## მამუკა ლონლაძეს ლატვიაში დაბრუნება მოუწევს

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ **მამუკა ლონლაძეს** ლუგანსკის "ზარიასთან" შეთანხმებული ტრანსფერი ჩაეშალა. ლატვიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ 26 წლის ქართველი თავდამსხმელით უკრაინის პრემიერლიგის სამი კლუბი დაინტერესდა - კრივოი როგის „კრივბასი", ლუგანსკის „ზარია" და ლვოვის „კარპატი", მამუკას სამივე კონტრაქტს ტესტირების გარეშე სთავაზობდა. დეკემბერში მან „ზარიაში" ივარჯიშა კიდეც და იანვრის დასაწყისში კონტრაქტის გაფორმებასაც ელოდა.

*"ლუგანსკში 9 იანვარს უნდა გავფრენილიყავი, მაგრამ 5-ში მაცნობეს, რომ "ზარიამ" ჩემი აყვანა გადაიფიქრა. არადა, ყველაფერი გადაწყვეტილი მეგონა, დეკემბერში "ზარიას" პრეზიდენტსა და მწვრთნელს ორწლიან კონტრაქტზეც შევუთანხმდი, მუდმივნომრიან მაისურაზეც და ხელი ხელსაც დავარტყით. იცოდნენ, ჩემით სხვა კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულები და მითხრეს, სხვამ მილიონიანი კონტრაქტიც რომ შემოგთავაზოს, უკვე ჩვენი ფეხბურთელი ხარ და იმედია, სიტყვიერ შეთანხმებას არ დაარღვევო. მეც იანვარს ველოდი და საქართველოში დასასვენებლად ჩამოვედი. მერე კი ასე მოხდა და გულდაწყვეტილი ვარ"* – ამბობს ლონლაძე.

მამუკას თქმით, "ზარიას" გამო ძალიან კარგ წინადადებებზე თქვა უარი: *"უკრაინელებთან მოლაპარაკება რომ დაიწყო, მითხრეს, რომ "კარპატი" და "ზარია" პირდაპირ კონტრაქტს მიფორმებდნენ. ამიტომ ყველა სხვა წინადადებაზე უარი ვთქვი. ყაზახებს უარი ისე ვუთხარი, არც დაველაპარაკებივარ და პირობებიც არ მიკითხავს. ასევე მოხდა უნგრული "ვიდეოტონის" შემთხვევაშიც. ყველაზე კარგი შემოთავაზება "დაუგავას" პრეზიდენტ ოლეგ გავრილოვისგან იყო: ლატვიის ჩემპიონატის დასრულების დღეს, 30 ოქტომბერს მითხრა, 4 ნოემბერს ვარშავაში "ლეგია" გელოდება და კონტრაქტს გააფორმებ, ასპროცენტიანი ვარიანტიაო. მაგრამ სიტყვა მქონდა მიცემული და სხვასთან მოლაპარაკება არასწორი იქნებოდა".*

მისით დაინტერესებულები იყვნენ ქუთაისის "ტორპედო" და თბილისის "დინამო". "ზარიასთან" ჩაშლილი კონტრაქტის შემდეგ დაიწერა კიდეც, ლონლაძე "ტორპედოს" უახლოვდებაო, მაგრამ ფეხბურთელი ამბობს, რომ ლატვიაში ბრუნდება: *"პოლონურ კლუბზე უარის შემდეგ "დაუგავას" პრეზიდენტთან ურთიერთობა დამეძაბა, მაგრამ გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა რავილ საბიტოვმა ჩემი ჩასვლა მოითხოვა. ახლა ლატვიის ვიზას ველი და, სავარაუდოდ, დაუგავპილსში 20 იანვარს დავბრუნდები. ძალიან არ მინდა, მაგრამ სხვა რა გზაა, გუნდთან კონტრაქტი მხოლოდ 2012 წლის ბოლოს მიმთავრდება".*

კლუბებთან მოლაპარაკებისას გაუგებრობა იმანაც გამოიწვია, რომ მამუკა უყურადღებოდ მოიქცა, „დაუგავასთან" ერთწლიანი კონტრაქტის ნაცვლად ორწლიანი გააფორმა და ეს ძვირად დაუჯდა – დარჩენილ ერთ წელიწადში მასში ლატვიელები 100 ათას დოლარს ითხოვენ, არადა, შეეძლო თავისუფალი აგენტი გამხდარიყო.


მამუკა ლონლაძე

*"წარმოდგენა არ მაქვს, ეს როგორ მოხდა, მეგონა, კონტრაქტი დეკემბერში მიმთავრდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლატვიურ კლუბს კიდევ ერთი წლით ვეკუთვნი. გულს იმითღა ვიმშვიდებ, რომ "დაუგავა" ევროპის ლიგაზე ითამაშებს და იქნებ, ყურადღება წლეულსაც მომაქციონ. "დაუგავას" პრეზიდენტსაც ადამიანურად დაველაპარაკები და ავუხსნი, რატომ არ წავედი პოლონეთში და იქნებ, გამიგოს"* – გვითხრა ლონლაძემ.

21 გოლით ვირსლიგის ბომბარდირთა დავაში მეორე ლატვიურმა გამოცემა „სპორტცენტრმა" წლის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა, ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ კი სეზონის 22 გამორჩეული მოთამაშის სიაში - საუკეთესო მარჯვენა თავდამსხმელად.

ლონლაძის თქმით, ორიოდე დღის წინ „სპორტცენტრმა" კიდევ ერთხელ გამოარჩია: "სკონტოს" თავდამსხმელ **ნათან ჟუნიორთან** და "ვენტსპილსის" კაპიტან **ოლეგ ლაიზანსთან** ერთად ქართველი თავდამსხმელი ლატვიის სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოხვდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● პირველი ეტაპის შეჯამება. კოლხეთი

# ყველასთვის ანგარიშგასაწევი



კოლხეთმა თბილისში სენსაცია შემოგვთავაზა - დინამოსთან 1:1 ითამაშა

"კოლხეთის" მიზანი თავიდანვე ნათელი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული იყო – უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. სეზონი ფოთელებმა მძლავრად დაიწყეს – რუსთავიდან და ზესტაფონიდან შინ თითო-თითო ქულა წაილეს და არც ამის შემდეგ ყოფილან იოლად დასაძლევები, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში დაიდეს ბინა.

ამის მიუხედავად, "კოლხეთი" მაინც ინარჩუნებს არათუ უმაღლეს ლიგაში დარჩენის, არამედ უმაღლესი ლიგის რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრის შანსს. შავიზღვისპირელებს მიზნის მიღწევის არცთუ ურიგო პერსპექტივა უმაღლესი ლიგის ოთხი უარესი და პირველი ლიგის ოთხი საუკეთესო კლუბისგან შემდგარ გათამაშებაშიც ექნებათ თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ "კოლხეთი" ზე-8-ში მოსახვედრად ბოლო ტურებამდე იბრძოლებს.



სოსო ფილიამ ტრიბუნაზე გადაინაცვლა, მაგრამ მაინც გუნდთანაა

## შანსი არსებობს

"კოლხეთის" სახით საქართველოს ჩემპიონატს ჰყავს მებრძოლი გუნდი, რომელიც იოლად არავის ნებდება. გადახედეთ სტატისტიკას – სეზონის პირველ ნახევარში ფოთელებმა მხოლოდ ორი მატჩი წააგეს დიდი ანგარიშით, სამაგიეროდ, თავადაც საკმაოდ ბევრი მეტოქე გაამწარეს და რამდენიმე სენსაციაც შემოგვთავაზეს.

კოლხებმა ყველაზე შთამბეჭდავად "მეტალურგთან" ითამაშეს, რომელსაც ფოთში 3:1 აჯობეს. ფოთელთა აქტივში უნდა ჩაიწეროს ზემოთ ნახსენები ორი საგარეო ფრე, ასევე თბილისში "დინამოსთან" მიღწეული 1:1 და უშუალო კონკურენტებთან მოპოვებული ქულები.

უიმედოდ "კოლხეთმა" მხოლოდ ორი მატჩი წააგო – შინ "დინამოსთან" 0:3, სტუმრად "ტორპედოსთან" 1:4.

მთავარი მწვრთნელის შეცვლის პროცესი უმტკივნეულოდ განხორციელდა – გამოცდილი **სოსო ფილიას** ადგილი მისმა ყოფილმა თანაშემწე **დავით მახარაძემ** დაიკავა. ამავე პერიოდში მოხდა **გელა სანაიასთან** დაკავშირებული გახმაურებული ამბავი, რომელიც ბევრად უფრო უსიამოვნო და მძიმე რამ იყო, ვიდრე, უბრალოდ, გაუგებრობა.

### მეკარეები

"კოლხეთს" გამოკვეთილი პირველი ნომერი არ ჰყოლია – 27 წლის **ლადო ნადირაშვილი** და 28 წლის **მინდია ბობლიაშვილი** ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და თანაბარი რაოდენობის მატჩებიც მოუგროვდათ. ბობლიაშვილი "სიონს" დაუბრუნდა და, თუ ძლიერი კონკურენტი არ მიუყვანეს, გუნდის ძირითად შემადგენლობაში ნადირაშვილი მყარად დამკვიდრდება

### მცველები

"კოლხეთის" დაცვის უდავო ლიდერი 30 წლის **ალექსანდრე ინწკირველი** იყო, რომელიც გუნდის კაპიტანიც გახლდათ. მის გარდა, ძირითად შემადგენლობაში უმეტესად ხვდებოდნენ 28 წლის **პავლე დათუნაიშვილი**, 31 წლის **ლევან შავგულიძე** და 22 წლის **პაატა ცხვიტარია**.

### ნახევარმცველები

ნახევარდაცვაში შედარებით დიდი კონკურენცია იყო, შუა ხაზისა და გუნდის უდავო ლიდერი კი 20 წლის **ლაშა გვალიაა**, რომელიც ბევრს მიაღწევს, ამ ტემპით თუ გააგრძელა პროგრესირება. "კოლხეთის" ნახევარდაცვაში უმეტესად ვხედავდით 28 წლის **ლაშა ქებაძეს**, 29 წლის **ლევან მდივნიშვილს**, 21 წლის **გიორგი ლემონჯავას**, 26 წლის **ვაჟა ლომაშვილსა** და 23 წლის **გიორგი ცხადაიას**.

### თავდამსხმელები

"კოლხეთის" საუკეთესო ბომბარდირი 23 წლის **დავით ციცხვაიაა**, რომელმაც განსაკუთრებით შედეგიანად ბოლო ტურები ჩაატარა და თავი საინტერესო თავდამსხმელად დაგვამახსოვრა. ხშირად იგი ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის ფუნქციებს ასრულებდა, რასაც მაღალ დონეზე ახერხებდა. ფოთელთა სხვა თავდამსხმელები განსაკუთრებული შედეგიანობით ვერ გამოირჩეოდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**კოლხეთის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | მეტალურგი-კოლხეთი | 0:0 |
| II ტური | ზესტაფონი-კოლხეთი | 1:1 |
| III ტური | ბაია-კოლხეთი | 2:0 |
| IV ტური | კოლხეთი-დილა | 0:1 |
| V ტური | გაგრა-კოლხეთი | 1:2 |
| VI ტური | კოლხეთი-დინამო | 0:3 |
| VII ტური | სპარტაკი-კოლხეთი | 1:1 |
| VIII ტური | კოლხეთი-მერანი | 0:1 |
| IX ტური | ვიტ ჯორჯია-კოლხეთი | 2:1 |
| X ტური | კოლხეთი-სიონი | 2:1 |
| XI ტური | ტორპედო-კოლხეთი | 4:1 |
| XII ტური | კოლხეთი-მეტალურგი | 3:1 |
| XIII ტური | კოლხეთი-ზესტაფონი | 0:2 |
| XIV ტური | კოლხეთი-ბაია | 0:0 |
| XVI ტური | კოლხეთი-გაგრა | 2:3 |
| XVII ტური | დინამო-კოლხეთი | 1:1 |
| XV ტური | დილა-კოლხეთი | 0:0 |
| XVIII ტური | კოლხეთი-სპარტაკი | 1:0 |

მეკარეები: ლადო ნადირაშვილი – 9, მინდია ბობლიაშვილი – 9;

მცველები: ალექსანდრე ინწკირველი – 17 (1), ლევან შავგულიძე – 17, პავლე დათუნაიშვილი – 14 (1), პაატა ცხვიტარია – 12 (3), გიორგი კილასონია – 8, ბორის გელაჭეიშვილი – 2;

ნახევარმცველები: ლაშა ქებაძე – 18 (1), ლაშა გვალია – 17 (1), ლევან მდივნიშვილი – 17, ვაჟა ლომაშვილი – 15, გიორგი ცხადაია – 14, გიორგი ლემონჯავა – 13, ომარ გოგონაია – 11 (1), დავით მეგრელიშვილი – 6 (1), ლევან თედიაშვილი – 3;

თავდამსხმელები: დავით ციცხვაია – 17 (5), მანუჩარ წიქარიშვილი – 12, ზამირ ჯანაშია – 9 (1), ლევან გულუა – 8, ირაკლი მოისწრაფიშვილი – 1.

**მწვრთნელები**

I-XIII ტურები - სოსო ფილია
XIV-XVIII ტურები - დავით მახარაძე



კოლხეთს პირველ ეტაპზე მომთაბარეობა უწევდა

● საკონტროლო მატჩი

# მეზობლური პაექრობა

...ვითომც, არაფერიო და ორი ქვემოქართლური გუნდის გუშინდელ სპარინგ-შეხვედრას ასამდე გულშემატკივარი მაინც ესწრებოდა. თანაც, „მეტალურგი" თუ პირველ საკონტროლო მატჩს ატარებდა, „სიონისთვის" გუშინდელი შეხვედრა მეორე იყო. თუმცა, ბოლნისური გუნდი ამით არ კმაყოფილდება: როგორც კლუბის გენერალურმა დირექტორმა **ნუგზარ ლომთაძემ** გვითხრა, 27 იანვრამდე „სიონი" კიდევ სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს, შემდეგ კი შეკრებაზე ურეკში გაემგზავრება. მოკლედ, ყველა წინა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ჩემპიონატის მეორე ეტაპს „სიონი" აშკარად გაძლიერებული (როგორც სპორტული, ასევე — ფინანსური თვალსაზრისით) შეხვდეს. თანაც, ნუ დაგვავიწყდება მნიშვნელოვანი ფაქტორიც: სწორედ „სიონი" უნდა იყოს ის ერთადერთი გუნდი, პირველი ეტაპის დასკვნით ოთხ ტურში არანაირი მოტივაცია რომ არ ექნება. სამაგიეროდ, ბოლნისური კლუბი ერთობ მომძლავრებული შეხვდება უმაღლეს ლიგაში დასარჩენ პლეი-ოფს და ამის დასტურად „სიონის" ბოლოდროინდელი ტრანსფერებიც გამოდგება: 31 წლის **დავით ბოლქვაძის**, 32 წლის **რევაზ ქემოკლიძის**, 31 წლის **ოლეგ გველესიანის**, 36 წლის **როინ ონიანისა** და 28 წლის **მინდია ბობლიაშვილის** გამოცდილება ქვემოქართლელებს უთუოდ გამოადგებათ. „მეტალურგის" წინაალმდეგ იასპარეზა კიდევ ერთმა პოტენციურმა ახალწვეულმა: 26 წლის თავდამსხმელმა **ზვიად მეტრეველმა.** ალარაფერს ვამბობთ „სიონის"... ძველ-ახალ მწვრთნელზე: **ხვიჩა ქასრაშვილი** ამ სეზონში უკვე მეორედ (საერთოდ კი — მეხუთედ) დაინიშნა ბოლნისური გუნდის თავკაცად...

მეტოქისგან ბევრად განსხვავებული მიზნები აქვს „მეტალურგს" — **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი თასის ნახევარფინალშიც არის გასული და ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტადაც უნდა მივიჩნიოთ. ისიც ფაქტია, რომ რუსთაველების ძირითადი ბირთვი, ფაქტობრივად, არც შეცვლილა და შუახაზში მართლაც ნიჭიერი გამთამაშებლის, 21 წლის **გიორგი თექთურმანიძის** დამატებით გუნდის შეტევითი პოტენციალი საგრძნობლად გაიზრდება. ნურც **სევასტი თოდუას** დავივიწყებთ — 35 წლის გამოცდილ ფეხბურთელს დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. თანაც, ნუ გამოვრიცხავთ, რომ „მეტალურგში" კვლავაც გამოჩნდნენ ახალწვეულები, მანამდე კი გუშინდელ სპარინგ-მატჩზეც, იანვრის „კვალობაზე", ერთობ საინტერესოდ რომ წარიმართა. შეხვედრა, რომელსაც **მალხაზ ბეუქლიშვილი** სჯიდა, გუნდებმა ასეთი შემადგენლობით დაიწყეს:

„მეტალურგი": **ბედიაშვილი — დობროვოლსკი, მახვილაძე, კვარაცხელია, ჯაფარიძე — რაზმაძე, ქავთარაძე — ჭედია, ი. მაისურაძე, გეწაძე — ტატანაშვილი.**

„სიონი": **ბობლიაშვილი — რ. ონიანი, სვანიძე, ქემოკლიძე, ო. გველესიანი — გ. მ. ხიდეშელი, გაბრიჭიძე, კაციტაძე, ლ. ჩხეტიანი — ხურციძე, მეტრეველი.**

...მასპინძლები პირველ ტაიმში მეტოქესთან შედარებით ბევრად უფრო შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ და რამდენიმე ხიფათიც შექმნეს „სიონის" კართან. პირველი ეპიზოდი **ლუკა რაზმაძისა** და **გიორგი ჭედიას** ეფექტური კომბინაციის შემდეგ შეიქმნა, მაგრამ „სიონში" მობრუნებულმა მინდია ბობლიაშვილმა ჩინებული რეაქციით საკუთარი გუნდი გადაარჩინა. ამის შემდეგ **გიორგი ქავთარაძეს** შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მცირეოდენ არაზუსტად დაარტყა. თუმცა, პირველ ტაიმში გოლი მაინც ვიხილეთ: **რევაზ გეწაძის** „საფირმო" ფლანგურ რეიდს **დიმიტრი ტატანაშვილის** არანაკლებ ჩინებული პასი (ქუსლით) მოჰყვა, რის შემდეგაც გეწაძე „სიონის" მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა; ბობლიაშვილმა ამ „დუელშიც" გაიმარჯვა, მაგრამ ტატანაშვილი იქვე აღმოჩნდა და საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირსაც ახლო მანძილიდან ბურთის ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდში არაერთი ცვლილება მოხდა: „მეტალურგის" შემადგენლობაში გამოვიდნენ **ზურაბ ბათიაშვილი, სევასტი თოდუა, გიორგი გავაშელიშვილი, გიორგი თექთურმანიძე, გიორგი ოთარიშვილი, გიორგი სიხარულიძე (გიორგი სეთურიძე, გიორგი მიქაბერიძე, ირაკლი მოდებაძე** სხვადასხვა სახის ტრავმის გამო ტოვებდნენ შეხვედრას), ხოლო „სიონში" — **ვლადიმერ ზუხბაია, გიორგი ოქროპირიძე, გიორგი თარგამაძე, არჩილ ალავიძე, ჯაბა უგულავა, საბა ლომია.**

მასპინძლები მეორე ტაიმშიც ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ ხან დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ, ხან კიდევ **ვლადიმერ ზუხბაია** თამაშობდა უშეცდომოდ. „სიონის" მეკარემ ჯერ **გიორგი თექთურმანიძის** ეფექტური დარტყმა მოიგერია, შემდეგ კი **გიორგი ოთარიშვილს** არ დაანება გოლის გატანა. სამაგიეროდ, გოლი საპირისპირო მხარეს გავიდა: **ოლეგ გველესიანისა** და **ჯაბა უგულავას** ეფექტური კომბინაცია მასპინძელთა კარში დანიშნული პენალტით დამთავრდა, რომელიც ზუსტად შეასრულა **ლევან ჩხეტიანმა.** თუმცა, მასპინძლებმა მაინც შეძლეს ამ სპარინგ-მატჩის მოგება: შეხვედრის დამთავრებამდე ორიოდე წუთი უკლდა, „სიონის" მეკარემ და მცველებმა მიუტევებელი შეცდომა რომ დაუშვეს და **ლაშა ჯაფარიძის** აქტიურობის შედეგად **ირაკლი სიხარულიძემ** ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. მომდევნო საკონტროლო მატჩში „მეტალურგი" 20 იანვარს გორის „დილას" უმასპინძლებს...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ნაკრები. შესარჩევი ტურნირების სტატისტიკა

# მხოლოდ ოფიციალური ნა[illegible]ლი

ქართული ბიბლიოთეკა

## მწვრთნელები

### ალექსანდრე ჩივაძე (1-2-4-5)

| | | |
|---|---|---|
| შ | მოლდოვა | 0:1 |
| ს | ბულგარეთი | 0:2 |
| შ | უელსი | 5:0 |
| ს | ალბანეთი | 1:0 |
| შ | გერმანია | 0:2 |
| შ | ალბანეთი | 2:0 |
| ს | უელსი | 1:0 |
| ს | გერმანია | 1:4 |
| შ | ბულგარეთი | 2:1 |
| ს | მოლდოვა | 2:3 |
| ს | იტალია | 0:1 |
| შ | ინგლისი | 0:2 |
| შ | უნგრეთი | 3:1 |
| შ | ლიტვა | 2:0 |
| ს | რუმინეთი | 1:1 |
| ს | შვეიცარია | 1:4 |
| შ | ირლანდია | 1:2 |
| შ | შვეიცარია | 0:0 |

18 თამაში
7 მოგება
2 ფრე
9 წაგება
ბურთები 18-24
საშუალოდ 1.27 ქულა თამაშში

### დავით ყიფიანი (2)

| | | |
|---|---|---|
| ს | ინგლისი | 0:2 |
| შ | მოლდოვა | 2:0 |
| ს | პოლონეთი | 1:4 |
| შ | იტალია | 0:0 |
| ს | მოლდოვა | 1:0 |
| შ | პოლონეთი | 3:0 |

6 თამაში
3 მოგება
1 ფრე
2 წაგება
ბურთები 7-6
საშუალოდ 1.66 ქულა თამაშში

### ვლადიმერ გუცაევი (3)

| | | |
|---|---|---|
| შ | ალბანეთი | 1:0 |
| ს | ლატვია | 0:1 |
| ს | საბერძნეთი | 0:3 |
| შ | სლოვენია | 1:1 |
| შ | ნორვეგია | 1:4 |

5 თამაში
1 მოგება
1 ფრე
3 წაგება
ბურთები 3-9
საშუალოდ 0.80 ქულა თამაშში

### იოჰან ბოსკამპი (3)

| | | |
|---|---|---|
| ს | ნორვეგია | 0:1 |
| შ | საბერძნეთი | 1:2 |
| ს | სლოვენია | 1:2 |
| შ | ლატვია | 2:2 |
| ს | ალბანეთი | 1:2 |

5 თამაში
0 მოგება
1 ფრე
4 წაგება
ბურთები 5-9
საშუალოდ 0.2 ქულა თამაშში

### დავით ყიფიანი - რევაზ ძოძუაშვილი (4)

| | | |
|---|---|---|
| ს | ლიტვა | 4:0 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | რუმინეთი | 0:2 |
| შ | იტალია | 1:2 |
| ს | უნგრეთი | 1:4 |

5 თამაში
1 მოგება
0 ფრე
4 წაგება
ბურთები 6-10
საშუალოდ 0.6 ქულა თამაშში

### ივო შუშაკი (5)

| | | |
|---|---|---|
| შ | რუსეთი | 1:0 |
| ს | ირლანდია | 0:2 |

2 თამაში
1 მოგება
0 ფრე
1 წაგება
ბურთები 1-2
საშუალოდ 1.5 ქულა თამაშში



თემურ ქეცბაია ნაკრების მოთამაშეც იყო და მწვრთნელიც

### მერაბ ჟორდანია (5)

| | | |
|---|---|---|
| შ | ალბანეთი | 3:0 |
| ს | ალბანეთი | 1:3 |
| ს | რუსეთი | 1:3 |

3 თამაში
1 მოგება
0 ფრე
2 წაგება
ბურთები 5-6
საშუალოდ 1 ქულა თამაშში

### ალენ ჟირესი (6)

| | | |
|---|---|---|
| ს | თურქეთი | 1:1 |
| შ | ალბანეთი | 2:0 |
| ს | უკრაინა | 0:2 |
| შ | დანია | 2:2 |
| შ | საბერძნეთი | 1:3 |
| შ | თურქეთი | 2:5 |
| ს | ალბანეთი | 2:3 |

7 თამაში
1 მოგება
2 ფრე
4 წაგება
ბურთები 10-16
საშუალოდ 0.71 ქულა თამაშში

### გაიოზ დარსაძე (6)

| | | |
|---|---|---|
| ს | ყაზახეთი | 2:1 |
| შ | უკრაინა | 1:1 |
| ს | დანია | 1:6 |
| შ | ყაზახეთი | 0:0 |
| ს | საბერძნეთი | 0:1 |

5 თამაში
1 მოგება
2 ფრე
2 წაგება
ბურთები 5-9
საშუალოდ 1 ქულა თამაშში

### კლაუს ტოპმიოლერი (7)

| | | |
|---|---|---|
| ს | ფარერები | 6:0 |
| შ | საფრანგეთი | 0:3 |
| ს | უკრაინა | 2:3 |
| შ | იტალია | 1:3 |
| ს | შოტლანდია | 1:2 |
| შ | ფარერები | 3:1 |
| ს | ლიტვა | 0:1 |
| ს | საფრანგეთი | 0:1 |
| შ | უკრაინა | 1:1 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | შოტლანდია | 2:0 |
| შ | ლიტვა | 0:2 |

12 თამაში
3 მოგება
1 ფრე
8 წაგება
ბურთები 16-19
საშუალოდ 0.83 ქულა თამაშში

### ექტორ კუპერი (8)

| | | |
|---|---|---|
| შ | ირლანდია | 1:2 |
| ს | იტალია | 0:2 |
| შ | კვიპროსი | 1:1 |
| შ | ბულგარეთი | 0:0 |
| ს | ირლანდია | 1:2 |
| ს | კვიპროსი | 1:2 |
| შ | ჩერნოგორია | 0:0 |
| შ | იტალია | 0:2 |
| ს | ჩერნოგორია | 1:2 |
| ს | ბულგარეთი | 2:6 |

10 თამაში
0 მოგება
3 ფრე
7 წაგება
ბურთები 7-19
საშუალოდ 0.3 ქულა თამაშში

### თემურ ქეცბაია (9)

| | | |
|---|---|---|
| ს | საბერძნეთი | 1:1 |
| შ | ისრაელი | 0:0 |
| შ | მალტა | 1:0 |
| ს | ლატვია | 1:1 |
| შ | ხორვატია | 1:0 |
| ს | ისრაელი | 0:1 |
| ს | ხორვატია | 1:2 |
| შ | ლატვია | 0:1 |
| ს | მალტა | 1:1 |
| შ | საბერძნეთი | 1:2 |

10 თამაში
2 მოგება
4 ფრე
4 წაგება
ბურთები 7-9
საშუალოდ 1 ქულა თამაშში

### მწვრთნელთა რეიტინგი ქულათა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით

| | |
|---|---|
| 1. დავით ყიფიანი | 1.66 |
| 2. ივო შუშაკი | 1.5 |
| 3. ალექსანდრე ჩივაძე | 1.27 |
| 4-6. თემურ ქეცბაია | 1 |
| გაიოზ დარსაძე | 1 |
| მერაბ ჟორდანია | 1 |
| 7. კლაუს ტოპმიოლერი | 0.83 |
| 8. ვლადიმერ გუცაევი | 0.80 |
| 9. ალენ ჟირესი | 0.71 |
| 10. ყიფიანი/ძოძუაშვილი | 0.6 |
| 11. ექტორ კუპერი | 0.3 |
| 12. იოჰან ბოსკამპი | 0.2 |

საქართველოს ეროვნული ნაკრების არსებობის ისტორია თითქმის ორ ათეულ წელს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის უმთავრესმა საფეხბურთო გუნდმა 9-ჯერ იასპარეზა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში, მაგრამ ფინალურ ეტაპზე ერთხელაც ვერ გავიდა.

წლის დასაწყისში ამ 9 ციკლის ერთგვარ სტატისტიკურ შეჯამებას შემოგთავაზებთ. ერთად ვნახოთ, ოფიციალურ სანაკრებო მატჩებში ვის რა მონაგარი აქვს.

რაც შეეხება ყველაზე გამოსარჩევ ფაქტებს:

- ოფიციალურ მატჩებში ჩვენი ეროვნული ნაკრები 13 მწვრთნელს გაუყვანია;
- ერთზე მეტ შესარჩევში მხოლოდ ალექსანდრე ჩივაძეს, დავით ყიფიანსა და კლაუს ტოპმიოლერს უმუშავიათ;
- ციკლი სრულად ჩაუმთავრებიათ ჩივაძეს, ტოპმიოლერს, ექტორ რაულ კუპერსა და თემურ ქეცბაიას;
- საუკეთესო ბომბარდირობას შოთა არველაძეს კიდევ დიდხანს ვერავინ შეეცილება;
- ოფიციალური მატჩების რაოდენობაში ლევან კობიაშვილს მოცილე ასევე დიდხანს არ ეყოლება, რადგან ნაკრებიდან კახა კალაძე წავიდა;
- თუ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევში ითამაშა, კობიაშვილისთვის ეს მე-9 ციკლი იქნება.

## ფეხბურთელთა მონაგარი შესარჩევ მატჩებში (მატჩი, გოლი)

| | | |
|---|---|---|
| ლევან კობიაშვილი (2-3-4-5-6-7-8-9) | 63 | 8 |
| კახა კალაძე (2-3-4-5-6-7-8-9) | 55 | - |
| ზურაბ ხიზანიშვილი (3-4-5-6-7-8-9) | 48 | - |
| ალექსანდრე იაშვილი (3-4-5-6-7-8-9) | 42 | 12 |
| შოთა არველაძე* (1-2-3-4-5-6-7) | 40 | 18 |
| გიორგი დემეტრაძე* (3-4-5-6-7) | 36 | 5 |
| გიორგი ნემსაძე* (1-2-3-4-5) | 35 | - |
| გოჩა ჯამარაული* (1-2-3-4-5-6) | 33 | 1 |
| ლევან ცქიტიშვილი* (1-3-4-5-6-7-8) | 32 | - |
| გიორგი ქინქლაძე* (1-2-3-4-5) | 31 | 5 |
| თემურ ქეცბაია* (1-2-3-4-5) | 28 | 9 |
| დავით კვირკველია (5-6-7-8-9) | 27 | - |
| გიორგი ლომაია (მეკ.) (5-6-7-8) | 27 | -47 |
| მალხაზ ასათიანი (5-6-7-8-9) | 26 | 4 |
| ლაშა სალუქვაძე (6-7-8-9) | 26 | - |
| მიხეილ ყაველაშვილი* (1-2-3-4-5) | 25 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი (4-6-7-8) | 21 | - |
| ჯაბა კანკავა (6-7-9) | 20 | 2 |
| დავით სირაძე (7-8-9) | 19 | 5 |
| არჩილ არველაძე* (1-2-3-4) | 18 | 3 |
| მურთაზ შელია* (1-2-3) | 16 | - |
| კახა გოგიჩაიშვილი* (1-2) | 15 | - |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი* (3-4-5-6) | 15 | - |
| ოთარ ხიზანეიშვილი (3-5-6-7) | 14 | - |
| გოგიტა გოგუა (6-7-9) | 14 | - |
| გიორგი შაშიაშვილი (5-7-8) | 13 | 1 |
| გიორგი ჩიხრაძე* (1-2) | 13 | - |
| უჩა ლობჟანიძე (8-9) | 13 | - |
| დავით გვარამაძე* (მეკ.)…(3-4-5) | 13 | -18 |
| კახა ცხადაძე* (1-2) | 12 | 1 |
| აკაკი დევაძე* (მეკ.) (1-6) | 12 | -15 |
| მიხეილ აშვეთია* (3-5-6-7) | 12 | 1 |
| ვლადიმერ ბურდული (4-5-6-7) | 12 | 1 |
| დავით მუჯირი (6-7) | 12 | 1 |
| გიორგი გახოკიძე* (2-3-4-6-7) | 11 | 2 |
| ვლადიმერ დვალიშვილი (8-9) | 11 | 2 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი (5-6-9) | 11 | 1 |
| გივი დიდავა (3-5) | 11 | - |
| ირაკლი ზოიძე* (მეკ.) (1-2-4) | 10 | -20 |
| გელა შეყილაძე* (2-3-5) | 10 | - |
| დავით ოდიკაძე (6-8) | 10 | - |
| ოთარ მარცვალაძე (7-9) | 10 | - |
| ლევან ყენია (7-8) | 9 | 1 |
| ლევან მჭედლიძე (7-8-9) | 9 | 1 |
| რატი ალექსიძე (3-4-5-8) | 9 | - |
| დიმიტრი კუდინოვი* (1-2) | 8 | - |
| კახა მჟავანაძე (6) | 8 | - |
| გიორგი მერებაშვილი (8-9) | 8 | - |
| ჯანო ანანიძე (8-9) | 8 | - |
| ნუკრი რევიშვილი (მეკ.) (9) | 8 | -6 |
| გელა ინალიშვილი* (1-2) | 7 | - |
| ნუგზარ ლობჟანიძე* (1-2) | 7 | - |
| ლუკა რაზმაძე (8) | 7 | - |
| გოჩა გოგრიჭიანი* (1-2) | 6 | 1 |
| მამუკა წერეთელი* (3) | 6 | - |
| რევაზ ქემოკლიძე (4-5) | 6 | - |
| ბექა გოცირიძე (6-8) | 6 | - |
| ლევან ხმალაძე (8) | 6 | - |
| ზაზა რევიშვილი* (1) | 5 | - |
| ნიკა ტოგონიძე* (მეკ.) (2-3) | 5 | -7 |
| გიორგი კიკნაძე* (2-3) | 5 | - |
| ზაზა ჯანაშია* (2-3-4) | 5 | 2 |
| ლევან სილაგაძე* (3-4) | 5 | - |
| ლაშა ჯაკობია (6-7) | 5 | - |
| მურთაზ დაუშვილი (9) | 5 | - |
| ილია კანდელაკი (7) | 5 | - |
| გურამ კაშია (8-9) | 5 | - |
| გიორგი ლუდუშაური* (1-2) | 4 | - |
| გრიგოლ ჭანტურია* (მეკ.) (3-7) | 4 | -8 |
| ედიკ საჯაია (4-5) | 4 | - |
| გიორგი განუგრავა (6) | 4 | - |
| ზაალ ელიავა (7-8) | 4 | - |
| ალექსანდრე კვახაძე (7-8) | 4 | - |
| გიორგი ლორია (მეკ.) (8-9) | 4 | -7 |
| დავით თარგამაძე (9) | 3 | 1 |
| რევაზ არველაძე* (1-2) | 3 | - |
| ბესიკ ბერაძე* (1) | 3 | - |
| გიორგი კილასონია* (1) | 3 | - |
| დავით ჭიჭვეიშვილი* (3) | 3 | - |
| ვიტალი დარასელია* (5-6) | 3 | - |
| კახა ალადაშვილი (6-7) | 3 | - |
| ამირან სანაია (8) | 3 | - |
| ნიკოლოზ გელაშვილი (7-8-9) | 3 | - |
| აკაკი ხუბუტია (9) | 3 | - |
| შოთა გრიგალაშვილი (9) | 3 | - |
| გია გურული* (1) | 2 | - |
| დავით ჯანაშია* (1-3) | 2 | 1 |
| მამუკა მაჭავარიანი* (1-2) | 2 | - |
| გიორგი დარასელია* (2-3) | 2 | - |
| ვალტერ გუჩუა* (2-3)… | 2 | - |
| ზურაბ ფოფხაძე* (3) | 2 | - |
| თენგიზ სიჭინავა* (3) | 2 | - |
| ბადრი ახვლედიანი* (3) | 2 | - |
| ვალერი აბრამიძე (4) | 2 | - |
| ნუკრი რევიშვილი (მეკ.) (6) | 2 | -1 |
| რატი წინამძღვრიშვილი (6) | 2 | - |
| მათე ღვინიანიძე (7) | 2 | - |
| გია გრიგალავა (9) | 2 | - |
| გიორგი მაკარიძე (მეკ.) (7) | 2 | -2 |
| მიხეილ ჯიშკარიანი* (1) | 1 | - |
| დავით ყიზილაშვილი* (1) | 1 | - |
| გოჩა გუჯაბიძე* (1) | 1 | - |
| გიორგი ჩხაიძე* (3) | 1 | - |
| გიორგი ბალაშვილი* (3) | 1 | - |
| სოსო გრიშიკაშვილი (მეკ.) (3) | 1 | -1 |
| მიხეილ ფოცხვერია* (3) | 1 | - |
| სევასტი თოდუა (4) | 1 | - |
| ზვიად სტურუა (მეკ.) (6) | 1 | -3 |
| ლევან მაღრაძე (6) | 1 | - |
| მამია ჯიქია* (6) | 1 | - |
| გივი კვარაცხელია (6) | 1 | - |
| მიხეილ ბობოხიძე (6) | 1 | - |
| ვასილ გიგიაძე (7) | 1 | - |
| დავით იმედაშვილი (7) | 1 | - |
| დიმიტრი ტატანაშვილი (7) | 1 | - |
| ირაკლი კლიმიაშვილი (8) | 1 | - |
| მათე ვაწაძე (8) | 1 | - |
| გიორგი ფოფხაძე (8) | 1 | - |
| ჯაბა ლიპარტია (8) | 1 | - |
| ზურაბ მამალაძე (მეკ.) (8) | 1 | -3 |
| თორნიკე აფციაური (9) | 1 | - |
| ალექსანდრე კოშკაძე (9) | 1 | - |
| სანდრო კობახიძე (9) | 1 | - |
| სანდრო გურული (9) | 1 | - |

*შენიშვნები: ფრჩხილებში მოცემული ციფრი აღნიშნავს იმ ციკლის რიგით ნომერს, რომელშიც მწვრთნელმა და ფეხბურთელმა მიიღეს მონაწილეობა.*

1 – ევრო-96-ის შესარჩევი
2 – 1998 წლის მუნდიალის შესარჩევი
3 – ევრო 2000-ის შესარჩევი
4 – 2002 წლის მუნდიალის შესარჩევი
5 – ევრო-2004-ის შესარჩევი
6 – 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი
7 – ევრო-2008-ის შესარჩევი
8 – 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი
9 – ევრო-2012-ის შესარჩევი

** ნიშნით აღნიშნულია ფეხბურთელი, რომელმაც კარიერა დაასრულა*

მოამზადა **ლევან ჯანეზაშვილმა**



კახა კალაძის (№4) ნაკრებიდან წასვლამ ლევან კობიაშვილის (№10) მიღწევა დიდი ხნით მიუწვდომელი გახადა

## უცხოური ფეხბურთი

### ● დორტმუნდის ბორუსია



# თუ ბარსა მართლა დაინტერესდა... მარიო გიოტცე დასაბმელი გახდება!

მარიოს მიზანი ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაშია

**მარიო გიოტცე** ჯერ მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ ბუნდესლიგაში უკვე 50-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული და მასზე თითქმის ყველა გრანდში ფიქრობენ. ვუნდერკინდის სტატუსმა და გერმანიის ნაკრებში გამინაურებამ გიოტცე წამყვანი ევროპული კლუბების ინტერესის არეალში მოაქცია, მაგრამ ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველი დორტმუნდიდან წასვლაზე არ ფიქრობს, თუმცა სამომავლოდ არაფერს გამორიცხავს და BVB-ს ქომაგებსაც ვერაფერს ჰპირდება. გიოტცეს კონტრაქტს ვადა 2014 წლამდე აქვს და მარიოს არსად ეჩქარება – მთავარი ის არის, რომ დღესდღეობით დორტმუნდელობით ბედნიერია. „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გიოტცემ ხაზგასმით თქვა, რომ ამ ეტაპზე მისი მთავარი საფიქრალი მიმდინარე სეზონი და ევროპის ჩემპიონატია – მარიო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კონტინენტის პირველობაზე გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს.

საფეხბურთო გერმანიაში „ოქროს თაობაზე“ რომ ალაპარაკდნენ, ეს პირველ რიგში სწორედ გიოტცეს და მასთან ერთად, ახლა უკვე **მარკო როისის** დამსახურებაცაა. საინტერესო ის არის, რომ მომავალი სეზონიდან ეს უკანასკნელიც „დორტმუნდში“ ითამაშებს. გერმანული ფეხბურთის ორი ამომავალი ვარსკვლავი ერთად – თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბორუსიას“ ფანების ყველას შურს, მაგრამ გაჩნდა მტკივნეული კითხვაც: მაინც, რამდენ ხანს ითამაშებენ გიოტცე და როისი ერთად დორტმუნდში?

ხსენებულ ინტერვიუში მარიო დორტმუნდის ქომაგებს ვერაფერს ჰპირდება და არაფერს გამორიცხავს. 2014 წლამდე ჯერ ბევრი დროა დარჩენილი, წინ კი ევროპის ჩემპიონატია. გიოტცეს ნათქვამი აქვს, ერთადერთი გუნდი, რომელსაც ახლავე და დაუფიქრებლად დავთანხმდები, „ბარსელონაა“ და ვინ იცის, იქნებ ევრო 2012-ზე ისე გაიბრწყინოს, რომ კატალონიური სუპერგრანდის ბოსებმა დორტმუნდში, მამისეულ სახლში ჩააკითხონ. თუ ასე არ მოხდა, მარიო არც ამაზე იდარდებს, რადგან მთელი კარიერა წინ აქვს, „ბორუსიაში“ კი მართლა ბედნიერია.

*„არ მეგულება ფეხბურთელი, რომელიც შეიძლება BVB-ში რეგულარულად თამაშობდეს და ამ გუნდიდან წასვლა მოუნდეს. თუმცა ახალ კონტრაქტზე ფიქრი ჩემთვის ჯერ ძალიან ადრეა. მე აქ ბედნიერი ვარ და მიხარია, რომ ზაფხულიდან როისიც შემოგვიერთდება, მაგრამ ფანებს მაინც ვერაფერს დავპირდები,“* - ამბობს 19 წლის ფეხბურთელი.

გიოტცესთვის ამ ეტაპზე პრიორიტეტული ფეხბურთია – მიმდინარე სეზონი და ევროპის ჩემპიონატი. გერმანიის ნაკრები უმეტესად ისეთივე ტაქტიკური სქემით თამაშობს, როგორსაც დორტმუნდელები იყენებენ (4-2-3-1) და ის პოზიციები, სადაც მარიოს შეუძლია თამაში, ბუნდესგუნდში ფაქტობრივად დაკავებულია: მარჯვნივ **თომას მიულერი**, ცენტრში **მესუთ იოზილი**, მარცხნივ **ლუკას პოდოლსკი**. თუმცა გიოტცე ბრძოლას აპირებს და არ მალავს, რომ მისი მიზანი ევრო 2012-ზე გერმანიის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში თამაშია.

*„სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ვის მოსწონს... და რაკი ახალგაზრდა ვარ, ნურავინ იფიქრებს, რომ ჩემთვის უკრაინასა და პოლონეთში ყოფნაც ბედნიერება იქნება. ბუნდესნაკრების ძირითადში თამაში მინდა და ამისათვის თავს არ დავზოგავ,“* - აცხადებს გიოტცე.

მარიოს არც ის აშინებს, რომ პირველ რიგში იოზილის კონკურენტია. სწორედ ამ უკანასკნელთან კონკურენცია აძლევს იმის იმედს, რომ შესაძლოა, ზაფხულში მისით „ბარსელონა“ სერიოზულად დაინტერესდეს. ხოლო კითხვაზე, ეშინია, თუ არა სიკვდილის ჯგუფის (გერმანია, პორტუგალია, ჰოლანდია, დანია), ასე პასუხობს: *„რა სისულელეა... პირიქით, მიხარია, რომ მაგარი თამაშები გველის.“*

### ● ბაიერნი



# ჰაინკესი ოლიჩს აქებს

## მიუნხენში პისარო არ აინტერესებთ, ჰიოვედესი - მეტ-ნაკლებად

რაკი მიუნხენის „ბაიერნმა“ იანვარში ტრანსფერებზე უარი თქვა, საფეხბურთო გერმანია რეკორდმაისტერისგან ხმაურიან ტრანსფერებს ზაფხულში ელის. ამ დღეებში „ბაიერნთან“ მიმართებაში არაერთი საინტერესო ფეხბურთელის გვარმა გაიჟღერა – **პისარო, ბერბატოვი, ნიდერმაიერი, ჰიოვედესი**. ხელმძღვანელები დეტალებზე კონკრეტულად არ საუბრობენ, თუმცა რაღაც-რაღაცებს ადასტურებენ, რაღაც-რაღაცებს კი უარყოფენ.

სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** საზაფხულო გეგმებზე ამბობს, ჯერ კონკრეტულზე არაფერზე ჩამოვყალიბებულვართო, მაგრამ მის ამ განცხადებას ჩვენი გერმანელი კოლეგები არად აგდებენ. მათი აზრით, დიდია იმის შანსი, რომ პრეზიდენტი **ული ჰიონესი** და ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ნერლინგერის გარეშე ჩამოყალიბებულიყვნენ. თუმცა ის კი ფაქტია, რომ მიუნხენელებს არსად ეჩქარებათ – თანაც, მომავალი სეზონი ევროპის ჩემპიონატის გამო ხომ გვიან, 24 აგვისტოს დაიწყება.

„ბაიერნში“ პრესის მიერ შემოგდებულ გვარებს არ ადასტურებენ. მეტიც, „ზებენერშტრასეზე“ უკვე რამდენჯერმე ითქვა, რომ რეკორდმაისტერს არც კლაუდიო პისარო (33 წლის, ვერდერი, კონტრაქტი 2013 წლამდე) აინტერესებს, არც დიმიტარ ბერბატოვი (30/მანჩესტერ იუნაიტედი/2012) და არც გეორგ ნიდერმაიერი (25/შტუტგარტი/2014). აი, ბენედიქტ ჰიოვედესის შემთხვევაში კი განსხვავებული ვითარებაა: რუმენიგე არ მალავს, რომ „შალკეს“ 23 წლის მცველი, რომელსაც გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს, „ბაიერნისთვის“ „მეტ-ნაკლებად საინტერესო ფეხბურთელია“.

ამ ეტაპზე რეკორდმაისტერის ხელმძღვანელების ყურადღება უფრო მეტად აქტუალურ შემადგენლობაზეა ფოკუსირებული. ფაქტია, რომ 37 წლის **ჰანს იორგ ბუტი** და 30 წლის **დანიელ პრანიჩი** წავლენ. 33 წლის **დანიელ ვან ბუიტენს** კონტრაქტი უმთავრდება და ალბათ ახალს გაუფორმებენ. იმავე ვითარებაშია ბრენოც...

### ბოლო გაფრთხილება ბრენოს

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ბრაზილიელმა მცველმა სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს შეუტია – მასულელებენო. გუშინ 22 წლის მცველმა, რომელსაც რეკორდმაისტერში თავის დამკვიდრების უკანასკნელი შანსი აქვს, ოფიციალურად მოიხადა ბოდიში. მიუხედავად იმისა, რომ ბოსები მისმა საქციელმა ძალიან გააბრაზა, მიუნხენური გრანდი ბრენოს მაინც არ დასჯის. რუმენიგეს თქმით, კლუბი თავს იკავებს ფეხბურთელისთვის რაიმე სახის სანქციის დაკისრებაზე. კალე იმედს იტოვებს, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება – წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრენოს სერიოზული სასჯელი აღარ ასცდება.

### ოლიჩი: ვითარება შეიცვალა

ამასობაში, **ივიცა ოლიჩის** საკითხიც გასარკვევია. რაკი 32 წლის ხორვატი ტრავმებმა დატანჯა, **მარიო გომესი** კი მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს, ივიცა მიუნხენიდან წასვლაზე ალაპარაკდა. თუმცა ბოლო დროს სიტუაცია შეიცვალა – ოლიჩი უკმაყოფილო აღარ არის და „ბაიერნში“ დარჩენას არ გამორიცხავს.

*„ივიცა შეკრებაზე შესანიშნავად გამოიყურებოდა. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს 2009/2010 წლების სეზონი, როცა ოლიჩი „ბაიერნის“ წარმატებების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტია იყო. მას მერე ივიცას ფეხბურთი ხეირიანად აღარ უთამაშია, რადგან ტრავმირებული იყო,“* - აცხადებს ნერლინგერი.

მოკლედ, ოლიჩს შანსი აქვს. ბავარიელთა მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** ამბობს, ივიცას სახით **მარიო გომესის** იდეალური შემცვლელი მყავსო. ვნახოთ, დააკმაყოფილებს თუ არა ხორვატ თავდამსხმელს ეს სტატუსი...

### ● მოსალოდნელი ტრანსფერი

# მანჩესტერის თავდამსხმელი ჰანოვერში?

„ლელოს“ მკითხველი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ „ჰანოვერი“ ახალ თავდამსხმელს ეძებს. სპორტული დირექტორი **იორგ შმადტკე** და მწვრთნელი **მირკო სლომკა**, როგორც იქნა, შეთანხმდნენ, რომ „წითლებს“ წინა ხაზზე გაძლიერება სჭირდებათ და რამდენიმე დღეა, ტრანსფერზე აქტიურად მუშაობენ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ იანვარმა „ჰანოვერს“ ორი თავდამსხმელი გამოაკლო: **დიდიე ია კონანი** აფრიკის თასზეა, **მოჰამედ აბდელაუ** კი მძიმედ დაშავდა.

„ბილდის“ უახლესი ინფორმაციით, „ჰანოვერმა“ მიზანში „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი **მამე დიუფი** ამოიღო, რომელიც მანკუნიანელთა სარეზერვო გუნდში თამაშობს. სლომკა დიუფით დაინტერესებას ადასტურებს და ამბობს, იმედი მაქვს, ტრანსფერი განხორციელდებაო.



მამე ბირამ დიუფი შეიძლება ჰანოვერში გადავიდეს

**ალექს ფერგიუსონს** 24 წლის დიუფის გაყიდვა უნდა, თუმცა იჯარაც შესაძლებელია. „იუნაიტედმა“ დიუფი ნორვეგიული „მიოლდედან“ 2009 წელს, 4.5 მილიონ ევროდ იყიდა და უკვე ორჯერ ჰყავდა განათხოვრებული. მიმდინარე სეზონში მამე დიუფმა „მანჩესტერის“ პირველ გუნდში მხოლოდ ერთხელ და ისიც ლიგის თასზე ითამაშა.

### ● ფრაიბურგი. ტრანსფერები




ფრაიბურგის ახალი მცველი მიქაელ ლუმბი

# დაცვასაც მიხედეს და თავდასხმასაც

## სისე ნიუკასლში გადავიდა

**ბუნდესლიგის** აუტსაიდერმა „ფრაიბურგმა“ ორი საინტერესო ტრანსფერი სრულყო. გუნდმა, რომელსაც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების რეალური საფრთხე ემუქრება და პირველი წრის შემდეგ ფაქტობრივად უპერსპექტივოა, დაცვა და თავდასხმა გააძლიერა. ბრაისგაუელებმა სანკტ პეტერბურგის „ზენიტიდან“ დანიელი მცველი **მიქაელ ლუმბი** სეზონის ბოლომდე ინათხოვრეს და მისი უპირატესი შესყიდვის უფლებაც მიიღეს. რაც შეეხება წინა ხაზს: „ფრაიმ“ „კიოლნის“ ფორვარდი **სებასტიან ფრაისი** გადაიბირა.

24 წლის ლუმბი „ფრაიბურგს“ ესპანეთში შეუერთდა და „ხერესთან“ ამხანაგურ მატჩში (3:1) გოლის გატანაც შეძლო. აღსანიშნავია, რომ ბრაისგაუელთა ახალმა მწვრთნელმა **კრისტიან შტრაიხმა** ლუმბი „ვინტერტურთან“ ტესტ-მატჩშიც ათამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი განაღდებული აქვს. ფრაისი კი, რომელსაც „კიოლნში“ ბოლო დროს მუდმივად სათადარიგოთა სკამს ახეხინებდნენ, სრულფასოვანი ფრაიბურგელი გახდა. ტრანსფერის ღირებულება გასაიდუმლოებულია.

ფრაისის ტრანსფერის შემდეგ უფრო რეალური გახდა, რომ „ფრაიბურგი“ მთავარმა გოლეადორმა **პაპის დემბა სისემ** (9 გოლი პირველ წრეში) დატოვოს. წუხელ 26 წლის ფეხბურთელმა „ნიუკასლთან“ 5,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

კოპა დელ რეი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# ასე არასასურველი... ელ კლასიკო

## რას ურჩევნია მოურინიოს ყველაზე მოსაწყენი ფილმი?



ლიონელ მესის ბერნაბეუზე იუბილე ექნება

გვარდიოლა მტკიცედ დგას

მოურინიოს ჟურნალისტები კულტურულად შემოელანძღა

რეალი სუპერფორმაშია

| | |
|---|---|
| ესპანიოლი-მირანდესი | 3:2 |
| **დღეს** | |
| ბილბაო-მალიორკა | 23:00 |
| რეალი-ბარსელონა | 01:00 |
| **ხვალ** | |
| ვალენსია-ლევანტე | 00:30 |

ჩვენი თხოვნაა, ნუ გაიგებთ სათაურს პირდაპირი მნიშვნელობით! აბა, როგორ შეიძლება მსოფლიოს ორი საუკეთესო კლუბის (ნუ შეგვეკამათებით ტყუილად) დაპირისპირება არ იყოს სასურველი სანახავი. გამორიცხულია! მაგრამ ბოლო დროს „ბარსელონა" და „რეალი" იმდენჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, რომ კლასიკოები (უფრო კი მათი მოლოდინი) გაუფერულდა. თანაც, იანვარში, როცა განახლებული სეზონი ძალებს ნელ-ნელა იკრებს, ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფი კარსაა მომდგარი, არც ერთ გრანდს, არც „ბარსას" და არც „სამეფო კლუბს" არ სურდა ურთიერთდაპირისპირება. არ სურდა, მაგრამ „სამეფო თასის" ბრმა წილისყრის „წყალობით" მოუწია!

შარშან, 2011-ში „ელ კლასიკო" რეკორდულად ბევრჯერ გაიმართა: ორჯერ ჩემპიონატში - 16 აპრილს „სანტიაგო ბერნაბეუზე" სტუმრებმა **ლიონელ მესის** გოლით გახსნეს ანგარიში, მადრიდელებმა კი **კრიშტიანო რონალდოს** გოლით გაათანაბრეს (ორივე პენალტი) - 1:1; 10 დეკემბერს ისევ „ბერნაბეუზე" „ბარსამ" 3:1 მოიგო (გამარჯვებულთაგან გოლები **ალექსის სანჩესმა, ჩავიმ** და **ფაბრეგასმა** გაიტანეს, დამარცხებულთაგან - **ქარიმ ბენზემამ**); „სამეფო თასის" ფინალში „რეალმა" დამატებით დროში, რონალდოს გოლით მოუგო „ბარსელონას" - 1:0; ესპანეთის სუპერთასზე მადრიდში 2:2 დასრულდა (**იოზილი, ჩაბი ალონსო - ვილია**, მესი), ხოლო ბარსელონაში - კატალონიელებმა 3:2 იმარჯვეს და ტიტული მოიგეს - (მესი 2, **ინიესტა** - რონალდო, ბენზემა); ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მადრიდში „ბარსამ" 2:0 მოიგო (მესი 2), ხოლო შინ 1:1 (პედრო-მარსელო) ითამაშა და ფინალში გავიდა. მოკლედ, 2011 წელს 7 კლასიკო ვიხილეთ (18 დღეში 4 კლასიკო!), ვისიამოვნეთ და ბევრიც ვწერეთ. ისეთი პირი უჩანს, რომ 2012-იც ანალოგიური იქნება - კლასიკოებით დახუნძლული!

### ცოტა რამ სტატისტიკიდან

- პირველი კლასიკო 1902 წლის 13 მაისს გაიმართა.
- ოფიციალურ მატჩებში სულ 216 კლასიკო გაიმართა. „რეალმა" მოიგო 86, „ბარსელონამ" - 85, ფრე - 45. ბურთების სხვაობითაც წინ „რეალია" 362:350.
- იყო კიდევ 31 ამხანაგური კლასიკო, სადაც „ბარსას" უპირატესობა აშკარაა - 18 მოგება, 9 ფრე და 4 წაგება.
- ყველაზე მეტი გოლი კლასიკოზე **ალფრედო დი სტეფანომ** გაიტანა - 18, მეორე ადგილზე **რაულია** - 15 გოლით, 14-14 გოლი აქვთ გატანილი **სესარს, ხენტოს** და **პუშკაშს**.
- ყველაზე კარგი შანსი, გახდეს კლასიკოების ყველა დროის ბომბარდირი, ლიონელ მესის აქვს, რომლის ანგარიშზე 13 გოლია.
- 33 ფეხბურთელს უთამაშია კლასიკო ორივე გუნდის შემადგენლობაში. მათგან ყველაზე გამორჩეულებს ჩამოვთვლით: **სავიოლა, ეტოო, რონალდო** (ბრაზილიელი), **ფიგუ, ლუის ენრიკე, პროსინეჩკი, მიქაელ ლაუდრუპი, ჰაჯი, შუსტერი, ზამორა**.

### მოუ: ეს არ არის საზაფხულო ტურნირი, ამიტომ გავალთ და თავს დავდებთ

**კოპაზე:** „გუნდი, რომელიც დამარცხდება ამ დაპირისპირებაში, თებერვალში ორით ნაკლებ მატჩს ითამაშებს. მაგრამ, გარწმუნებთ, ჩვენ ძალიან გვინდა, ის ორი თამაში ჩავატაროთ. „ბარსელონას" წინააღმდეგ საუკეთესო შედეგი დაპირისპირების მოგებაა. დიდებული მატჩი გველის, ჩვენ მოსაგებად გავდივართ. ეს არ არის საზაფხულო ტურნირი, ამიტომ ჩვენ რაც კი შეგვიძლია ყველაფერს წარმოვაჩენთ. ამ სეზონში პრიორიტეტების მიხედვით კოპა მესამეა, მაგრამ ხვალინდელ მატჩს სხვა დატვირთვა აქვს".

**კრიშტიანო რონალდოს ფორმაზე** (მხოლოდ 1 გოლი 2012-ში): „კრიშტიანო რონალდომ ძალიან კარგად ითამაშა „მალიორკასთან". ამ წელიწად-ნახევარში მან ძალიან ბევრი გოლი გაიტანა ჩვენთვის, მათ შორის, გადამწყვეტიც - თასის ფინალში. მეორე ტაიმში „მალიორკასთან" მან ცხოველივით იშრომა, გუნდისთვის ბოლომდე დაიხარჯა. ვამაყობ მისით. ვუთხარი კიდეც, გოლის გატანა აუცილებელი არ არის, როცა ასე შრომობ გუნდისთვის".

**ანხელ დი მარიას ტრავმაზე:** „დი მარია სიაში იქნება, მაგრამ ის ჯერ სათანადოდ მზად არაა, არადა, იმედი გვქონდა. გაფართოებული სია შევკვეცე და დი მარია დავტოვე, ახლა მხოლოდ ლოდინი დაგვრჩენია. შემადგენლობას არ დავასახელებ, რადგან ჯერ თავადაც არ ვიცი და რომც ვიცოდე, არ ვიტყოდი".

**უსაფუძვლო კრიტიკაზე:** „ვიცი, რომ როგორი შემადგენლობაც არ უნდა დავაყენო, კრიტიკა არ ამცდება - სერხიო რამოსი რომ ფლანგზე დავაყენო, გამაკრიტიკებთ, რადგან ის ფენომენური ცენტრალური მცველია, იქ რომ ფაბიო დავაყენო, იტყვით, კოენტრაო ხომ მემარცხენეაო, ლასანა დიარა რომ ავარჩიო, მაშინ იტყვით, როცა ხედირა არა გყავს, ამის გაკეთება არ შეიძლებაო. მაგრამ ვილაც ხომ უნდა დავაყენო მარჯვენა მცველად? პეპე დაცვაში იქნება, იტყვით - ნახევარდაცვაში უფრო მაგარიაო და პირიქით. სამი ნახევარმცველი, რომ დავაყენო, იტყვით, უნდა შეგვეტიაო, შემტევი შემადგენლობის შემთხვევაში კი არ გაგიჭირდებათ იმის თქმა, რომ საპასუხო მატჩის არსებობა დამავიწყდა. ალარაფერს ვამბობ ბენზემასა და იგუაინს შორის გასაკეთებელ არჩევანზე. ასე რომ, მირჩევნია კინოთეატრში მოსაწყენ ფილმზე წავიდე, ვიდრე თქვენს კრიტიკაზე ვიფიქრო".

**ბარსაზე:** „ბარსელონა" დიდი გუნდია, იმის მიუხედავად, თუ რამდენი მცველის გამოყვანას აპირებს ჩვენთან მატჩში. რაც შეეხება ჩემს ურთიერთობას ამ კლუბთან, ის ისევ ისეთია, როგორიც აქამდე იყო - მე მათთან პრობლემა არ მაქვს და არც მქონია. პირიქით, როგორ არის - არ ვიცი".

### რა ხდება რეალის ბანაკში

გუშინ „რეალმა" გენერალური რეპეტიცია გაიარა კლასიკოს წინ. ჟოზე მოურინიოს არ ეყოლება მარჯვენა მცველი **ალვარო არბელოა**, რომელმაც წინა სათასო მატჩში წითელი ბარათი მიიღო. მის ნაცვლად, შესაძლოა, **ფაბიო კოენტრაო** ვიხილოთ, შესაძლოა - **ლასანა დიარა**. **პეპეს** საზარდული სტკიოდა, თუმცა პორტუგალიელი ალბათ მწყობრში იქნება. **სამი ხედირა** ტრავმირებულია. თუკი დი მარია ვერ ითამაშებს (და ალბათ ვერ ითამაშებს) **ხოსე მარია კალეხონი** მარჯვენა გარემარბის პოზიციას შეავსებს.

გუშინ ფეხბურთელების გასამხნევებლად ვალდებებასის ბაზაზე „რეალის" ყოფილი ფეხბურთელი, **გუტი** მივიდა.

### რა ხდება ბარსას ბანაკში

კატალონიელებს არ ეყოლებათ **სეიდუ კეიტა**, რომელიც მალის ნაკრებთან ერთად აფრიკის ერთა თასისთვის ემზადება, რომელიც გაბონსა და ეკვატორულ გვინეაში 21 იანვარს იწყება. ახალგაზრდა **ანდრეუ ფონტასს** (მუხლი) კლასიკოზე კი არა ამ სეზონში ვეღარ ვიხილავთ. მას შაბათს უკეთებენ ოპერაციას. ხოსეპ გვარდიოლას დააკლდებიან დიდი ხნის წინათ დამტვრეულები **დავიდ ვილია** და **იბრაჰიმ აფელაი**. ბოლო ტურში ტრავმა მიიღო პედრომ და ისიც ვერ ითამაშებს. **დანი ალვეში**, რომელსაც წინა ტურში სასტარტოში არ უთამაშია, აუცილებლად პირველივე წუთებიდან ითამაშებს.

მერე რა რომ კლასიკოა? პეპი არ ულალატებს ტრადიციას და კარში **ხოსე პინტოს** ჩააყენებს, რომელსაც სათასო ბატალიებში იყენებს.

### მარკას აზრით

„მარკას" აზრით, ასეთი იქნება დღევანდელი სასტარტო შემადგენლობები

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - დიარა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ჩაბი ალონსო, ფ. კოენტრაო - კალეხონი, იოზილი, რონალდო - ბენზემა.

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - სანჩესი, მესი, ფაბრეგასი.

### პეპი: ჩემს ფეხბურთელებს ვერაფერი შევატყვე, რომ ტიტული აღარ უნდათ

„მართალია, ეს არ არის ლა ლიგის მატჩი, წინ სათასო ბრძოლა გველის, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ჩემი ფეხბურთელებისთვის არ შემიმჩნევია, რომ მათ ტიტულების მოგება არ უნდათ. სწორედ ასეთ მატჩებში უყვართ მათ თავის წარმოჩენა და თავდადებული თამაში. ვფიქრობ, რომ ჩვენ დიდებული თამაში გველის, როგორც მაყურებლისთვის, ისევე ფეხბურთელებისთვის".

### იცით, თუ არა რომ...

- ბოლო 12 კლასიკოდან „რეალმა" მხოლოდ ერთი მოიგო, 3 ფრედ დასრულდა და 8 წააგო.
- ბოლო კლასიკოში გავიდა ამ დაპირისპირების უსწრაფესი გოლი - ქარიმ ბენზემამ 23-ე წამზე გაიტანა.
- ლეო მესიმ 6-ჯერ ითამაშა „სანტიაგო ბერნაბეუზე" და მხოლოდ ბოლო შეხვედრაში ვერ გაიტანა გოლი.
- ლეო მესი „ბარსელონას" მაისურით მე-300 მატჩს თამაშობს.
- როცა გვარდიოლა „ბარსას" ფეხბურთელი იყო, მოურინიო მწვრთნელის ასისტენტი იყო.

ამბები

### ფეხბურთელი [illegible] სევილია არჩია

გუშინ „სევილიამ" ზამთრის სატრანსფერო სეზონის პირველი შენაძენი წარმოგვიდგინა - სეგუნდა დივიზიონის „კორდობადან" 22 წლის ნახევარმცველი **ხავიერ ერვასი** იყიდა. ამბობენ, ერვასს „რეალი" ეპატიჟებოდაო, მაგრამ ფეხბურთელმა ანდალუსიაში დარჩენა არჩია. ბუნებრივია, მას თამაშის მეტი შანსი „სევილიაში" ექნება. ხავი ერვასი „სევილიას" 1,2 მილიონი ევრო დაუჯდა, კონტრაქტი ხუთწლიანია. ამიერიდან, კლუბი, რომელიც ერვასის ყიდვას შეეცდება, „სევილიას" 25-მილიონიანი შეთავაზებით უნდა მიადგეს. სხვათა შორის, ერვასი სეზონს ისევ „კორდობაში" გააგრძელებს... იჯარით. ამ სეზონში ნახევარმცველმა 19 მატჩში 2 გოლი გაიტანა.

### უფროსი ძმა ესპანეთის ნაკრებში, უმცროსი - ბრაზილიაში

„ბარსელონას" ნიჭიერი ახალგაზრდა ნახევარმცველი **რაფაელ ალკანტარა (რაფინია)** ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს, თუმცა მსოფლიო ფეხბურთის გრანდის პირველი გუნდის წევრის, **ტიაგო ალკანტარას** უმცროსმა ძმამ გადაწყვიტა, უარი თქვას მიწვევაზე. რაფინიას უკვე უთამაშია ესპანეთის 16, 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში, მაგრამ ახლა გადაწყვიტა, დაელოდოს ბრაზილიელთა წინადადებას. შეგახსენებთ, რომ ტიაგო და რაფინია ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის, **მაზინიოს** შვილები არიან. ტიაგომ გადაწყვეტილება ესპანეთის სასარგებლოდ მიიღო, უმცროსმა ძმამ კი ბრაზილია არჩია.

რაფინია 18 წლისაა, სეგუნდა დივიზიონში მან 18 თამაშში 5 გოლი გაიტანა. „ოსპიტალეტთან" სათასო მატჩში კი „ბარსელონას" პირველ გუნდში ჰქონდა დებიუტი, როცა თამაშის ბოლოსკენ **სესკ ფაბრეგასი** შეცვალა.

### ნიჰათმა კარიერა დაასრულა

ცნობილმა თურქმა ფეხბურთელმა **ნიჰათ კაჰვეჩიმ** ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. ფორვარდმა, რომელმაც სახელი „რეალ სოსიედადში" თამაშით გაითქვა, 6 თვე ამაოდ გაატარა კლუბის ძებნაში, ბოლოს კი დანებდა. „ბეშიქთაშმა" მას მაისში გაუწყვიტა კონტრაქტი, რადგან 17 მატჩში ერთხელაც კი ვერ შეძლო გოლის გატანა. არადა იყო დრო, როცა ნიჰათი ბრაზილიელ **რონალდოსთან** ერთად პრიმერას ბომბარდირთა დავაში მეორე იყო (2002/03 წლების სეზონში). ნიჰათმა შესანიშნავი წყვილი შექმნა **დარკო კოვაჩევიჩთან** ერთად. მან 69 მატჩში მიიღო მონაწილეობა ეროვნული ნაკრების მაისურით. არადა, ნიჰათი სულ 32 წლისაა.

### მილანმა მერკელი დაიბრუნა

გუშინ „მილანმა" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ „ჯენოაში" სეზონის ბოლომდე განათხოვრებული **ალექსანდერ მერკელი** უკან გამოითხოვა. 19 წლის მერკელი მას მერე გახდა საჭირო, რაც ცნობილი გახდა, **ალბერტო აკვილანის** და **ჯენარო გატუზოს** ტრავმების სირთულე. ყაზახეთში დაბადებული გერმანელი 2008 წელს გადავიდა „შტუტგარტიდან" იტალიურ გრანდში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ინციდენტის შემდეგ




21-ე ტურში "სუონსისთან" მარცხის შემდეგ "არსენალის" ფრანგ ვარსკვლავს, 34 წლის **ტიერი ანრის** მცირე ინციდენტი შეემთხვა საკუთარი გუნდის გულშემატკივართან. აი, როგორ იხსენებს ის ამ ეპიზოდს: *"შეხვედრის დასრულების შემდეგ ჩემს იმედგაცრუებას საზღვარი არ ჰქონდა. მე მოვუწოდე თანაგუნდელებს მივსულიყავით ჩვენი ფანების სექტორთან და მხარდაჭერისთვის მადლობა გვეთქვა. როცა ტრიბუნებს მივუახლოვდი, გავიგონე, რომ ერთ-ერთი მათგანი გუნდს ურცხვად ლანძღავდა. მხოლოდ ის შევეცადე, ამეხსნა, რომ ასეთ მძიმე მომენტში ჩვენ მისგან მხოლოდ გამხნევებას ველოდით და არა შეურაცხყოფას. როგორც ჩანს, ჩემი სიტყვები და მიმართვის ტონი არ იყო სათანადოდ შერჩეული. ვაღიარებ, სათქმელი შემეძლო უფრო თავშეკავებულად გადმომეცა. ისლა დამრჩენია, არანორმატიული ლექსიკის გამო, კონკრეტულ გულშემატკივარს, თუ მას საერთოდ შეიძლება ენოდოს გულშემატკივარი, ბოდიში მოვუხადო. მე ნამდვილად არ მქონია განზრახვა მისთვის ან მის გარშემომყოფთათვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## პოდოლსკი გამოჯანმრთელდა

„კიოლნში" შვებით ამოისუნთქეს – გუნდის ლიდერი **ლუკას პოდოლსკი** უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ უქმეებზე, „ვოლფსბურგთან" მატჩში მოედანზე გასვლას შეძლებს. ეს ინფორმაცია გუშინ „თხების" მწვრთნელმა **სტალე სოლბაკენმა** დაადასტურა. შეგახსენებთ, რომ 26 წლის პოდოლსკი, რომელმაც პირველ წრეში 14 გოლი გაიტანა, ორი კვირის წინ მეგობრებთან ერთად თამაშისას დაშავდა.

## ვოლფსბურგი: პილარიც, ოღონდ ზაფხულში

„ვოლფსბურგის" მწვრთნელმა და მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** მორიგი ტრანსფერი სრულყო: მან პლზენის „ვიქტორიადან" კიდევ ერთი ფეხბურთელი, 22 წლის **ვაცლავ პილარი** გადაიბირა. ოღონდ, ეს უკანასკნელი „ვოლფსბურგში" არა ახლა, არამედ ზაფხულიდან გადავა. მაგათს თავისი გუნდის პილარით გაძლიერება ახლავე უნდოდა, მაგრამ „ვიქტორიას" ბოსებს ვერ მოურიგდა.

## ჰლების აღიარება: ზარმაცობამ დამღუპა

„ვოლფსბურგიდან" გაგდებული და აბსოლუტურად უპერსპექტივო **ალიაქსანდრ ჰლები** თვითკრიტიკას მოჰყვა. ბელარუს ნახევარმცველს, რომელსაც წლების წინ უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, გული სწყდება, რომ დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშა.

*„გულახდილად ვიტყვი, კარიერის საუკეთესო წლები გავფლანგე. ამაში მხოლოდ მე ვარ დამნაშავე! ვარჯიშით თავს არ ვიკლავდი და მხოლოდ ნიჭის წყალობით მსურდა ფონს გასვლა, რაც დიდხანს გამომდიოდა კიდეც, მაგრამ „არსენალში" გადასვლის შემდეგ ეს საკმარისი აღარ იყო, მე კი მაინც ვზარმაცობდი,"* - უთხრა ჰლებმა „შტუტგარტერ ცაითუნგს". შეგახსენებთ, რომ ბელორუსი „ბარსელონას" საკუთრებაა, მაგრამ კატალონიაში არავის სჭირდება, ამ დღეებში კი „აუგსბურგთან" ერთად ვარჯიშობს...

**გოტფრიდ ლენცი**



ალიაქსანდრ ჰლები

ამბები

## უძველეს კლუბს საფრთხე ემუქრება

ინგლისურ საფეხბურთო კლუბ "დარლინგტონს" რეალური საფრთხე ემუქრება, რომ 128-წლიანი არსებობის შემდეგ გაკოტრდეს. უკვე ცნობილია, რომ მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან, ასევე რიგით პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები გაუქმებულია. გაუსტუმრებელი დავალიანებების გამო, იანვრის პირველ რიცხვებში სასამართლომ "დარლინგტონს", მესამედ ბოლო 9 წლის განმავლობაში, გაკოტრების მმართველი დაუნიშნა. ვალების გამო საფეხბურთო ასოციაციამ კლუბს უკვე ჩამოაკლო 10 ქულა, რის გამოც ის მეხუთე ლიგის გასავარდნი ზონის თავზე დაეშვა. მოქმედმა მმართველმა **ჰარვი მედენმა** ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ "დარლინგტონს" უკვე აღარ ჰყავს არც ერთი თანამშრომელი, მაგრამ მას აქვს იმედი, რომ სიტუაციიდან გამოსავალი შეიძლება მაინც მოინახოს. საამისოდ, უახლოეს ხანებში ინვესტორი უნდა გამოჩნდეს.

## ქუინზ პარკის პირველი ტრანსფერი

"ქუინზ პარკში" **მარკ ჰიუზის** დანიშვნის შემდეგ ხელმძღვანელობამ მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე სოლიდური თანხები გამოყო ახალი ტრანსფერებისთვის. და აი შედეგიც: ლონდონურმა კლუბმა ბრაზილიური "სან პაულუდან" 20 წლის თავდამსხმელი **ენრიკე** გადაიბირა. ენრიკე 2011 წელს კოლუმბიაში ჩატარებული 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ფეხბურთელთან 18-თვიანი საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა. ამასთან "ქუინზ პარკი" ფლობს ფეხბურთელის უპირატესი შესყიდვის უფლებასაც.

**ლევან ბიბილაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# ჩელსი აზარს მოელაპარაკა, მაგრამ იუნაიტედი არ ნებდება

გუშინ საღამოს "დეილი მეილმა" საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა. ტაბლოიდის მტკიცებით, "არისტოკრატებმა" საფრანგეთის ჩემპიონ "ლილის" ლიდერ **ედენ აზართან** პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს. როგორც ჩანს, ბელგიელი კარიერას "სტემფორდ ბრიჯზე" 2012/13 წლების სეზონიდან განაგრძობს. ფეხბურთელის აგენტის თქმით, ინგლისურ კლუბს ფეხბურთელი 30 მილიონი ევრო დაუჯდება. შეგახსენებთ, რომ "ჩელსის" გარდა 21 წლის აზარის სამსახურით "მანჩესტერ იუნაიტედი" და "რეალიც" არიან დაინტერესებულები. მიმდინარე სეზონში "ძაღლების" საუკეთესო მოთამაშემ 28 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა და ამას გარდა 6 საგოლე გადაცემაც მიითვალა.

**ლევან ბიბილაშვილი**

*P.S. მოგვიანებით იმავე "დეილი მეილმა" დაწერა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" "ლილისთვის" 30 მილიონზე მეტისა და ფეხბურთელისთვის უკეთესი პირობების შეთავაზებასაც გეგმავს. როგორც ჩანს, ინგლისური გრანდების ჭიდილში "რეალი" განზე გადგა.*







ედინ ჯეკოს მატჩის ერთადერთი გოლი გააქვს

● მანჩესტერ სიტი

# მეხუთე ისტორიაში

"მანჩესტერ სიტი" პრემიერლიგის ისტორიაში მეხუთე გუნდი გახდა, რომელმაც 21 შეხვედრაში 50-ქულიანი ზღვარი გადალახა. მსგავსი მიღწევა ჰქონდა "ლივერპულს" 1987/88 წლებში, "მანჩესტერ იუნაიტედს" 1993/1994, 2003/2004 და 2006/2007 წლების სეზონებში, "ჩელსის" 2004/05-ში და "არსენალს" 2007/08-ში. რისი თქმა შეიძლებოდა მატჩის დაწყებამდე? ის, რომ ინტრიგას ცხრილის პოლუსებზე მყოფი გუნდებისგან ნაკლებად ველოდით და მაღალი კლასის ფეხბურთელებით განებივრებული "ქალაქელები" შეხვედრას აუცილებლად მოიგებდნენ, მაგრამ ყველაფერი არც ისე მარტივად იყო. მასპინძლებს 6-თამაშიანი მოუგებელი სერია ჰქონდათ, "სიტის" თავის მხრივ 3 გასვლითი შეხვედრა ჰქონდა მოუგებელი, აქედან 2 წაგება "ჩელსისთან" (2:1) და "სანდერლენდთან" (1:0) და ნულოვანი ფრე "ვესტ ბრომვიჩთან".

მატჩი მოულოდნელად, "უიგანის" გააფთრებული შეტევით დაიწყო. **კრუსატის** ჩაწოდების შემდეგ "სიტის" საჯარიმოში სრული ქაოსი იყო. ბურთის დასაუფლებლად უიგანელები **გომესი** და **მოზესი** იბრძოდნენ. სიტუაცია იმით განიმუხტა, რომ **მაკარტურის** მიერ 14-15 მეტრიდან დარტყმული **ჯეიმს მილნერს** ფეხში მოხვდა და კუთხურზე გადავიდა. რომ არა ეს, გასწვდებოდა თუ არა **ჯო ჰარტის** ოსტატობა ამ დარტყმას, არავინ იცის. სტუმრებმა შეხვედრა მალე დაალაგეს და სერიოზული ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვეს. რეალური საგოლე მომენტები უკვე კანტიკუნტად იქმნებოდა. 22-ე წუთზე მარჯვენა ფლანგზე **ედინ ჯეკო** ძირს დასცეს. საჯარიმო **დავიდ სილვამ** შეასრულა და ბოსნიელს პირდაპირ თავზე დაასვა. კარისკენ ზურგით მდგარმა თავდამსხმელმა მაინც შეძლო ბურთის კარში გადაგზავნა. ომანელ გოლკიპერ **ალ-ჰაბსის** გუნდის ხსნის შანსი არ ჰქონდა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ძალიან მოინდომეს. ისინი პრესინგს პრაქტიკულად მთელ მოედანზე მიმართავდნენ. ბურთს კარგად აკონტროლებდნენ და ძალიან ფრთხილად თამაშობდნენ საჯარიმოს მისადგომებთან. სტუმრები ძირითადად კონტრშეტევების იმედად იყვნენ, თუმცა მათ გამოხტომებს ალ-ჰაბსი დამაჯერებელი თამაშით პასუხობდა. შეხვედრის მინურულისკენ მოედანზე სიტუაცია ცოტა დაიძაბა, მაგრამ "სიტიმ" გაძლო და თანაქალაქელ "იუნაიტედს" ისევ 3 ქულით გაასწრო ცხრილში.

BBC-ის საფეხბურთო მიმომხილველმა **ჯონათან სტივენსონმა** "სიტის" მოგებას განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა უწოდა, რადგან მომავალ უქმეებზე პრემიერლიგაში ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართება. "ქალაქელები" შინ "ტოტენჰემს" მიიღებენ, "მანჩესტერ იუნაიტედი" კი ლონდონში "არსენალს" ეწვევა. ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებს შორის დაპირისპირება თავისთავად დამაინტრიგებელია. თუკი "დეზებს" პირველი ადგილისთვის ბრძოლის ამბიცია აქვთ, და რომ აქვთ, ამაზე, მგონი, არავინ დავობს, მაშინ მათ "სიტი ოფ მანჩესტერზე" წაგების უფლება უბრალოდ არ აქვთ. თანაც ლონდონელებს პირველ წრეში სამარცხვინო წაგების გამო (28 აგვისტო, 5:1 "უაით ჰართ ლეინზე") რევანშიც ასალები აქვთ. პრემიერლიგის ინტრიგას მეტი რაღა შესაკმაზი სჭირდება?

**მატჩის შემდგომ**

**რობერტო მანჩინი** (მანჩესტერ სიტი): *"ზედიზედ ორი სათასო შეხვედრის წაგების შემდეგ, რასაც ნამდვილად არ ვიმსახურებდით, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპი ახლოვდება და ამიერიდან იოლი მატჩები აღარც გვექნება. მიმაჩნია, რომ პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორეში კი მოვუკელით. მეორე გოლის გასატანად 3-4 მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. "უიგანი" კარგი გუნდია, მან ეს "ჩელსისთან" და "ლივერპულთან" შეხვედრებში დაამტკიცა. როცა მატჩი 1:0 მთავრდება, ბოლო წუთები ყოველთვის ნერვიულია, თუმცა ჩვენ მაინც გავუძელით. მოხარული ვარ, რომ გოლი სწორედ ედინ ჯეკომ შეაგდო. მან ნამდვილად დაიმსახურა ეს. იმედი მაქვს, ედინი ასეთივე მონდომებული იქნება მომდევნო შეხვედრებშიც. ჩვენ უამრავი ფეხბურთელი გვაკლია და უმთავრეს პრობლემას სწორედ ეს გვიქმნის. ამის მიუხედავად მთავარი შედეგია".*

**ედინ ჯეკო** (მანჩესტერ სიტი): *"მატჩის განმავლობაში გატანა კიდევ 2-3-ჯერ შემეძლო, თუმცა ამ ყველაფერს ამიერიდან მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. იმითაც ბედნიერი ვარ, რომ გუნდს ასეთ რთულ შეხვედრაში 3 ქულის მოპოვებაში დავეხმარე".*

● ლივერპული

# ლივერპული მარტო არ რჩება

სეზონის დასრულების შემდეგ კომპანია "ადიდასისა" და "ლივერპულის" გზები გაიყოფა. ეს გადაწყვეტილება გერმანელებმა ახალი წლის დღეებში მას მერე მიიღეს, რაც მერსისაიდელებმა ახალი კონტრაქტის სანაცვლოდ იმაზე ლამის ორჯერ მეტი მოითხოვეს, ვიდრე ისინი სთავაზობდნენ. კომპანიის წარმომადგენლის თქმით, ინგლისელების მადა არალოგიკურია იმ შედეგების გათვალისწინებით, რასაც "ლივერპული" ბოლო წლებში საფეხბურთო მოედნებზე აჩვენებს. *"ლივერპულს" ძალიან დიდი ფინანსური მოთხოვნები აღმოაჩნდა. იმდენს, რასაც ისინი ითხოვდნენ, ვერ და არ გადავიხდიდით. ამის მერე ჩვენ მათ ვუთხარით, რომ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარს ვამბობდით. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად წარმატებული ხარ მოედანზე, რამდენად პოპულარული ხარ და ხშირად ჩანხარ თუ არა სატელევიზიო ეთერში, რათა შენი საქონლით ვაჭრობა გაიზარდოს და ჩვენ აქედან მოგება ვნახოთ. "ლივერპულის" შემთხვევაში ეს ბალანსი დარღვეული იყო,"* – განაცხადა "ადიდასის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ჰერბერტ ჰაინერმა**.

არ იქნება "ადიდასი", იქნება ვილაც სხვა – ამ პრინციპიდან გამომდინარე მერსისაიდელებმა გერმანელებს შემცვლელი მალე მოუნახეს. "ლივერპულს" მომდევნო 6 წლის განმავლობაში ამერიკული ფირმა "ვორიორ სპორტსი" შემოსავს. აქვე გეტყვით, რომ ის კლუბს წელიწადში 25 მილიონ ფუნტს გადაუხდის. "წითლებს" "ნაიკი" ცოტათი ნაკლებს – 23.3 მილიონს სთავაზობდა. მათთან შედარებით "ადიდასის" წინადადება მართლა სასაცილოა - გერმანელები მხოლოდ 13 მილიონს იხდიდნენ.



"ტელეგრაფის" ინფორმაციით, "ლივერპულის" ახალმა დირექტორატმა უარი თქვა ფუტურისტულ დიზაინში გადაწყვეტილი "სტენლი პარკის" მშენებლობაზე. ეს იდეა ჯერ კიდევ **ტომ ჰიკსისა** და **ჯორჯ ჟილეტის** დროს იყო დამტკიცებული. ახალ არენას მერსისაიდელები მავანი მანჩესტერელი დიზაინერის მიერ ჯერ კიდევ 2000 წელს შეთავაზებული პროექტით ააგებენ. 60-ათასიანი სტადიონის მშენებლობა მალე დაიწყება. კლუბი ჯერჯერობით ინვესტორებს ეძებს, რომლებიც 300 მილიონად ღირებულ პროექტში კლუბს გვერდით დაუდგებიან.

მერსისაიდელებმა საზაფხულოდ გეგმები უკვე დააწყვეს. გუნდი ივლისის ბოლოს ამერიკაში გაემგზავრება, სადაც "რომასთან" ამხანაგურ შეხვედრას ბოსტონის 37.4-ათასიან "ფინვეი პარკზე" გამართავს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სტადიონზე თამაშობს ბეისბოლის გუნდი "ბოსტონ რედ სოქსი". აღნიშნული კლუბის მფლობელი კი "ლივერპულის" მესაკუთრე **ჯონ ჰენრია**. ბოსტონის გარდა "წითლები" ჩავლენ ჩიკაგოში, სადაც "ჩელსის" შეხვდებიან, შემდეგ კი ტორონტოში გაემგზავრებიან კიდევ ერთი ამხანაგურ შეხვედრის გასამართად. მეტოქე ჯერჯერობით უცნობია.

ბოლოს კი სატრანსფერო ამბებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. "დეილი სტარი" წერს, რომ "ლივერპული" მზადაა "სუონსის" 22 წლის მარცხენა ნახევარმცველ **სკოტ სინკლერში** 5 მილიონი ფუნტი გადაუხადოს. ხმები ფეხბურთელის მიმართ **კენი დალგლიშის** ინტერესზე დიდი ხანია ვრცელდებოდა, ამჯერად კი ინფორმაცია უფრო კონკრეტულია. უელსური კლუბი ჯერჯერობით დუმს. "დეილი მეილის" ცნობით, "ენფილდზე" შეიძლება იანვარშივე აღმოჩნდეს "გრონინგენის" 20 წლის ურუგვაელი შემტევი **დავიდ ტეიშეირა**. მისი ტრანსფერი კლუბს 3-დან 4 მილიონამდე დაუჯდება. სამაგიეროდ უკვე გარკვეულია, რომ "ლივერპული" ბელგრადის "პარტიზანს" 17 წლის თავდამსხმელის **ლაზარ მარკოვიჩისთვის** ბრძოლას ჩამოშორდა, რადგან კლუბმა მასში ასტრონომიული თანხა – 17 მილიონი ევრო მოითხოვა.

● ამბები

## დეზებიდან წმინდანებში

"ტუტესპორტის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბმა ტურინის "იუვენტუსისგან" 21 წლის ესპანელი ნახევარმცველის **იიგო ფილეს** სატრანსფერო უფლებები გამოისყიდა. ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში "დეზების" რიგებში იჯარით თამაშობდა და სულ რაღაც 6 მატჩი ჩაატარა, თუმცა ახლა უკვე სრულფასოვანი კონტრაქტი გააფორმა. კლუბმა გაითვალისწინა ფეხბურთელის თხოვნა და სათამაშო პრაქტიკის მიღების მიზნით ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ჩემპიონშიპის პირველადგილოსან "საუთჰემპტონში" გაანათხოვრა, სადაც ის სეზონის დასრულებამდე დარჩება.

## არისტოკრატთა გეგმები

იტალიური სპორტული ვებგვერდების ცნობით, "ჩელსიმ" სერია A-დან 2 ვარსკვლავის გადაბირება მოინდომა – ლაპარაკია "ნაპოლის" 24 წლის ურუგვაელ თავდამსხმელ **ედინსონ კავანისა** და "ფიორენტინას" 22 წლის შემტევზე, ჩერნოგორიელ **სტევან იოვეტიჩზე**. პირველის ხელში ჩასაგდებად კლუბი 40 მილიონ ევროს იმეტებს, მეორეში კი 17 მილიონს იხდის. კავანის გადაბირება არაერთ ევროპულ გრანდს სურს, მაგრამ ნეაპოლელთა ხელმძღვანელობა ჯერჯერობით ფეხბურთელის გაყიდვაზე უარსაა. რაც შეეხებათ ფლორენციელებს, ისინი სტევანს 24 მილიონად აფასებენ.



ედინსონ კავანი

"სუონსის" დირექტორის **ჯონ ვან ზვედენის** თქმით, მის კლუბს უკვე დაუკავშირდნენ "მანჩესტერ იუნაიტედის", "ჩელსისა" და "ნიუკასლის" წარმომადგენლები 28 წლის ჰოლანდიელი მეკარის **მიხელ ვორმის** ტრანსფერის თაობაზე. ჰოლანდიის ნაკრების მეკარით დაინტერესებულია ასევე "ტოტენჰემი", რომელიც გამალებით ეძებს ახალგაზრდა, საიმედო კარის დარაჯს. ვან ზვედენის თქმით, უელსურ კლუბს არ შეუძლია ფეხბურთელს ისეთივე ანაზღაურება შესთავაზოს, რასაც გრანდები ჰპირდებიან და შესაბამისად, მასთან განშორება ალბათ ზაფხულზევე მოუწევთ.

## არასერიოზული ტრავმა

21-ე ტურში "ქუინზ პარკთან" მატჩის 25-ე წუთზე "ნიუკასლის" 24 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა, ფრანგმა **იოან კაბაიმ** ტრავმა მიიღო. **ალან პარდიუ** იძულებული გახდა, მოედანზე მის ნაცვლად **ჰატემ ბენ არფა** გამოეყვანა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ცხადი გახდა, რომ კაბაის სერიოზული არაფერი სჭირს. ფეხბურთელი ვარჯიშს დღესვე შეუდგება, ასე რომ, "ფულჰემთან" მატჩისთვის (21 იანვარი) ის მოედანზე იქნება. იოანს წელს 21-დან 20 შეხვედრა აქვს ჩატარებული და ყველა ძირითად შემადგენლობაში. მის ანგარიშზეა 2 გოლი და ამდენივე შედეგიანი გადაცემა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A. XVIII ტურის შეჯამება

# ფეხბურთელები მწვრთნელების ჩრდილში

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ XVIII ტურის შემდეგ, სერია A-ს მიმდინარე გათამაშება კიდევ უფრო საინტერესო გახდა. ლიდერთა სამეულმა ქულები დაკარგა, „ლაციომ" და „ინტერმა" კი სამ-სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში და ცხრილის მწვერვალზე ვითარება უკიდურესად დაძაბეს. თავად განსაჯეთ, ამ დროისთვის ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ერთბაშად შვიდი გუნდი იბრძვის. საყოველთაო ვარაუდით, „მილანი' და „იუვენტუსი" არ დათმობენ ადგილს სამეულში და გამოდის, რომ დარჩენილი ერთადერთი ადგილისთვის ბრძოლა ხუთ გუნდს შორის გაჩაღდება - ბარემ ჩამოვთვალოთ: „უდინეზე", „ლაციო", „ინტერი", „ნაპოლი" და „რომა".

■ ■ ■

რაც შეეხება უშუალოდ XVIII ტურს, მთავარ თემად რა თქმა უნდა მილანური დერბი რჩება, რომელიც ბევრისთვის მოულოდნელად, „ინტერის" გამარჯვებით დასრულდა. აღსანიშნავია „კატანია"-"რომას" მატჩის გადადება, რისი მიზეზიც ძლიერი წვიმა გახდა - უფრო სწორად, ბოლო 25 წუთის გადადება და თუ როდის ჩამთავრდება სიცილიურ-დედაქალაქური დაპირისპირება, ჯერ კიდევ უცნობია.

აქვე ვთქვათ ორშაბათს გამართული „ნაპოლი"-"ბოლონიას" დაპირისპირების შესახებ, რადგან გასაგებ მიზეზთა გამო, ტურის მიმოხილვაში ამ პაექრობაზე არაფერი გვითქვამს და ვერც ვიტყოდით... **ვალტერ მაძარის** შეგირდებმა მთელი თამაში შეტევებში გალიეს, მაგრამ როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება, საკუთარ ნახევარზე გამაგრებულ მეტოქესთან ბევრი ვერაფერი გააწყვეს. **რობერტ აკვაფრესკას** მიერ პირველ ტაიმში გატანილ გოლს, **ედინსონ კავანიმ** ზუსტი თერთმეტმეტრიანით უპასუხა და შეხვედრა ასეც დასრულდა, 1:1. ნამატჩევს, ნეაპოლელთა თავკაცმა შემდეგი განაცხადა:

*„მინდა შევაქო მეტოქე, რომელიც ძალიან კარგად იცავდა თავს და მთლიანობაში, ქულა დამსახურებულად მოიპოვა. ჩვენმა რამდენიმე ფეხბურთელმა შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინდა, რისთვისაც დავისაჯეთ. კარგად უნდა გავითავისოთ, რომ ბოლომდე დახარჯვის გარეშე, მიზანს ვერასდროს მიაღწევ. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი და „ბოლონიასთან" მატჩმა ეს თვალნათლივ დამანახვა".*

### ტურის სიმბოლური ნაკრები

ფრეი (ჯენოა) - პულცეტი (ბოლონია), ანტონსონი (ბოლონია), ლუსიო (ინტერი), ნაგატომო (ინტერი) - ძანეტი (ინტერი), ბრედლი (კიევო) - იანკოვიჩი (ჯენოა), კოსუ (კალიარი) - მუტუ (ჩეზენა), მილიტო (ინტერი).

ტურის სიმბოლური ნაკრები იშვიათი ტაქტიკით განვალაგეთ: 4-2-2-2 და შეტევის წინა ხაზზე **დიეგო მილიტოსთან** ერთად, **ადრიან მუტუ** გავამწესეთ. არგენტინელმა თვით მილანური დერბის ბედი გადაწყვიტა და ბუნებრივია, რომ რჩეულთა შორის მოხვდა, რუმინელმა კი „ნოვარას" შეუსრულა დუბლი და „ჩეზენას" სასიცოცხლო მნიშვნელობის ქულები მოუტანა. მოკლედ, შეტევაში ორი ვეტერანი გვყავს, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რომ ფეხბურთის თამაში დიდებულად შეუძლიათ.

ფორვარდთა უკან **იანკოვიჩი** და **კოსუ** გამწესდნენ - პირველმა „ჯენოას" მიერ „უდინეზეს" ძლევაში დაიდო ლომის წილი, მეორემ კი „იუვენტუსს" საუცხოო გოლი გაუტანა. საყრდენ ნახევარმცველებად **ძანეტი** და **ბრედლი** გამოირჩნენ, განსაკუთრებით არგენტინელი უნდა გამოვყოთ, რომელმაც მილანურ დერბიში უმაღლესი პროფესიონალიზმი გამოავლინა - უკვე აღარც გვჯერა, რომ ძანეტი ოდესმე ფეხბურთის თამაშს თავს დაანებებს.

დაცვა ორი გუნდის ფეხბურთელებით დაკომპლექტდა - **სამუელი** და **ნაგატომო „ინტერიდან", პულცეტი** და **ანტონსონი „ბოლონიადან"**. „ინტერისტებმა" „მილანის" ფორვარდებს ფაქტობრივად არაფერი შეაქმნევინეს და ამით ყველაფერია ნათქვამი, ბოლონიელებმა კი „ნაპოლის" დაწოლას გაუძლეს და „სტადიო სან პაოლოდან" ქულა წაიღეს.

## ტურის გმირი

პირველად ამ სეზონში, ტურის გმირად მწვრთნელი უნდა შევრაცხოთ და არა ფეხბურთელი. ათასჯერ მაინც ვთქვით, ან რა თქმა სჭირდება, რომ მთავარი შეხვედრა „სან სიროზე" გაიმართა, სადაც ერთმანეთის პირისპირ მილანური გრანდები წარდგნენ - მატჩი არცთუ სანახაობრივი გამოდგა და უფრო ტაქტიკურ ჭიდილში ჩაიარა - შესაბამისად, ყველაზე მთავარი ფიგურები მწვრთნელები გახლდნენ და არა ფეხბურთელები.



კლაუდიო რანიერი, დერბის და ტურის მთავარი გმირი



რობერტო დონადონიმ კარგად დაიწყო



კატანია-რომა, პაბლო ტალიავენტი ბურთი მინდორზე დაადო და თამაში შეწყვიტა



ნაგატომო და მილიტო, ორივე სიმბოლური

**კლაუდიო რანიერიმ** განგებ დახია თავისი გუნდი საკუთარ ნახევარზე და „მილანს" კონტრიერიშებზე ეთამაშა. ამასთან, მეტოქის ნახევარზე გადასულ „მილანელებს" „შავ-ლურჯები" სიხისტის ზღვარზე ეთამაშებოდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ. შესანიშნავად იყო დარეგულირებული კავშირი რგოლებს შორის და საერთოდაც, „ინტერმა" იდეალურად აწყობილი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, ფეხბურთელთა ქმედებებში წუნი შეიმჩნეოდა, მაგრამ რანიერის გათვლებს ეს ჩრდილს ვერაფრით მიაყენებს. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ მილანური დერბი დიეგო მილიტოს გოლმა მოიგო, ტურის გმირი „ინტერის" მთავარი მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი გახლავთ.

## ტურის დებიუტი

ტურის დებიუტსაც მწვრთნელთან მივყავართ და თანაც, „ენიო ტარდინიზე", იქ, სადაც „პარმამ" მოუგებელი მატჩების სერია შეწყვიტა და „სიენა" დამაჯერებლად დაამარცხა, 3:1.

ემილიურმა გუნდმა პირველად ითამაშა **რობერტო დონადონის** თავკაცობით და დებიუტი მართლაც რომ შესაშური გამოვიდა. დონიმ „პარმას' ტაქტიკური მონახაზი შეცვალა, გუნდი 3-4-3 სქემაზე გადაიყვანა და ძირითად შემადგენლობაში სამი ყველაზე ცნობილი შემტევი ერთად დააყენა - ლაპარაკია **სერჯო ფლოკარიზე, ჯონათან ბიაბიანსა** და რაღა თქმა უნდა, **სებასტიან ჯოვინკოზე**. დონადონის გადაწყვეტილებამ სრულად გაამართლა, „პარმას" შეტევები მრავალფეროვანი და ძალიან კარგი საყურებელი გახლდათ, რაც მთავარია, ამან შედეგი გამოიღო და ემილიელებმა უმნიშვნელოვანესი ქულები ჩაიწერეს აქტივში. ნამატჩევს, დონი ბედნიერი იყო:

*„ფეხბურთელებმა ჩემი დავალებები პირნათლად შეასრულეს და მინდა ამისთვის მათ მადლობა მოვუხადო. ჯერ კიდევ გზის დასაწყისში ვართ და ბუნებრივია, ჩვენი თამაში უკეთესის სურვილს ტოვებს, თუმცა პროგრესი უკვე სახეზეა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სადებიუტო შეხვედრა წარმატებული გამოდგა, თუმცა მთავარი ბრძოლები წინ არის და თითოეულ პაექრობას 100%-ით მომზადებულნი უნდა შევხვდეთ".*

## ტურის ფრაზა

**დელიო როსი (ფიორენტინას მთავარი მწვრთნელი):** *„როდესაც XVII ტურში „ნოვარა" დავამარცხეთ, ჩავთვალე, რომ სწორ გზას დავადექით... თუმცა, ყველაფერი ასე მარტივად არ ყოფილა და „ლეჩესთან" მარცხმა ნათლად დამანახვა, რომ სეზონის დარჩენილი ნაწილი ცრემლიანი და სისხლიანი იქნება (!!!)".*

### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** XVIII ტური, მილანი-ინტერი, 85 000 გულშემატკივარი

**ყველაზე დაბალი დასწრება:** XVII ტური კალიარი-ჯენოა, XVIII ტური კიევო-პალერმო, 6 000 გულშემატკივარი

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური), ინტერი-პარმა 5:0 (XVII).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X), ნოვარა-ფიორენტინა 0:3 (XVII).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური), ლეჩე-მილანი 3:4 (VIII), ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I).

### სერიები

მოგება: ინტერი - 6 თამაში

წაგება: ატალანტა, ნოვარა, პალერმო - 3

წაუგებლად: იუვენტუსი - 18

მოუგებლად: პალერმო, ნოვარა - 6

### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: 37 გოლი - მილანი; 33 - ნაპოლი; 29 - იუვენტუსი.

საუკეთესო დაცვა: 12 გაშვებული - იუვენტუსი; 13 - უდინეზე; 16 - ფიორენტინა.

უარესი თავდასხმა: 12 გოლი - ჩეზენა; 14 - კიევო; 16 - კალიარი.

უარესი დაცვა: 35 გაშვებული - ნოვარა; 34 - ლეჩე; 32 - პარმა.

ზუსტი გადაცემები: 10163 - მილანი; 9461 - იუვენტუსი; 9067 - რომა.

კარის მიმართულებით დარტყმები: 314 - იუვენტუსი; 278 - ინტერი; 274 - რომა.

კარში დარტყმები: 115 - იუვენტუსი; 96 - მილანი; 87 - ნაპოლი, ჯენოა.

### ინდივიდუალური სტატისტიკა

**ბომბარდირები:** 13 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 12 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ხერმან დენისი (ატალანტა); 11 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 9 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა), მიროსლავ კლოზე (ლაციო).

**ასისტენტები:** 7 - ანტონიო კასანო (მილანი); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა), პაბლო არმერო (უდინეზე); 5 - ჯიბრილ სისე (ლაციო), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

ზუსტი პასები: 1304 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 1256 - დანიელე დე როსი (რომა); 1228 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 1071 - მიგელ ველოზო (ჯენოა); 1068 - ტიაგო სილვა (მილანი).

კარის მიმართულებით დარტყმები: 82 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 73 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 68 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 58 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 56 - ადრიან მუტუ (ჩეზენა).

კარში დარტყმები: 35 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 29 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 25 - ხერმან დენისი (ატალანტა); 22 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 21 - ადრიან მუტუ (ჩეზენა); 19 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 17 - მარკო რიგონი (ნოვარა).

ჯარიმები: 47 - მაქსი ლოპესი (კატანია), ჯამპიერო პინცი (უდინეზე); 46 - ლუკა ჩიგარინი (ატალანტა); 44 - პერპარიმ ჰეტემაი (კიევო), ხუან კუადრადო (ლეჩე); 38 - ხერმან დენისი (ატალანტა); 37 - სტეფანო მორონე (პარმა), დანიელე კონტი (კალიარი).

### ციფრები და ფაქტები

- „მილანმა" დერბიში სამმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა;

■ ■ ■

- კლაუდიო რანიერის ბოლო 8 დერბიდან არც ერთი არ აქვს წაგებული, დაწყებული ტურინულით, გაგრძელებული რომაულით და დასრულებული განვლილი მილანური დაპირისპირებით;

■ ■ ■

- „მილანმა" 2010 წლის დეკემბრის შემდეგ, პირველად წააგო სერია A-ს პაექრობა საკუთარ მოედანზე;

■ ■ ■

- ედუარდო რეიამ „ატალანტას" ძლევით მე-300 გამარჯვება მოიპოვა სამწვრთნელო კარიერაში;

■ ■ ■

- „ლეჩემ" „ფიორენტინას" საშინაო გამარჯვებათა სერია შეწყვიტა, რომელიც 5 მატჩს შეადგენდა;

■ ■ ■

- „ლეჩემ" პირველი გამარჯვება მოიპოვა სერსე კოსმის თავკაცობით;

■ ■ ■

- „ჯენოას" მცველმა ანდრეას გრანკვისტმა პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში;

■ ■ ■

- „ჯენოამ" „უდინეზეს" წაუგებელი სერია შეწყვიტა, რომელიც 6 მატჩს შეადგენდა;

■ ■ ■

- „პარმამ" პირველი შეხვედრა მოიგო გასული წლის 20 ნოემბრის შემდეგ;

■ ■ ■

- „სიენას" არასდროს მოუპოვებია სამი ქულა „ენიო ტარდინიზე";

■ ■ ■

- ადრიან მუტუს 101 გოლი აქვს სერია A-ში გატანილი, ამ მაჩვენებლით ის ლუკა ტონის და პიერ პაოლო ვირდისს გაუთანაბრდა;

■ ■ ■

- „კიევოს" საკუთარ მოედანზე 4 მატჩია არ წაუგია;

■ ■ ■

- „პალერმოს" გასვლაზე გასული წლის 15 მაისის შემდეგ არ მოუგია;

■ ■ ■

- „სიენას" ფეხბურთელმა პაოლო გროსიმ პირველი გოლი გაიტანა სეზონში, რაც მე-60 000 (!!!) გამოდგა სერია A-ს ისტორიაში;

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 18 | 10 | 8 | 0 | 28-11 | 38 |
| 2. მილანი | 18 | 11 | 4 | 3 | 37-17 | 37 |
| 3. უდინეზე | 18 | 10 | 5 | 3 | 26-13 | 35 |
| 4. ლაციო | 18 | 9 | 6 | 3 | 26-17 | 33 |
| 5. ინტერი | 18 | 10 | 2 | 6 | 28-19 | 32 |
| 6. ნაპოლი | 18 | 7 | 7 | 4 | 33-20 | 28 |
| 7. რომა | 17 | 8 | 3 | 6 | 23-19 | 27 |
| 8. ჯენოა | 18 | 7 | 3 | 8 | 22-29 | 24 |
| 9. კიევო | 18 | 6 | 5 | 7 | 14-20 | 23 |
| 10. კალიარი | 18 | 5 | 7 | 6 | 16-18 | 22 |
| 11. კატანია | 17 | 5 | 7 | 5 | 20-25 | 22 |
| 12. პარმა | 18 | 6 | 4 | 8 | 24-32 | 22 |
| 13. ფიორენტინა | 18 | 5 | 6 | 7 | 18-16 | 21 |
| 14. პალერმო | 18 | 6 | 3 | 9 | 19-24 | 21 |
| 15. ატალანტა | 18 | 6 | 8 | 4 | 23-23 | 20 |
| 16. ბოლონია | 18 | 5 | 4 | 9 | 17-25 | 19 |
| 17. სიენა | 18 | 4 | 6 | 8 | 19-19 | 18 |
| 18. ჩეზენა | 18 | 4 | 3 | 11 | 12-25 | 15 |
| 19. ლეჩე | 18 | 3 | 3 | 12 | 18-34 | 12 |
| 20. ნოვარა | 18 | 2 | 6 | 10 | 18-35 | 12 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

### მომდევნო ტური

21 იანვარი: კალიარი-ფიორენტინა, რომა-ჩეზენა, ატალანტა-იუვენტუსი.

22 იანვარი: ბოლონია-პარმა, ლეჩე-კიევო, ნოვარა-მილანი, პალერმო-ჯენოა, სიენა-ნაპოლი, უდინეზე-კატანია, ინტერი-ლაციო.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. მსოფლიოს თასი

# განსხვავებული მოტივაციით

28-29 იანვარს თბილისის გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლე ვაჟ ძიუდოისტთა მსოფლიოს თასს უმასპინძლებს. მონაწილეობაზე დასტური უკვე მოვიდა 37 ქვეყნიდან, ორიც მხოლოდ მსაჯთა დონეზე იქნება წარმოდგენილი. მისასალმებელია, რომ ძიუდოს გეოგრაფიის ზრდის ტენდენცია ჩვენს ტურნირზეც გაგრძელდება. ორი ისეთი ქვეყანაც ჩამოდის, სრულიად ძიუდოს სამყაროსთვისაც რომ არიან უცხონი - პერუ და ვენესუელა. თუმცა ვერ ვიხილავთ ისეთ აღიარებულ გუნდებს, როგორებიცაა იაპონია, კორეა, ბრაზილია და კუბა.

2004 და 2008-შიც ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, რაც სალიცენზიო სტატუსმაც განაპირობა. ამჯერად კი ეს ფაქტორი ხელის შემშლელიც გამოდგა - მსოფლიოს რეიტინგის მოწინავე ფალავანთა უმეტესობა, რომელთაც განაღდებული აქვთ ლონდონის საგზური, არ ჩამოდის. ამჯობინეს მშვიდად მოემზადონ თამაშებისთვის. აქ ძირითადად ისინი იჭიდავებენ, ვისაც ლონდონში წასასვლელად ჯერ კიდევ ცხარე ბრძოლა მოელით. თუმცა სახელობითი შემადგენლობით წლევანდელი შეჯიბრება მაინც ვერ იქნება იმდენად ძლიერი, როგორიც 2004-2005 წლებში იყო. მაშინ ეს ფედერაციის იმჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტის **გია ნაცვლიშვილის** ძალისხმევამაც განაპირობა, რომელიც კონკრეტულ ქვეყნებთან თუ ფალავნებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, რამაც ნაყოფიც გამოიღო. მაგალითად, იაპონელებს უძლიერესი შემადგენლობის გამოგზავნა სთხოვა და რაკი მოლაპარაკებებში იქაური ძიუდოს ცოცხალი ლეგენდა **იამასიტაც** ჩართო (ამ საკითხის მოსაგვარებლად ტოკიოში კანოს ტურნირზე წარმომადგენლობითი დელეგაციაც კი წაიყვანა **შოთა ჩოჩიშვილის, თემურ ხუბულურის** და სხვა ცნობილ ქართველ ვეტერანთა შემადგენლობით, **შოთა ხაბარელი** კი ნაკრების მწვრთნელის სტატუსით ისედაც მონაწილეობდა პროცესებში), მიზანსაც მიაღწია. სხვათაგან ზოგს მგზავრობის საფასური აუნაზღაურა, ზოგს - პრემია გადაუხადა და ასე შემდეგ... ამგვარმა მიდგომამ 2004 წელს თუ ძლიერ ფალავანთა უმეტესობა ლიცენზიის ძებნის სურვილმა გამორეკა აქეთ, 2005 წლის შემადგენლობა, ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი იყო ამ შეჯიბრების უახლეს ისტორიაში.

წლეულს რამდენიმე საინტერესო ფალავანს მაინც ვნახავთ. მაგალითად, იქნებიან ესპანელი და ესტონელი ევროპის ჩემპიონები **დავიდ ალარზა** (90) და **მარტინ პადარი** (+100), ჰოლანდიელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ხრიმ ვუიჯსტერსი** (+100) და ევროპის ესტონელი ბრინჯაოს პრიზიორი **კინტერ როტბერგი** (73), ირანელი მძიმეწონოსანი **მოჰამედ როდაკი**, რომელიც სალიცენზიო ზონაში ჯერ ვერ შედის და ქულები ჰაერივით სჭირდება. საკმაოდ ძლიერი გუნდით ჩამოდიან პოლონელები - ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **რობერტ კრავჩუკი** (90), ევროპისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორი **კრშიშტოფ ვილკომირსკი** (73), **კრშიშტოფ ვეგლარცი** (90) და **გრჟეგოჟ ეიტელი** (+100). როგორც ვხედავთ, მათ 90-ში ორი კაცი მოჰყავთ, რადგან შიდა კონკურენციის გადაწყვეტა სურთ. ჩვენს ტურნირს ამავე მიზნით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თურქებიც, რომლებიც სულ რამდენიმე კაცით ჩამოდიან, მაგრამ 73-ში **სეზერ ჰიუზუსიც** ეყოლებათ და ევროპის პრიზიორი **ჰასან ვანლიოლლუც**. ტრადიციულად, გაურკვეველია ჰოლანდიელთა საბოლოო სია - მასში ძმები **ელმონტებიც** შედიან, **ჰენკ ხროლიც** (100) და **ჟერონ მოორენიც** (60), მაგრამ ოთხივე კითხვის ნიშნითაა ანუ მათი ჩამოსვლა გადაწყვეტილი არაა. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია **ვუიჯსტერის, ლუკ ვერბიხის** (+100) და **იესპერ დე იონგის** ჩამოსვლა. ეს უკანასკნელი 66-ში ლიცენზიისთვის ბრძოლაში ჩვენი **შალვა ქარდავას** უშუალო კონკურენტია ევროპული კვოტისთვის ბრძოლაში. ლიდერები არც რუსებს ჰყავთ. ყველაზე ცნობილები მსოფლიო უნივერსიადის გამარჯვებული **აბდულ ომაროვია** (90), მძიმე წონაში - მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ალექსანდრ მიხაილინის** უმცროსი ძმა **ვიაჩესლავ მიხაილინი** (100) და **სოსლან ბოსტანოვი** (+100). ტიტულოვანი ფალავნები არც ფრანგებს, გერმანელებს და ბრიტანელებს მოჰყავთ.

ჩვენი ფედერაციის დიდი სურვილის მიუხედავად, მონაწილეობაზე ბრაზილიელებმა ამჯერადაც უარი გვითხრეს. ზუსტად მაგ პერიოდში ბრაზილიის ჩემპიონატს ვატარებთ, რომელშიც ყველა წამყვანმა ძიუდოისტმა უნდა იჭიდაოსო, - მოგვწერეს. გამოდის, როცა ბრაზილიაში საქმე ქვეყნის ჩემპიონატს ეხება, ტიტულები და მიღწევები არავის აძლევს შეღავათს. ისე, მათ შვიდივე წონაში განაღდებული აქვთ ლიცენზია და თან ეჭვიც არ შეგვეპაროს, არც ლონდონში წავლენ უბრალო მონაწილეებად.

ცხადია, მკითხველს უპირველესად, ჩვენი ნაკრების შემადგენლობა აინტერესებს. ის მხოლოდ მას შემდეგ გაცხადდება, როცა 21 თებერვალს გუნდი ავსტრიელ მთავარ მწვრთნელ **პეტერ ზაიზენბახერთან** ერთად თბილისში დაბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ჩვენები სადღეისოდ ავსტრიულ მიტელშილში არიან, სადაც ევროპული ფედერაციის ეგიდით საწვრთნელი კემპი ტარდება. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები ახლა სწორედ იქ არიან ჩასულები, მთლიანად წვრთნებში კი 700-მდე ფალავანი გამოდის.

ფრიად წარმომადგენლობითი იქნება მსაჯთა კორპუსი - ტურნირს 25 არბიტრი მოემსახურება, რომელთაგან 16 ოლიმპიური კატეგორიისაა. ძიუდოს ევროპული ფედერაციის მსაჯთა კომისარი **ვასილ სმოლინიც** გვეწვევა, რომელიც 26-27 იანვარს ქართველი მწვრთნელებისა და მსაჯებისთვის ორდღიან სემინარს ჩაატარებს.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

## ნიგალიძემ ლიდერი ჩამოაქვეითა

ირანულ თავრიზში მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ორი ტურის პარტიები გათამაშდა. მე-6 ტურში საქართველოს ნაკრების წევრი **ლევან ფანცულაია** მასპინძელ მოჭადრაკეთა ლიდერ ეჰსან მაგჰამი ჩაემს შეუთანხმდა ყაიმზე. ასევე, დაზავდნენ **ბაჩანა მორჩიაშვილი** და ვუგარ რასულოვი (აზერბაიჯანი). დანარჩენმა სამმა ქართველმა გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაიწერა: ურფან სევდიმალიევი (აზერბაიჯანი) - **გაიოზ ნიგალიძე** 0:1, **მალხაზ სულაშვილი** - ჰუსეინ არიანეჯადი (ირანი) 1:0, ნასერ პურესმაელი (ირანი) - **შოთა აზალაძე** 0:1. სომეხმა ტიგრან კოტანჯიანმა ერთპიროვნული ლიდერი პურია დარინი (ირანი) დაამარცხა და თავად დაწინაურდა.

გუშინ მე-7 ტურში გაიოზ ნიგალიძემ თეთრი ფიგურებით კოტანჯიანს მოუგო და 6 ქულით მალხაზ სულაშვილის მძლეველ მაგჰამი ჩაემთან და ვაჰიდ ხალესის (ირანი) დამმარცხებელ პურია დარინისთან ერთად პირველ-მესამე ადგილებს იყოფს. შოთა აზალაძე და რასულ იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი) მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. სამაგიეროდ, ლევან ფანცულაიამ ჰუსეინ ალ-ალის (ერაყი) გააჩერებინა საათი, ხოლო ბაჩანა მორჩიაშვილმა ორხან აბდულოვს (აზერბაიჯანი) აჯობა. ფანცულაიას, აზალაძესა და მორჩიაშვილს 5,5-5,5 ქულა აქვთ, სულაშვილს - 5 ქულა.

მერვე ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: ჩაემი (6) - დარინი (6), იბრაჰიმოვი (5,5) - ნიგალიძე (6), ფანცულაია (5,5) - ჰოსეინზადენი 5,5), კოტანჯიანი (5,5) - აზალაძე 5,5), მორჩიაშვილი (5,5) - გოლიზადენი (5)... სულაშვილი (5) - სინა ფეილი (5).

## მონაგარი ორი ქულით გაიმდიდრა

ჩეხეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალში წარმატებით თამაშობს თბილისელი დიდოსტატი **ლევან აროშიძე**, რომელმაც ბოლო ორ ტურში მონაგარი ორი ქულით გაიმდიდრა. მე-4 ტურში მან ესპანელი დავიდ პონსი დაამარცხა, მეხუთეში კი შავი ფიგურებით უკრაინელ ვიტალი ბერნადსკის აჯობა. ხუთი შესაძლებლიდან 4,5 ქულას მოუყარა თავი და კიდევ სამ მოჭადრაკესთან (აზერბაიჯანელი ნიჯათ მამედოვი, ბრაზილიელი ალექსანდრ ფიერი, ინდოელი აბჰიმანი პურანიკი) ერთად გათამაშების ცხრილის სათავეშია. გუშინ ლიდერთა ჯგუფის შეხვედრები ასე დამთავრდა: ნიჯათ მამედოვი - ალექსანდრ ფიერი 0,5:0,5, ვიქტორ ვოლოდინი - მარეკ კოვაჩი 0,5:0,5, აბჰიმანი პურანიკი - ფრედერიკო გაზელი 1:0, ფილიპ უმანეჩი - ნიკოლაი მიშუჩკოვი 0,5:0,5.

5 ტურის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ 4 მოჭადრაკეს 4,5-4,5 ქულა აქვს, ტურნირის თერთმეტ მონაწილეს კი - 4-4 ქულა. მე-6 ტურში აროშიძე მამედოვს, ფიერი კი პურანიკს დაუპირისპირდება.

## ქვარცხლბეკს ვერ შესწვდა

ერევანში დამთავრდა სომეხი მოჭადრაკის ანდრანიკ მარქარიანის მემორიალი, რომელშიც 5 ქვეყნის 12 წარმომადგენელი წრიული სისტემით ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. მოასპარეზეთა შორის იყო თბილისელი დიდოსტატი **გიორგი ბაღათუროვი**, რომელმაც გუშინ ბოლო ტურში შავი ფიგურებით დავით კალაშიანს (სომხეთი) სძლია, მოაგროვა 5,5 ქულა (4 მოგება, ამდენივე მარცხი და 3 ყაიმი) და მეექვსე-მეცხრე ადგილები გაინაწილა. 11 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი რუსმა ვლადიმირ ბელოუსმა დაიკავა - გუშინ იგი ჰოვანეს გაბუზიანს (სომხეთი) დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ: ვაჰე ბაღდასარიანი (სომხეთი) - ევგენი სვეშნიკოვი (ლატვია), დავით პეტროსიანი (სომხეთი) - აშოტ ნადანიანი (სომხეთი); ჰოვიკ ჰაირაპეტიანმა გევორქ ჰარუთინიანს მოუგო (ორივე - სომხეთი), პოუია იდანიმ (ირანი) ჰაიკ ვარდანიანს (სომხეთი) აჯობა. 6,5-6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებზე ჰაირაპეტიანი, გაბუზიანი და ნადანიანი გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

სეოკი

საქართველო
GEORGIA

# მემორანდუმი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აგრძელებს სხვადასხვა ქვეყნის ეოკ-ებთან საქმიანი ურთიერთობების განმტკიცებას. ბოლო პერიოდში სეოკ-მა სხვადასხვა სახელმწიფოს ოლიმპიურ კომიტეტთან გააფორმა მემორანდუმი. ახლახან კი ალმათიში ყაზახეთისა და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტებმა **თემირხან დოსმუხამბეტოვმა და გია ნაცვლიშვილმა** ორმხრივი მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გააფორმეს. შეთანხმება ორი ქვეყნის ეოკ-ებს შორის ხანგრძლივ თანამშრომლობას უყრის საფუძველს და არაერთ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს. კერძოდ, ოლიმპიური პრინციპების და იდეალების გაღრმავება-განმტკიცებას, ეფექტურ თანამშრომლობას მასობრივ - „სპორტი ყველასათვის“ და მაღალი მიღწევების სპორტში აგრეთვე ურთიერთგამოცდილების გაზიარებას, კვალიფიკაციის ასამაღლებლად სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შორის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, ერთობლივი საწვრთნელი შეკრებების მოწყობას და ა.შ.

**სეოკ-ის პრესსამსახური**

სუმო. ჰაცუ ბაშო. 8-22 იანვარი

# გაგამარუმ ოსი არანი დაამარცხა



**თეიმურაზ ჯუღელს** (გაგამარუ) ერთი მოგებაღა აშორებს იანვრის ბაშოზე დადებითი ბალანსის და შესაბამისად, წინსვლის დასაბევებლად. გუშინ ელიტის ყველაზე მძიმეწონიანმა სუმოისტმა ოს **არანს** მოუგო. ტოკიოში თბილისურ-ვლადიკავკაზური დაპირისპირება ბევრს აინტერესებდა, თუმცა უფრო თანაბარ ბრძოლას ელოდნენ - ქართველი მარჯვენა ხელით ყელში სწვდა მეტოქეს (ნოდოვა) და ორ-სამ ნაშში გაიყვანა მრგვალი დოჰიოდან. მიზნის მიღწევა გაგამარუს დღესვე შეუძლია, თუკი ბრაზილიელ **კაისეის** დაამარცხებს.

სამწუხაროდ, წააგო ელიტის მეორე ჩვენებურმა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**. ქართველმა გადაწყვიტა **მიოგირიუსთან** სასტარტო დაჯახება თავიდან აეცილებინა, მაგრამ ვერ შეძლო მისი მავაშის ხელში ჩაგდება. ამის მერე ინიციატივა სულ მიოგირიუს ჰქონდა, ბოლოს კი სუკუინაგეს ილეთით ძირს დააგდო ტოჩინოშინი. ლევანს 6-4 ბალანსი აქვს და დღეს მონღოლური სუმოს ერთ-ერთ პიონერ **კიოკუტენჰოს** ხვდება.

გუშინ ბაშოს ორი მესამედი მიილია და ერთი ღირსშესანიშნავი ამბავიც მოხდა - პირველად წააგო დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ**. მან მონღოლურ დერბიში წერო-დრაკონ **კაკურიუსთან** წაიფორხილა. კაკურიუ აქამდე 20-ჯერ შეხვედრია ჰაკუჰოს, ბევრიც უბრძოლია, თუმცა ყველა შეხვედრა წააგო. მისმა მონდომებამ, როგორც იქნა, შედეგი გამოიღო. ბაშოს კი 10-0 ბალანსით თავში ერთპიროვნულად ესტონელი **ბარუტო** მოექცა.

ძურიოს დივიზიონში მოასპარეზე **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** გამოასწორა ბალანსი - 5-5.

### X დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): კაკურიუ-ჰაკუჰო (იორიკირი), კისენოსატო-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), ბარუტო-ტოიონოშიმა (უვატენაგე), კოტოოშუ-კიტატაიკი (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ტაკაიასუ (იორიკირი), ამინიშიკი-ვაკაკოიუ (ოშიდაში), მიაბიამა-ტაკეკაძე (ოკურიდაში), ოკინოუმი-გოეიდო (შიტატენაგე), კიოკუტენჰო-ტოჩინოვაკა (იორიკირი), ჰომაშო-იოშიკაძე (ოშიდაში), მიოგირიუ-**ტოჩინოშინი** (სუკუინაგე), **გაგამარუ**-არანი (ოშიდაში). **ძურიო: კოკაი**-ჰოკუტოკუნი (ოშიდაში).

### სატურნირო მდგომარეობა

**10-0:** ბარუტო (ოძეკი)

**9-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი).

**8-2:** კოტოოშუ (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 8), ჩიიონოკუნი (მ 13)... **7-3:** გაგამარუ (მ 10)... **6-4:** ტოჩინოშინი (მ 9).

### XI დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კისენოსატო, ბარუტო-ჰარუმაფუჯი, კოტოშოგიკუ-ჰომაშო, კოტოოშუ-კაკურიუ, ტოიონოშიმა-ტაკეკაძე, მიაბიამა-ამინიშიკი, ოკინოუმი-ვაკაკოიუ, გოეიდო-კიტატაიკი, მიოგირიუ-ტაკაიასუ, ტოჩინოვაკა-აოიამა, **ტოჩინოშინი**-კიოკუტენჰო, **გაგამარუ**-კაისეი. **ძურიო: კოკაი**-ოივატო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.



საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, ვეტერანი ტანმოვარჯიშე, სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ასისტენტ-პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი, ზუგდიდის საპატიო მოქალაქე

**ვაჟა ხაბეიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.**

დაკრძალვა 19.01;
14 საათზე, თბილისში,
მისამართი: ალმაშენებლის, 23.

სპორტული რადიო
ჯა - კო
Ja - Ko
FM 96.3

## ქართული სპორტი

კრივი

# შეკრებაზე იმედიანი განწყობით

ქართველმა მოკრივეებმა შარშან ევროპის ჩემპიონატზე სამი ბრინჯაოს მედლის (**ზაალ კვაჭატაძე, ჯაბა ხოსიტაშვილი, მიხეილ ბახტიძე**) მოპოვების შემდეგ ბაქოში მსოფლიოს ჩემპიონატზე თავიანთი შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საგზურებიც ვერ დაიბევეს. ბრიტანეთის დედაქალაქში გასამგზავრებლად მათ ერთი შანსი რჩებათ - 8-13 აპრილს თურქული ტრაბზონი ევროპელთათვის სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. გათამაშდება 26 საგზური: 49 კილოში - 5, 52-ში - 3, 56-ში - 4, 60-ში - 4, 64-ში - 1, 69-ში - 2, 75-ში - 1, 81-ში - 3, 91-ში - 1, +91-ში - 2. როგორც ვხედავთ, ლიცენზიათა რაოდენობა არც ისე ბევრია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქებს და ფრანგებს ჯერჯერობით ოლიმპიადისთვის არც ერთი ადგილი არა აქვთ დაჯავშნილი, სომხებსა და ბულგარელებს თითო საგზური აქვთ, რუსებს, იტალიელებს, აზერბაიჯანელებსა და ირლანდიელებსაც ოლიმპიური გუნდები ბოლომდე არ ჰყავთ დაკომპლექტებული. ყოველივეს გათვალისწინებით, საგზურებისთვის ბრძოლა მეტად უშეღავათო იქნება. ამგვარ სიტუაციაში რას აპირებს საქართველოს ნაკრები, ამის შესახებ მისი თავკაცი **რამაზ ფალიანი** გვესაუბრება:


რამაზ ფალიანი

- სალიცენზიო ტურნირისთვის ინტენსიური მზადება 3 იანვრიდან დავიწყეთ. კობა ფხაკაძე და მიხეილ ბახტიძე ქუთაისში ვარჯიშობენ ზაალ ჯავახაძის ხელმძღვანელობით, იაგო კიზირიას და გოგა კოტუას ფოთში თემურ ოჩიგავა ამეცადინებს, დანარჩენები კი პირადი მწვრთნელების მეთვალყურეობით თბილისში ხვეწენ ოსტატობას. 20 იანვრიდან ბაკურიანს მივაშურებთ საერთო-ფიზიკური მომზადებისთვის. შეკრებაზე დაახლოებით 35-მდე სპორტსმენს წავიყვანთ როგორც უფროსებში, ისე ახალგაზრდებში. ოთხი თებერვლიდან აბოვიანში სომხებთან ერთად ვივარჯიშებთ და მერე პლოვდივის საერთაშორისო ტურნირზე 10-კაციანი გუნდით გავემგზავრებით. ამ შემადგენლობაში არ იქნებიან შარშანდელი ევროპის პრიზიორები – კვაჭატაძე და ხოსიტაშვილი. ისინი მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიო საკლუბო პირველობაში (WSB) მონაწილეობენ: ზაალი ლოს ანჯელესის, ჯაბა კი სტამბოლის კლუბის სპორტულ ღირსებას იცავს. ისინი მარტიდან შემოგვიერთდებიან და თავიანთ წონებში კონკურენტებთან საკონტროლო ორთაბრძოლების შემდეგ ნაკრებში ადგილს თუ დაიბევებენ, მარტის პირველ დეკადაში ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს, მერე ალმათიში ყაზახებთან, მარტის მიწურულიდან კი თურქეთში მასპინძლებთან ერთად გავივლით საწვრთნელ შეკრებებს, 8 აპრილიდან სალიცენზიო ტურნირში ჩავებმებით. უწინ ოლიმპიადების საგზურებისთვის 3-4 შეჯიბრება მაინც იმართებოდა, ახლა, მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა, მხოლოდ ერთი პაექრობაა, ისიც შეზღუდული კვოტებით. აქამდე წლევანდელი ოლიმპიადის 2-3 საგზურის მოპოვებას ვვარაუდობდით, ამჯერად ერთი ლიცენზიაც დიდი წარმატება იქნება. მთავარია, უიმედოდ არ ვართ. ვფიქრობთ, რომ ლონდონის ოლიმპიადა უჩვენოდ არ ჩაივლის.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

კალათბურთი. ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალი

# ძალოვანთა ფინალი თუ...


ვახტანგ ქადარიამ (14) 18-ჯერ მოხსნა

ოლიმპიური ჩემპიონების **მიხეილ ქორქიასა** და **ზურაბ საკანდელიძის** მემორიალის მეორე დღეს შსს-მ თსუ 32 ქულის სხვაობით დაამარცხა და შეჯიბრების ფინალს მიუკაკუნა. შსს-მ დღეს, „სოხუმთან" 18 ან ნაკლები სხვაობით რომ წააგოს, ფინალში მაინც ითამაშებს.

უკეთ გარკვევის მიზნით B ჯგუფში სადღესიოდ შექმნილ სიტუაციას გაგაცნობთ: „რუსთავს" ორი წაგება აქვს და მისი ჯგუფიდან გასვლა (ფინალში პირველადგილოსანი ითამაშებს) გამორიცხულია. თსუ-ს ორივე კონკურენტთან (შსს და „სოხუმი") ნათამაშები აქვს და თანაბარი ქულების შემთხვევაში მიღებულ-ჩაგდებული ბურთების რაოდენობით შსს-ს ვერ აჯობებს. ამიტომ სტუდენტთა პირველ ადგილზე გასვლაც გადაუჭრელი ამოცანაა. სამი გუნდი ერთნაირ ქულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დააგროვებს, თუ დღეს „სოხუმი" შსს-ს სძლევს. თუ ასე მოხდა, დაითვლება სამი გუნდის ჩაგდებულ-მიღებული ბურთები. ამ მხრივ კი შსს-ს დიდი უპირატესობა აქვს: +32, თსუ -27, „სოხუმი": -5. როგორც ზემოთ ვთქვით, სოხუმელებს თუ ფინალში მოხვედრა სურთ, ძალოვნებს მინიმუმ 19 ქულის სხვაობით უნდა აჯობონ, რაც მეტად რთული ამოცანაა, რადგან შსს-მ წელი დამაჯერებლად დაიწყო. თვით „სოხუმის" მძლეველი თსუ 32 ქულით დაამარცხა.

მეორე ფინალისტი „არმია"-"დინამოს" (16:00 საათზე დაიწყება) დღევანდელი მატჩის შემდეგ გაირკვევა. მათ შორის გამარჯვებული ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს.

**17 იანვარი. თბილისი**

**აკადემიას დარბაზი**

**სოხუმი-რუსთავი 81:61**

**21:17, 18:10, 15:14, 27:20**

**სოხუმი:** ფარლალავა (12ქ, 4პ, 5მ), ჩლაიძე (16ქ), ათუაშვილი (12ქ, 5მ), ფაცაცია (8ქ, 3პ), გაფრინდაშვილი (3ქ), ქადარია (15ქ, 18მ, 3პ), ჯგერენაია (9ქ, 7მ, 2დ), ჩაჩიბაია (6ქ, 5მ).

**რუსთავი:** მაჭავარიანი (10ქ, 6მ, 6პ), გ. არაბული, გ. ბერუაშვილი (5ქ), ბააკაშვილი (5ქ), ჩაჩანიძე (11ქ), ჯ. არაბული (2ქ), ხმელიძე (12ქ, 6მ), გუგავა (11ქ, 8მ), ლორთქიფანიძე (5ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ი. ბერიშვილი, დ. ბერიშვილი.

თუ წინა დღეს „სოხუმის" რიგებში **ლევან ფაცაციამ** მხოლოდ ბოლო პერიოდში ითამაშა, გუშინ მოედანზე 36 წუთი გაატარა, თუმცა „სოხუმისთვის" არადამახასიათებლად ქულები ყველა კალათბურთელზე თანაბრად გადანაწილდა. ყველაზე მეტი, 15, **ვახტანგ ქადარიამ** ჩააგდო და 18 მოხსნა მიამატა (რაც მემორიალის რეკორდია). სწორედ ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა აღმოჩნდა გადამწყვეტი - სოხუმელებმა რუსთაველებს მოხსნებში 51:32 აჯობეს.


მერაბ ბოქოლიშვილმა და შსს-მ ფინალს მიუკაკუნეს

**17 იანვარი. თბილისი**

**აკადემიას დარბაზი**

**შსს-თსუ 105:73**

**25:19, 29:11, 24:23, 27:20**

**შსს:** მაკქემონი (13ქ, 5მ, 3პ), ლაფანაშვილი (5ქ, 7მ), ნიკოლაძე (4ქ), ლონდარიძე (10ქ, 5მ), თენიეშვილი (8ქ, 6მ), ტუჯანი (6ქ, 5მ, 3პ), ბლერი (22ქ, 7პ), კრეპსი (10ქ), ბოქოლიშვილი (13ქ), სმიტი (12ქ, 10მ), ბექაური (2ქ, 3დ).

**თსუ:** კოხრეიძე (6ქ), თავამაიშვილი (15ქ, 5მ), ნინიაშვილი (9ქ, 8მ), ჩიტაშვილი (6ქ, 3პ), ხიზანიშვილი (5ქ, 7მ), შერმადინი, მაისურაძე (2ქ), ჩქარეული (3ქ), ბაქრაძე (3ქ), ჩიკვილაძე (22ქ, 5ჩ), ვ. ბერუაშვილი (2ქ, 6მ, 5პ), მჭედლიშვილი.

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე.

შესავალში თსუ-სა და შსს-ზე ვრცლად ვილაპარაკეთ. აქ დავამატებთ: პირველ წუთებზე სტუდენტები დომინირებდნენ, მატჩი 6:0 გაქცევით გახსნეს და ერთ ეპიზოდში 9 ქულითაც დაწინაურდნენ. თუმცა შსს-ს კალათბურთელებმა თამაში მალევე დაალაგეს, პირველი პერიოდის ბოლოსა და მეორის დასაწყისში სოლიდური სპურტი (19:0) მოაწყვეს, რის შემდეგაც 31:19 დაწინაურდნენ. სწორედ ეს მომენტი აღმოჩნდა გადამწყვეტი - წინა ტურში „სოხუმთან" ბრძოლით გადაღლილ სტუდენტებს წელში გასამართად ძალა აღარ ეყოთ.

22-22 ქულით ბომბარდირები **ლარი ბლერი** (შსს) და **ბექა ჩიკვილაძე** (თსუ) გახდნენ.

**17 იანვარი. თბილისი**

**აკადემიას დარბაზი**

**არმია-სტუ 125:64**

**25:17, 34:16, 36:20, 30:11**

**არმია:** რიჩარდსონი (13ქ, 5მ, 3პ), ბაბიაშვილი (14ქ), ბოისა (10ქ, 6მ, 4პ), მინაშვილი (8ქ, 7მ), უგრეხელიძე (4ქ), კვიმსაძე (5ქ, 7პ), ტომასი (21ქ, 6მ), ათანელიშვილი (14ქ), მოსეშვილი (9ქ), შელბომი (4ქ), ვუდსაიდი (17ქ, 8პ, 3ჩ), საყვარელიძე (6ქ, 6პ, 5მ, 3ჩ).

**სტუ:** ტეტელაშვილი (1ქ), მაჩალაძე (8ქ, 7მ), ხანიაშვილი (19ქ), კობიძე, ჯავახიშვილი, ახალაია, დეკანოიძე (3ქ), ძიძიგური (11ქ, 7პ), კორძაძე (2ქ), ნოზაძე (5ქ, 10მ), კოპალიანი (2ქ), ანთაძე (13ქ, 5მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ს. საინერსი.

2011-12 წლების სეზონში ქულათა სარეკორდო რაოდენობა გუშინ „არმიამ" ჩააგდო - 125. ახალგაზრდული სტუ კი 64 ქულას დასჯერდა.

ამ მატჩში აღსანიშნავი ის იყო, რომ ერთწლიანი შესვენების შემდეგ მოედანს **დავით უგრეხელიძე** დაუბრუნდა. არმიელმა ცენტრმა მუხლის ტრავმა 2011 წლის იანვარში მიიღო.

ნამატჩევს ძალოვანთა მთავარმა მწვრთნელმა **კოტე ტულუშმა** ასეთი კომენტარი გააკეთა:

*- მოსამზადებელი ეტაპი ნაყოფიერად გავიარეთ. გუნდი ფიზიკურად ნორმალურ კონდიციებშია. ამ შეჯიბრებას საქართველოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ვიყენებთ. დღევანდელი შედეგით კმაყოფილი ვარ. პირველ მატჩში ვმუშაობდით სხვადასხვა ტაქტიკური სქემის დახვეწაზე.*

...არმიელთა თავკაცს პუერტორიკოელი გილერმო დიასის შესახებაც ვკითხეთ, რომელიც გუშინ დარბაზში არ გამოჩენილა.

*- დიასი მუხლის ტრავმას იტალიაში მკურნალობს. 25 იანვარს შემოგვიერთდება, თუმცა წინასწარ ძნელი სათქმელია, როგორ ფორმაში იქნება.*


უილიამ ტომასმა 21 ქულა ჩააგდო, მისმა არმიამ - 125

**A ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 2. დინამო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3. სტუ | 2 | 0 | 2 | 2 |

**B ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შსს | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. თსუ | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. სოხუმი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. რუსთავი | 2 | 0 | 2 | 2 |

**ვაჟა სიმონიშვილი**




კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# ზედიზედ მესამე გამარჯვება

## ფაჩულიას 4000 ამერიკული ქულა

„ატლანტა ჰოქსმა" ზედიზედ მესამე მატჩი შინ ჩაატარა და მესამედაც მოიგო. ამჯერად ჯორჯიელებმა კანადური „ტორონტო რეპტორსი" დაამარცხეს - 93:84. „ჰოქსმა" სეზონი დამაჯერებლად დაიწყო და როგორც სოლიდურ გუნდებს სჩვევიათ, ბოლო წუთები სტაბილურად ჩაატარა: მეოთხე პერიოდის წინ „ატლანტა" 73:71-ს იგებდა, გადამწყვეტი თორმეტწუთეულის დასაწყისში **ჯოშ სმიტის** მიერ ზედიზედ ჩაგდებულ 6 ქულას, **ჯეფ ტიგმა** 2 მიამატა და მასპინძლები 81:71 დააწინაურა. ასეთი უპირატესობის შენარჩუნება დღევანდელ „ატლანტას" არც გაცილებით ძლიერ გუნდებთან გასჭირვებია.

სასტარტო ცენტრის, **ელ ჰორფორდის** ტრავმამდე მწვრთნელი **ლარი დრიუ ჯეისონ კოლინზს** თითქმის არ ათამაშებდა, ახლა კი სასტარტო ხუთეულში მიუჩინა ადგილი. ცენტრისთვის განკუთვნილი დრო კოლინზმა, **ზაზა ფაჩულიამ** და **ივან ჯონსონმა** გაიყვეს. ჯეისონს 13 წუთი ერგო, ზაზას - 18, ივანს - 22. ყველაზე მეტი ქულა მაინც 27 წლის ქართველმა ჩააგდო - 6. მატჩის ხასიათიდან გამომდინარე ატლანტელებს ფარქვეშიდან ბურთის ჩაგდება უჭირდათ. ეს სტატისტიკიდანაც ნათლად ჩანს: „ჰოქსმა" სამწამიანი ზონიდან 28 ქულა მოაგროვა, „ტორონტომ" - 40. არც ზაზა აღმოჩენილა სატყორცნ პოზიციაზე. ამიტომაც მას ერთი ორქულიანიც არ უსვრია, ქულები საჯარიმოებით მოაგროვა. ჯორჯიელებს არც სამქულიანებით გამოუდიათ თავი (5 ჩააგდეს), სამაგიეროდ მათ შორეული ორქულიანებით გააწამეს ტორონტოელები...

მეორე პერიოდის მესამე წუთზე ჩაგდებული პირველი საჯარიმო ზაზასთვის NBA-ში 4000-ე ქულა იყო.

„ატლანტა" კი იმ ხუთ გუნდს შორისაა, რომელთა მოგებებმაც 10-ს მიაღწია. ჯორჯიელებს 10 გამარჯვება და 4 წაგება აქვთ. ისინი მომდევნო შეხვედრასაც შინ ჩაატარებენ, „პორტლენდს" უმასპინძლებენ (18 იანვარს).

**ატლანტა-ტორონტო 93:84**

**ზაზა ფაჩულია:** 18 წუთი, 6 ქულა (6-დან 6 საჯარიმო), 3 მოხსნა, 2 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 4:09 | 13-15 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 0:50 | 18-24 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ) |
| **II პერიოდი** | | |
| 9:45 | 22-32 | საჯარიმოები 2/2 (4ქ) |
| 4:18 | 30-40 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | | |
| 6:48 | 53-59 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 6:18 | 57-59 | ფოლი: 1 |
| 5:35 | 57-61 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 5:15 | 58-61 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 3:00 | 62-69 | საჯარიმოები: 2/2 (6ქ) |
| 2:38 | 64-69 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 2:00 | 64-71 | ფოლი: 2 |
| 1:01 | 68-73 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# გიორგაძის ტრავმა უფრო მძიმე გამოდგა


აქვსენტი გიორგაძე

საქართველოს ნაკრებისა და „ტულუზის" შერკინების კვაჭისთვის, **აქვსენტი გიორგაძისთვის** წლევანდელი სეზონი დასრულდა. „გლობუსამ" ფრანგული რაგბის გრანდის შემადგენლობაში მხოლოდ ორ მატჩში მოასწრო თამაში. მეორე შეხვედრა, რომელშიც ის ტულუზელთა მთავარმა მწვრთნელმა **გი ნოვემ** ძირითად შემადგენლობაში დააყენა, საბედისწერო აღმოჩნდა.

ექიმების თავდაპირველი დასკვნის თანახმად, გიორგაძეს მხოლოდ თვენახევარი უნდა ემკურნალა. თუმცა, როგორც ახლახან გაირკვა, ტრავმა გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა, მას მუხლის ძირა მყესი გაუწყდა, რის გამოც ქართველი მორკინალი მინიმუმ ოთხ თვეს ვერ შეძლებს ვარჯიშს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გიორგაძე მიმდინარე სეზონში ველარ ითამაშებს.

ამის გამო, „ტულუზის" ხელმძღვანელობა თხოვნით მიმართავს საფრანგეთის რაგბის ნაციონალურ ლიგას, კიდევ ერთი „სამედიცინო ჯოკერის" დამატების უფლება მისცეს. შეგახსენებთ, რომ გუნდში ჯანმრთელი ერთადერთი შერკინების კვაჭილა დარჩა, ეს საფრანგეთის ნაკრების მორკინალი **ვილიამ სერვაა.**

# კოლელიშვილი და კომპანია უკონკურენტოა


ბურთით ვიქტორ კოლელიშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ესპუართა ანუ სათადარიგო გუნდების გათამაშებაში მე-11 ტურის შეხვედრები გაიმართა. A ჯგუფის ლიდერი **ვიქტორ კოლელიშვილის, გიორგი ჯაშიტაშვილისა** და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონი" ერთი თავით მაღლა დგას მეტოქეებზე.

„უმცროსმა ვულკანებმა" შინ „ლიონს" უმასპინძლეს და მშრალი ანგარიშით 59:0 მოუგეს. კოლელიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო. „კლერმონს" 48 ქულა აქვს და პირველ ადგილზეა.

მას 9 ქულით ჩამორჩება **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი", რომელმაც შინ დაამარცხა „პერპინიანი" - 28:26.

XI ტურში გაიმარჯვა ამ ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა მესამე გუნდმაც. **დავით ლოსაბერიძის** „პომ" სტუმრად მოუგო „აჟენს" მინიმალური სხვაობით - 16:15. „პოს" ახლა 21 ქულა აქვს და მეშვიდე ადგილზეა.

შედარებით უარესად ასპარეზობენ ქართველ მორაგბეთა გუნდები B ჯგუფში. აქ ყველაზე უკეთესი შედეგი **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლს" აქვს, რომელიც 20 ქულით მეხუთე ადგილზეა. „უმცროსი ალპელები" XI ტურში სტუმრად დამარცხდნენ აუტსაიდერ „მეტრო რასინგთან" - 7:8.

**ირაკლი მირცხულავას** „ტარბბმა" კი შინ მოუგო სატურნირო ცხრილის მეზობელ „ბრივს" - 38:31. ტარბელებს 14 ქულა აქვთ და მე-8 ადგილზე არიან.

**ესპუარები**

**A ჯგუფი**

აჟენი-პო 15:16, ტულონი-პერპინიანი 28:26, კლერმონი-ლიონი 59:0, ბაიონი-ტულუზი 9:16, ბურგუენი-მონპელიე 7:16.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 48 ქულა, 2. ტულონი - 37, 3. პერპინიანი - 32, 4. აჟენი - 31, 5. მონპელიე - 23, 6. ბაიონი - 21, 7. პო - 21, 8. ტულზი - 18, 9. ბურგუენი - 13, 10. ლიონი - 10.

**B ჯგუფი**

მეტრო რასინგი-გრენობლი 8:7, ნარბონი-კასტრი 36:13, ტარბი-ბრივი 38:31, ლა როშელი-სტად ფრანსე 43:22, ბორდო-ბიარიცი 14:29.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტად ფრანსე - 45 ქულა, 2. ლა როშელი - 40, 3. ბიარიცი - 36, 4. ნარბონი - 32, 5. გრენობლი - 20, 6. კასტრი - 20, 7. ბრივი - 18, 8. ტარბი - 14, 9. მეტრო რასინგი - 11, 10. ბორდო - 7.

ექვსი ერი

# ბრუნელს შერკინება მოსწონს, უკანა ხაზი არა

*„ჩვენ გვყავს შერკინების მოთამაშეები, რომლებსაც შეუძლიათ საერთაშორისო არენაზე კონკურენცია გაუწიონ ნებისმიერი ძალის მეტოქეს. მაგრამ, საკმაოდ დიდი დისბალანსია მათსა და უკანახაზელებს შორის. ამიტომ ჩვენი მთავარი მიზანია, ეს განსხვავება შევამციროთ და გუნდი უფრო დაბალანსებული გავხადოთ. მორაგბეებს მეტი თავისუფლება უნდა მივცეთ, რათა ხელით, რაც შეიძლება მეტად იბურთაონ".*

ეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელების სიტყვები არ გეგონოთ. ასე საკუთარი გუნდი **ჟაკ ბრუნელმა** დაახასიათა. ფრანგული „პერპინიანის" ყოფილი თავკაცი ორი თვის წინ იტალიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა.

*„იტალიის ნაკრებმა სამხრეთაფრიკელი მწვრთნელის, ნიკ მალეტის ხელმძღვანელობით სერიოზული პროგრესი განიცადა. „სკუადრა აძურა" კონკურენტუნარიანი გუნდი გახდა და ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზეც შესანიშნავად ითამაშა.*

*ახლა დროა, გუნდის თამაშის მანერაში ცვლილებები შევიტანოთ. რადიკალურად არაფერს შევცვლით, მოკლე დროში ეს შეუძლებელიცაა, თუმცა ვეცდებით, რომ იტალიის ნაკრების თამაში უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი გავხადოთ, რაც მეტოქეებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის."* - თქვა ჟაკ ბრუნელმა.

იტალიის ნაკრები ექვსი ერის გათამაშებაში პირველ შეხვედრას 4 თებერვალს, პარიზში საფრანგეთის ნაკრებთან გამართავს. ბრუნელმა უკვე დაასახელა გუნდის გაფართოებული შემადგენლობა, რომელშიც ოთხი დებიუტანტი შეიყვანა, ესენია: **ალბერტო დე მარკი, ლუკა მორისი, გოვანი ვენდიტი** და 18 წლის ვუნდერკინდი **ანჯელო ესპოზიტო.**

„სკუადრა აძურას" გაფართოებულ შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ ისეთი სახელოვანი მორაგბეები, **სალვატორე პერუჯინი, კარლოს დელ ფავა, მირკო ბერგამასკო** და **გონსალო გარსია** რომ არიან.

**იტალიის ნაკრები**

შერკინება: სერჯო პარისე, მაურო ბერგამასკო (ორივე-სტად ფრანსე), ანდრეა ლო ჩიჩერო (მეტრო რასინგი), მარტინ კასტროჯოვანი (ლესტერი), რობერტ ბარბიერი, ლორენცო ჩიტადინი, პაულ დერბიშირი, ლეონარდო ჯილარდინი, ანტონიო პავანელო, კორნელიუს ფან ზილი, ალესანდრი ძანი (ყველა-ბენეტონი), მარკო ბორტოლამი, ტომაზო დაპიკე, ალბერტო დე მარკი, სიმონე ფავარო, ქუენტინ გელდენჰაუზი (ყველა-აირონი).

უკანა ხაზი: გონსალო კანალე (კლერმონი), ტომაზო ბენვენუტი, კრის ბარტონი, ედუარდო გორი, ლუკ მაკლინი, ფაბიო სემენცატო, ალბერტო სგარბი (ყველა-ბენეტონი), ლუჩანო ორკუერა, ანდრეა მასი, ანტონიო ტონიოლატი, ჯიოვანი ვენდიტი, რობერტო კუარტაროლი (ყველა-აირონი) ლუკა მორისი (პარმა), ანჟელო ესპოზიტო (ტრევიზანი).

**ექვსი ერი**

**4 თებერვალი**

საფრანგეთი-იტალია

**11 თებერვალი**

იტალია-ინგლისი

**25 თებერვალი**

ირლანდია-იტალია

**10 მარტი**

უელსი-იტალია

**17 მარტი**

იტალია-შოტლანდია

ამბები


დენ კერი

# ისევ დენ კერის შესახებ

ინგლისის ნაკრების ყოფილი ცხრა ნომრის **დენ კერის** დისკვალიფიკაციის თაობაზე ლაპარაკი დიდი ხანია არ წყდება. ინგლისური „ჰარლიქვინზის" ნამყვან მორაგბეს ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო საკმაოდ სერიოზული ფინანსური სასჯელი გამოუტანეს. მეტიც, ამის გამო ინგლისის ეროვნულ გუნდში არ შეიყვანეს.

*„ის შესანიშნავი ბიჭია, განსაკუთრებული მოთამაშეა, მაგრამ ძალიან ცუდი საქციელი ჩაიდინა. როგორც მორაგბეს, მას ბევრი ვერ შეედრება. ამასთან, ცხოვრებაშიც უნიკალური ადამიანია. რომ იცოდეთ რას აკეთებს და როგორ ცხოვრობს მოედნის მიღმა, დენ კერიზე უკეთეს ადამიანს, უბრალოდ, ვერსად ნახავთ. რომ მითხრან, კლუბში ვის აირჩევდი შენი შვილების მოსავლელადო, მე დენის ავირჩევდი, რადგან ვიცი, რომ ბავშვები მისთვის სამყაროს ცენტრია.*

*მან რამდენიმე ბრიყვული შეცდომა დაუშვა, რაც, როგორც მატერიალურად ისე მორალურად, ძალიან ძვირად დაუჯდა. მას ალკოჰოლთან არანაირი პრობლემა არ აქვს. დარწმუნებული ვარ, არც არადროს ექნება. მჯერა, დენი შეძლებს ეს კრიზისი დაძლიოს. ჩვენ ამაში ყოველმხრივ დავეხმარებით"* - თქვა „ჰარლიქვინზის" მთავარმა მწვრთნელმა **კონორ ოშიმ.**

შეგახსენებთ, რომ „ჰარლიქვინზმა" ყველა სასჯელთან ერთად დენ კერის დამატებით ფინანსური სანქცია დაუწესა. ის 10 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა.

# ტულონს მადა გაეხსნა

**დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონის" მულტიმილიონერ პრეზიდენტ **მურად ბურჯელალს** მადა გაეხსნა. თუ აქამდე ჩვენებურთა გუნდის პატრონი სამხრეთნახევარსფეროელებს „ერჩოდა" და გუნდში კოლექციასავით აგროვებდა, ახლა ვექტორი შეცვალა და მზერა ბრიტანეთს მიაპყრო.

ამაზე გავლენა, ალბათ, „ტულონის" მთავარმა მწვრთნელმა **ბერნარ ლაპორტმა** იქონია. ის მოლაპარაკებას დღესდღეობით „ბრიტანელი ლომების" შერკინების ბურჯ **გეთინ ჯენკინსთან** აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ ჟენკინს, რომელიც ამჟამად „კარდიფ ბლუზში" თამაშობს, თავისკენ ფრანგული „პერპინიანი" და ინგლისური „ბასი" ექაჩება.

ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯენკინსი უკვე შეხვდა ლაპორტს და წინასწარი სიტყვიერი შეთანხმებაც მიღწეულია. ამასთან, საფრანგეთის სამხრეთში მოლაპარაკებაზე მალე გაემგზავრება ინგლისის ნაკრების შერკინების ბურჯი **ენდრიუ შერიდანი.**

უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან „ტულონში" ითამაშებს „ტულუზისა" და საფრანგეთის ნაკრების შერკინების კვაჭი **ვილიამ სერვა.** ბურჯელალს თავისი გუნდის რიგებში ბასკი **ფაბიენ ბარსელას** ხილვაც უნდოდა, მაგრამ „ბიარიცის" შერკინების კვაჭმა უარით გაისტუმრა.

თუ ჯენკინსი „ტულონში" გადაბარგდება, ის „ბრიტანელი ლომების" კიდევ ერთი წარმომადგენელი იქნება. დღეისთვის კი ტულონელთა რიგებში თამაშობენ **ჯონი ვილკინსონი, ჯო ელ-აბდი, დინ სკიფილდი** და **ეფიონ ლუის-რობერტსი.** მათ ჯენკინსთან ერთად, შესაძლოა, ინგლისის ნაკრების მორაგბე დელონ არმითიჯიც შეუერთდეს.

ზე რაგბი

# ოკონორი ათი თუ თორმეტი

ავსტრალიის ნაკრების უკანახაზელი **ჯეიმზ ოკონორი** წლევანდელი სეზონიდან ზე რაგბის გუნდ „მელბურნ რებლზში" ითამაშებს. ოკონორს ძალიან დიდი სურვილი აქვს მგეზავად ან შუამარბად იხილონ. ოკონორს ორი კვირით დასვენების საშუალება მისცეს, მას შემდეგ, რაც ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში უელსის ნაკრებთან ითამაშა.

ოკონორის ამ სურვილს კი ინგლისელი მგეზავის **დენი სიპრიანის** ამბიციები ეწირება.

*„საიდუმლო არ არის, რომ ძალიან მინდა მგეზავად ვითამაშო. თუმცა, რადგან ძირითადი მგეზავი დენი სიპრიანია, შემიძლია შუამარბის პოზიციაც დავიკავო. ვფიქრობ, მე და დენი შესანიშნავ დუეტს შევქმნით"* - თქვა ჯეიმზ ოკონორმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



ოდომი და ფიშერი

# უიღბლო დაბრუნება

გუშინდელი დღის ცენტრალური შეხვედრა ლოს ანჯელესში გაიმართა, სადაც ზედიზედ მეექვსე გამარჯვების მოსაპოვებლად ჩავიდა "დალას მავერიქსი". მაგრამ ჩემპიონმა ვერ შეძლო მოგებათა სერიის განვრცობა. სამაგიეროდ, "ლეიკერსმა" მოიგო საკუთარ მოედანზე ზედიზედ მეცხრე მატჩი.

ალნიშნულ შეხვედრაში დაცვამ აშკარად აჯობა შეტევას – ორივე გუნდს დაცვითი მოქმედება უმაღლეს დონეზე ჰქონდა აყვანილი. თუ პირველ ტაიმს სანახაობრივად ასე თუ ისე არაუშავდა, მესამე მეოთხედში "ლეიკერსის" ჩავარდნამ ეჭვქვეშ დააყენა **ბრაიანტის** გუნდის ამბიციები. მასპინძლებმა 12 წუთის განმავლობაში მხოლოდ შვიდი ქულა ჩააგდეს და თამაშიდან ტყორცნების 15.8 პროცენტი (19-დან 3) გამოიყენეს.

კალიფორნიული გრანდი ბრწყინვალე მეოთხე მეოთხედმა გადაარჩინა. გუნდებმა, როგორც იქნა, ტემპს მოუმატეს. საკუთარი გულშემატკივრებით გამხნევებულმა "ლეიკერსმა" 10:0 გაქცევა მოაწყო, რომლის მთავარი ინიციატორი **დერეკ ფიშერი** გახდა. მატჩი ასეთი მსვლელობა ნამდვილად არ აწყობდა **დირკ ნოვიცკის**, რომელსაც მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურად მეურვეობდა **პაუ გასოლი**. გერმანელის საფირმო საშუალო ტყორცნამ და ოთხმა საჯარიმომ "დალასს" ისევ დაუბრუნა მოგების შანსი. საფინალო სირენამდე ცხრა წამით ადრე **ჯეისონ ტერიმ** ანგარიში გაათანაბრა – 70:70. "ლეიკერსს" ერთი შეტევისთვის საკმარისი დრო ჰქონდა და ის ზუსტი სამქულიანით ბრაიანტის პასის შემდეგ დერეკ ფიშერმა დაასრულა. ეს იყო კალიფორნიელების ერთადერთი ზუსტი შორეული ტყორცნა მთელი მატჩის განმავლობაში. საპასუხო შეტევაში **ვინს კარტერმა** ვერ შეძლო მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა.

ზედიზედ ოთხი 40-ქულიანი მატჩის შემდეგ, კობიმ მოკრძალებული 14 ქულა მიითვალა. ადგილობრივი პუბლიკა ფეხზე ამდგარი მიესალმა **ლამარ ოდომს**, რომელიც სეზონის წინ "ლეიკერსმა" "დალასში" გაუშვა.

**ლეიკერსი–დალასი 73:70**

15:18, 24:17, 7:16, 27:19

**ლ:** ბინუმი (17+15 მოხსნა), ბრაიანტი (14+7 პასი+3 ჩაჭრა), ფიშერი (13+3 ჩაჭრა).

**დ:** ნოვიცკი (21+7 მოხსნა), ოდომი (10), მაინმი (9+10 მოხსნა).

# კვირის მოთამაშეები

„ჩიკაგო ბულზის“ გამთამაშებელი **დერიკ როუზი** და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მცველი **კობი ბრაიანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი როუზი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ამ შეხვედრებში შარშანდელი MVP-ის მონაგარი 24.0 ქულა და 9.3 პასი იყო.

სამი მოგება და ერთი წაგება ჰქონდა გასულ კვირას „ლეიკერსს“. მისმა ლიდერმა კობი ბრაიანტმა ამ შეხვედრებში 43.0 ქულა დააგროვა. ოთხივე შეხვედრაში კობი მინიმუმ 40 ქულას იხვეჭდა. ის საშუალო 32 ქულით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ.

**როუზის კვირა**

**9 იანვარი. ჩიკაგო-დეტროიტი 92:68**. 22 ქულა, 8 პასი.

**10 იანვარი. ჩიკაგო-მინესოტა 111:100**. 31 ქულა, 11 პასი.

**14 იანვარი. ტორონტო-ჩიკაგო 64:77**. 18 ქულა, 11 პასი.

**ბრაიანტის კვირა**

**10 იანვარი. ლეიკერსი-ფინიქსი 99:83**. 48 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა.

**11 იანვარი. იუტა-ლეიკერსი 87:90**. 40 ქულა, 8 მოხსნა.

**13 იანვარი. ლეიკერსი-კლივლენდი 97:92**. 42 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ჯოშ სმიტი** („ატლანტა“), **გრეგ მონრო** ("დეტროიტი"), **კაილ ლოური** („ჰიუსტონი“), **ბლეიკ გრიფინი** („კლიპერსი“), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა“), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა“), **დუაიტ ჰოვარდი** („ორლანდო“) და ანდრე იგუოდალა ("ფილადელფია").



კობი და როუზი

# დიდი კრიზისი ბოსტონში

უცნაური მატჩი მოიგო ნიუ იორკში "ორლანდო მეჯიქმა". სტუმრებმა ჯამში 71 ტყორცნა შეასრულეს თამაშიდან და აქედან 35 (!) სამქულიანი იყო. გამოდის, რომ ყოველ მეორე სროლას "ჯადოქრები" შვიდმეტრიანი ხაზიდან ასრულებდნენ. ამჯერად ორლანდოელებს გაუმართლათ, მაგრამ ყოველთვის ასეთი ტაქტიკის გამოყენება, ალბათ, მიზანშეწონილი არ იქნება.

"ნიუ იორკს" ამ მატჩში დაუბრუნდა **კარმელო ენტონი**, მაგრამ გუნდმა ისე საშინლად ითამაშა, რომ, სავარაუდოდ, არ ღირდა მელოს ჯანმრთელობით გარისკვა. მატჩის მსვლელობისას ენტონიმ ისევ კოჭლობა დაიწყო და, შესაძლოა, კვლავ მოუწიოს არაერთი მატჩის გამოტოვებამ. მასპინძლებმა კვლავ ცუდად ითამაშეს ფარქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ გუნდს **ამარე სტაუდმაიერი** და **ტაისონ ჩენდლერი** ჰყავს. მთლად აწყობილი თამაში არც "ორლანდოს" ჰქონდა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ **დუაიტ ჰოვარდმა** ათქულიან ზღვრამდეც ვერ მიაღწია. მაგრამ, იმ ტაქტიკით, რომელიც "მეჯიქმა" აირჩია, "სუპერმენის" ცუდი თამაში განმსაზღვრელი არ ყოფილა, მით უმეტეს, რომ ათი მოხსნით, დუაიტი მაინც საუკეთესო იყო ორივე გუნდის შემადგენლობაში. ეს ყველაფერი კარგად მიუთითებს დღევანდელი "ნიუ იორკის" სავალალო დონეზე.

მოულოდნელად დიდი ანგარიშით წააგო სტუმრად "მემფისთან" აღმოსავლეთის ლიდერმა "ჩიკაგომ". უკვე პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლები 20 ქულით იყვნენ წინ და წაგებული მესამე მეოთხედის მიუხედავად, იოლად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე. შესაძლოა, ამის მიზეზი ის იყო, რომ "ბულზს" აკლდა თავისი ლიდერი **დერიკ როუზი** და მის არყოფნაში ჩიკაგოელთა რიგებში არ მოინახა კალათბურთელი, რომელიც წინ გაუძღვებოდა გუნდს. თავის მხრივ, "გრიზლისის" რიგებში ასეთი ლიდერი არსებობდა, თანაც არაერთი – **გეიმ** და **კონლიმ** 20-ქულიან ზღვარს მიაღწიეს, **მარკ გასოლმა** და **სპეიტსმა** კი ორმაგი დუბლი მიითვალეს.

სამმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა "პორტლენდმა", რომელიც სტუმრად აუტსაიდერ "ნიუ ორლეანს" გაუსწორდა. მასპინძლებმა მხოლოდ პირველ ტაიმში გაძლეს, როცა "ბლეიზერსმა" ვერაფრით გაასწორა მიზანი. დიდი შესვენების შემდეგ კი "ჰორნეტსის" განადგურება დაიწყო **ლამარკუს ოლდრიჯმა**. თავისი 22 ქულიდან 16 მან მეორე ტაიმში მოიპოვა და მესამე მეოთხედში 17:2 გაქცევის მთავარი ინიციატორი გახდა. "ნიუ ორლეანმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო, საკუთარ მოედანზე კი ზედიზედ მეექვსედ დამარცხდა.

პირიქით, შინ ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა "კლიპერსმა", რომელმაც ძალების ყოველგვარი დაძაბვის გარეშე დაამარცხა "ნიუ ჯერსი". კალიფორნიელებმა პრაქტიკულად პირველ მეოთხედში გადაწყვიტეს მატჩის ბედი, როცა **ბლეიკ გრიფინმა** და **კერონ ბატლერმა** გუნდური 32 ქულიდან 24 საკუთარ ანგარიშზე მიიწერეს. თავიდანვე კარგად შევიდა თამაშში **რენდი ფოიე**, რომელიც ტრავმირებულ **კრის პოლს** ცვლიდა – საწყის 12 წუთში მის ანგარიშზე ხუთი შედეგიანი პასი იყო.

და მაინც, "კლიპერსმა" ოდნავ აანერვიულა თავისი გულშემატკივარი. საფინალო სირენამდე 10 წუთით ადრე მასპინძლებს 13-ქულიანი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ "ნეტსმა" მომდევნო 4 წუთი 17:4 მოიგო. "კლიპერსის" ბედად იმ დღეს მოედანზე იყო **ჩონსი ბილაპსი**, რომელმაც მატჩის დასკვნით ნაწილში 9 ქულა მოიპოვა და უშეცდომოდ ისროლა გადამწყვეტი საჯარიმოები. "ნიუ ჯერსისთვის" ეს იყო მეხუთე წაგება ბოლო ექვს შეხვედრაში.

ჯერჯერობით ვერ დაძლია კრიზისი "ბოსტონმა", რომელმაც გუშინ ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო. "ოკლაჰომასთან" შეხვედრაში "კელტებს" უფრო მეტი აგრესიულობა და მონდომება ეტყობოდათ, მაგრამ მისი ვეტერანი ლიდერების სათამაშო ფორმა ჯერ არ იძლევა რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის დამარცხების საშუალებას. ზედიზედ მესამე მატჩი ჩააგდო **რეი ალენმა**, რომელმაც ავადმყოფობის შემდეგ დაკარგა ბომბარდირული ალღო. სტუმრები თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ მატჩის მსვლელობას და მეტწილად ინარჩუნებდნენ 7-9-ქულიან უპირატესობას. მაგრამ იყო მომენტები, როცა "ბოსტონს" შეეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა. მაგალითად, საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე, როცა **გარნეტისა** და **პიეტრუსის** ("ბოსტონის" საუკეთესო მოთამაშე მეოთხე მეოთხედში) მონდომებით სხვაობა ორ ქულამდე დავიდა. მაგრამ ამან ძალიან გააბრაზა სტუმრები, რომლებმაც "ბოსტონის" ნახევარზე ნამდვილი არტილერია მოაწყვეს. ჯერ **კევინ დურანტმა** ჩააგდო შორეული ტყორცნა, შემდეგ კი **სეფოლოშამ** და **უესტბრუკმა** ორ-ორი სამქულიანი მოათავსეს კალათში. "სელტიქსი" ასეთი ნოკაუტიდან ველარ გამოვიდა. "ბოსტონმა" "დიდი ტრიოს" ჩამოყალიბების შემდეგ პირველად წააგო ზედიზედ ხუთი შეხვედრა.

**მემფისი–ჩიკაგო 102:86**

28:21, 30:17, 19:28, 25:20

**მ:** გეი (24+5 მოხსნა+5 პასი), კონლი (20+8 პასი+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), მ. გასოლი (19+10 მოხსნა), სპეიტსი (16+12 მოხსნა).

**ჩ:** დენგი (20+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), უოტსონი (17), გიბსონი (16+5 მოხსნა+3 დაფარება), ბუზერი (13+7 მოხსნა).

**ვაშინგტონი–ჰიუსტონი 106:114**

28:27, 26:31, 21:33, 31:23

**ვ:** უოლი (38+8 პასი+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), კროუფორდი (17), იანგი (13), ბლეტჩი (11+12 მოხსნა), მაკგი (8+10 მოხსნა+3 დაფარება).

**ჰ:** მარტინი (25+8 პასი), დალემბერი (20+7 მოხსნა), სკოლა (18+5 მოხსნა), ლოური (16+6 პასი+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ნიუ ორლეანი–პორტლენდი 77:84**

15:20, 20:17, 16:27, 26:20

**ნ-ო:** ჯეკი (21), ოკაფორი (12+10 მოხსნა), კამანი (12+6 მოხსნა).

**პ:** ოლდრიჯი (22+9 მოხსნა), ბატუმი (19+6 მოხსნა), უოლასი (14+7 მოხსნა), მეტიუზი (10), ფელტონი (2+12 პასი+3 ჩაჭრა).

**ატლანტა–ტორონტო 93:84**

26:18, 24:27, 23:26, 20:13

**ა:** სმიტი (28+15 მოხსნა), ჯონსონი (27+5 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), ტიგი (13+6 პასი).

**ტ:** ბარბოზა (22), კალდერონი (13+11 პასი), ა. ჯონსონი (13+10 მოხსნა), დეროზანი (10), ბატლერი (10), დევისი (7+11 მოხსნა+3 ჩაჭრა+4 დაფარება).

**მინესოტა–საკრამენტო 99:86**

28:22, 14:24, 25:16, 32:24

**მ:** ლავი (33+11 მოხსნა), რიდნური (25+9 პასი), ელინგტონი (15), რუბიო (9+8 მოხსნა+8 პასი).

**ს:** ტორნტონი (12+3 ჩაჭრა), გარსია (12+5 მოხსნა), ტომპსონი (12), სალმონსი (11), კაზინსი (10), ევანსი (9+8 მოხსნა+9 პასი).



კევინ გარნეტი

**შარლოტი–კლივლენდი 94:102**

23:30, 34:16, 20:33, 17:23

**შ:** ოგუსტინი (24+8 პასი), ჰენდერსონი (17), უაიტი (15+5 მოხსნა), უოკერი (14+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), მალენსი (9+12 მოხსნა).

**კ:** ირვინგი (25+7 პასი), ჯეიმისონი (20+7 მოხსნა+5 პასი), კასპი (14+7 მოხსნა), ვარეჟაო (14+12 მოხსნა), გი (10).

**ფილადელფია–მილუოკი 94:82**

31:25, 16:18, 29:19, 28:20

**ფ:** ჰოლიდეი (24+5 პასი+5 ჩაჭრა), იგუოდალა (21+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), უილიამსი (17+6 პასი), ჰოვსი (11+10 მოხსნა).

**მ:** ბოგუტი (20+11 მოხსნა+3 დაფარება), ჰარისი (12), ლეიერი (11), უდრიხი (10), ჯექსონი (9+9 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**კლიპერსი–ნიუ ჯერსი 101:91**

32:17, 21:23, 21:23, 27:28

**კ:** გრიფინი (23+14 მოხსნა), ბატლერი (20+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ბილაპსი (20), ფოიე (13+10 პასი), ჯორდანი (12+9 მოხსნა).

**ნ-ჯ:** ბრუქსი (19+8 მოხსნა), ოჭური (15), ჰემფრიზი (14+7 მოხსნა), უილიამსი (14+6 პასი), პეტრო (10).

**ბოსტონი–ოკლაჰომა 88:97**

17:25, 22:21, 23:26, 25:26

**ბ:** პირსი (24+5 მოხსნა), პიეტრუსი (14), გარნეტი (12+12 მოხსნა+5 პასი), ო'ნილი (12+11 მოხსნა), რონდო (12+9 მოხსნა+9 პასი).

**ო:** დურანტი (28+7 მოხსნა), უესტბრუკი (26+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), სეფოლოშა (19+5 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**ნიუ იორკი–ორლანდო 93:102**

23:17, 28:28, 24:28, 18:29

**ნ-ი:** ენტონი (33+8 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), შუმპერტი (12+3 ჩაჭრა), დუგლასი (12), სტაუდმაიერი (10+3 ჩაჭრა).

**ო:** ანდერსონი (30+7 მოხსნა), რედიკი (21), თურქოგლუ (15), დევისი (12+6 მოხსნა), ნელსონი (8+7 პასი+5 მოხსნა), ჰოვარდი (8+10 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 15 | 12 | 3 | 80.0 |
| 2. ფილადელფია* | 13 | 10 | 3 | 76.9 |
| 3. ინდიანა | 12 | 9 | 3 | 75.0 |
| 4. ორლანდო* | 12 | 9 | 3 | 75.0 |
| 5. ატლანტა | 14 | 10 | 4 | 71.4 |
| 6. მაიამი | 12 | 8 | 4 | 66.7 |
| 7. კლივლენდი | 12 | 6 | 6 | 50.0 |
| 8. ნიუ იორკი | 13 | 6 | 7 | 46.2 |
| 9. მილუოკი | 12 | 4 | 8 | 33.3 |
| 10. ბოსტონი | 12 | 4 | 8 | 33.3 |
| 11. ტორონტო | 14 | 4 | 10 | 28.6 |
| 12. დეტროიტი | 13 | 3 | 10 | 23.1 |
| 13. ნიუ ჯერსი | 14 | 3 | 11 | 21.4 |
| 14. შარლოტი | 14 | 3 | 11 | 21.4 |
| 15. ვაშინგტონი | 13 | 1 | 12 | 7.7 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა* | 14 | 12 | 2 | 85.7 |
| 2. კლიპერსი* | 10 | 7 | 3 | 70.0 |
| 3. სან ანტონიო* | 13 | 9 | 4 | 69.2 |
| 4. ლეიკერსი | 15 | 10 | 5 | 66.7 |
| 5. იუტა | 12 | 8 | 4 | 66.7 |
| 6. პორტლენდი | 13 | 8 | 5 | 61.5 |
| 7. დენვერი | 13 | 8 | 5 | 61.5 |
| 8. დალასი | 14 | 8 | 6 | 57.1 |
| 9. მემფისი | 12 | 6 | 6 | 50.0 |
| 10. ჰიუსტონი | 13 | 6 | 7 | 46.2 |
| 11. მინესოტა | 13 | 5 | 8 | 38.5 |
| 12. ფინიქსი | 12 | 4 | 8 | 33.3 |
| 13. გ. სტეიტი | 12 | 4 | 8 | 33.3 |
| 14. საკრამენტო | 14 | 4 | 10 | 28.6 |
| 15. ნიუ ორლეანი | 13 | 3 | 10 | 23.1 |

* - დივიზიონის ლიდერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# რეკორდსმენი დეტროიტი

რეგულარული ჩემპიონატის მორიგ სათამაშო დღეს გამორჩეული შეხვედრა გაიმართა დეტროიტში, სადაც ადგილობრივი "რედ უინგზი" "ბაფალოს" მასპინძლობდა. სამი შვედი ლეგიონერის წყალობით, "დეტროიტმა" პრაქტიკულად პირველ პერიოდში გაიფორმა გამარჯვება. პირველ 20-წუთეულში ზედიზედ აილეს **რაიან მილერის** კარი **ზეტერბერგმა, ფრანცენმა** და **ლიდსტრიომმა**. ამას მეორე პერიოდში კიდევ ორი გოლი მოჰყვა და „სეიბრზმა" მეკარე მილერი **ენტორით** შეცვალა. სტუმრებს შაიბა აღარ გაუშვიათ, მაგრამ ვერც თავად გაიტანეს, რაშიც დეტროიტელთა კარის დარაჯის **ჰოვარდის** დიდი წვლილია – მან 27 დარტყმა მოიგერია და შატაუტი გააკეთა.

გამორჩეული კი ეს მატჩი ორი რამით იყო. ჯერ ერთი, "დეტროიტმა" ზედიზედ მე-15 საშინაო გამარჯვება მოიპოვა და ამით საკლუბო რეკორდი დაამყარა. გარდა ამისა, სამი საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში **პაველ დაციუკმა** და NHL-ში 700 ქულამდე აიყვანა თავისი მონაგარი.

"დეტროიტისთვის" გუშინ ერთადერთი ცუდი ამბავი ის იყო, რომ მოიგო "სენტ ლუისმა", რამაც "რედ უინგზს" პირველი ადგილი წაართვა დივიზიონში. "ბლუზმენებმა" რთულ მატჩში დაამარცხეს "დალასი" – ერთადერთი შაიბა მატჩის ბოლოს **ოშიმ** გაიტანა, რომელმაც ლამაზად მოატყუა **პერონი**. "სენტ ლუისი" ამ მოგებით დივიზიონისა და კონფერენციის ლიდერი გახდა, ლიგაში კი მეორე გუნდი გახლავთ.

"ბოსტონთან" ბულიტებით წაგების მიუხედავად, დივიზიონში ლიდერობა დაიბრუნა "ფლორიდამ". "დათვები" ორჯერ გავიდნენ წინ **პატრის ბერჟერონის** მონდომებით, მაგრამ "პანტერებმა" მაინც მიიყვანეს საქმე ბულიტების სერიამდე, სადაც "ბოსტონმა" **კრეისის** ზუსტი დარტყმით მოიგეს. სტენლის თასის მფლობელმა ერთ ქულამდე შეამცირა "რეინჯერსთან" ჩამორჩენა და ყველა ელოდება ამ გუნდების შეხვედრას, რომელიც 21 იანვარს გაიმართება.

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა "ვინიპეგმა", რომელმაც სტუმრად "ოტავას" 2:0 მოუგო. "სენატორებმა" ამ სეზონში პირველად დატოვეს მოედანი გატანილი გოლის გარეშე, "ჯეტსმა" კი შეწყვიტა ორმატჩიანი წაგებათა სერია და ოდნავ მიუახლოვდა პლეი ოფის ზონას – მერვე ადგილზე მყოფ "პიტსბურგს" ერთი ქულით ჩამორჩება. "ოტავა" კი კომფორტულად გრძნობს თავს მეხუთე პოზიციაზე.

"ბაფალოს" მსგავსად, გუშინ თავი შეირცხვინეს "კოლორადოს" ჰოკეისტებმა, რომლებიც "ფინიქსთან" 1:6 განადგურდნენ. კარიერაში საიუბილეო – მე-40 დუბლი შეასრულა **შეინ დოუნმა**. ასევე ორი გოლი გაიტანა **გორდონმა**. სწორედ ამ ორი ჰოკეისტის ზედიზედ ოთხი გოლის წყალობით ანგარიში გახდა 5:1 "ფინიქსის" სასარგებლოდ. აღსანიშნავია, ფორვარდ **ჟილბერ ბრიულის** ორი ქულა. ეს ჰოკეისტი "ედმონტონმა" ტრანსფერზე დააყენა და ის ცოტა ხნის წინ აიყვანეს "კოიოტებმა". მატჩის გმირი კი მეკარე **მაიკ სმიტი** გახდა, რომელმაც კოლორადელოთა 38 დარტყმა მოიგერია. "ვინიპეგის" მსგავსად, "ფინიქსიც" ერთი ქულით არის დაშორებული პლეი ოფის ზონას.


პაველ დაციუკი

## კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ოტავა სენატორზის" მეკარე **კრეიგ ანდერსონი** დაასახელა. მან თავის გუნდს სამიდან სამ შეხვედრაში მოაგებინა. ის საშუალოდ მატჩში 0.98 შაიბას უშვებდა, მეტოქეთა დარტყმების 97 პროცენტს იგერიებდა და ერთი "შატაუტიც" ჩაიწერა აქტივში. სხვათა შორის, ანდერსონი წინა კვირას მესამე ვარსკვლავი იყო.

მეორე ვარსკვლავი გახდა "ჩიკაგოს" ფორვარდი **ვიქტორ სტალბერგი**, რომლის ხუთმა გოლმა და ერთმა საგოლე პასმა "ბლეკჰოქსს" რვა შესაძლებლიდან შვიდი ქულა მოაპოვებინა. სტალბერგის ანგარიშზე 14 გოლი, 14 შედეგიანი პასი და 28 ქულა მოდის – სამივე მაჩვენებელი მისი პირადი კარიერის რეკორდია.

კვირის მესამე ვარსკვლავიც ფორვარდია – "პიტსბურგის" რუსი ლეგიონერი **ევგენი მალკინი** შვიდი ქულით (5+2) გასული შვიდი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მალკინი ამჟამად 51 ქულით (21+30) ლიგის მეორე ბომბარდირია **ჰენრიკ სედინის** შემდეგ.

**აილენდერსი–ნეშვილი 1:3**

0:3, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ს. კოსტიცინი-11 (ელისი-3), 0:2 ჰალიშჩუკი-10, 0:3 ლეგუანდი-13 (ერატი-20, კ. უილსონი-16), 1:3 ტავარესი-16 (მოულსონი-19, ოკსოპო-11).

**ფინიქსი–კოლორადო 6:1**

2:1, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ბრიული-1 (იენდლი-21, პიატი-7), 1:1 კობესიუ-6 (ე. ჯონსონი-17, მაკლემანი-5), 2:1 დოუნი-13 (იენდლი-22), 3:1 დოუნი-14 (სამერსი-1, რეი უიტნი-23), 4:1 ბ. გორდონი-4 (რეი უიტნი-24, მორისი-8), 5:1 ბ. გორდონი-5 (ვრბატა-16, სამერსი-2), 6:1 კლესლა-2 (ბრიული-1, ჩიპჩურა-9).

**ოტავა–ვინიპეგი 0:2**

0:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 სლეიტერი-8 (ტორნბურნი-4), 0:2 ენსტრიომი-2 (უელვუდი-16, ლედი-7).

**ფლორიდა–ბოსტონი 2:3 (ბ)**

0:1, 2:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 პ. ბერჟერონი-13 (პულიო-8, სეგუინი-22), 1:1 გარისონი-12 (ვივერი-10, ბრედლი-5), 1:2 პ. ბერჟერონი-14 (სეგუინი-23), 2:2 მატიასი-8 (კოპეცკი-13, ვეისი-23).

**ბულიტები გაიტანეს:** ვეისი (ფლორიდა), პ. ბერჟერონი (ბოსტონი), კრეისი (ბოსტონი).

**დეტროიტი–ბაფალო 5:0**

3:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ზეტერბერგი-9 (ჰუდლერი-16), 2:0 ფრანცენი-18 (დაციუკი-34, ბერტუცი-13), 3:0 ლიდსტრიომი-9 (ბერტუცი-14, დაციუკი-35), 4:0 ბერტუცი-9 (დაციუკი-36), 5:0 ჰელმი-5 (დ. მილერი-8, ქლირი-11).

**სტ. ლუისი–დალასი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 ოში-14 (პერონი-12, პიეტრანჯელო-14).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი* | 43 | 28 | 11 | 4 | 60 |
| 2. ბოსტონი* | 42 | 29 | 12 | 1 | 59 |
| 3. ფლორიდა* | 44 | 21 | 14 | 9 | 51 |
| 4. ფილადელფია | 43 | 26 | 13 | 4 | 56 |
| 5. ოტავა | 47 | 25 | 16 | 6 | 56 |
| 6. ნიუ ჯერსი | 44 | 25 | 17 | 2 | 52 |
| 7. ვაშინგტონი | 43 | 24 | 17 | 2 | 50 |
| 8. პიტსბურგი | 44 | 23 | 17 | 4 | 50 |
| 9. ტორონტო | 44 | 22 | 17 | 5 | 49 |
| 10. ვინიპეგი | 45 | 21 | 19 | 5 | 47 |
| 11. ბაფალო | 45 | 19 | 21 | 5 | 43 |
| 12. მონრეალი | 45 | 17 | 20 | 8 | 42 |
| 13. კაროლინა | 47 | 16 | 24 | 7 | 39 |
| 14. აილენდერსი | 43 | 16 | 21 | 6 | 38 |
| 15. ტამპა ბეი | 44 | 17 | 23 | 4 | 38 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. ლუისი* | 45 | 27 | 12 | 6 | 60 |
| 2. ვანკუვერი* | 46 | 28 | 15 | 3 | 59 |
| 3. სან ხოსე* | 42 | 25 | 12 | 5 | 55 |
| 4. ჩიკაგო | 46 | 27 | 13 | 6 | 60 |
| 5. დეტროიტი | 45 | 29 | 15 | 1 | 59 |
| 6. ნეშვილი | 45 | 26 | 15 | 4 | 56 |
| 7. ლოს ანჯელესი | 46 | 22 | 15 | 9 | 53 |
| 8. მინესოტა | 45 | 22 | 16 | 7 | 51 |
| 9. კოლორადო | 47 | 24 | 21 | 2 | 50 |
| 10. დალასი | 44 | 24 | 19 | 1 | 49 |
| 11. ფინიქსი | 46 | 21 | 18 | 7 | 49 |
| 12. კალგარი | 46 | 21 | 20 | 5 | 47 |
| 13. ედმონტონი | 44 | 17 | 23 | 4 | 38 |
| 14. ანაჰაიმი | 44 | 15 | 22 | 7 | 37 |
| 15. კოლამბუსი | 44 | 12 | 27 | 5 | 29 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 52 (11+41) |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 51 (21+30) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 50 (30+20) |
| დანიელ სედინი (ვან) | 49 (19+30) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 49 (18+31) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 49 (13+36) |
| ფილ კესელი (ტორ) | 48 (24+24) |
| მარიან ჰოსა (ჩიკ) | 48 (17+31) |
| ჯეისონ სპეცა (ოტა) | 47 (19+28) |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 47 (19+28) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 30 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 24 |
| ფილ კესელი (ტორ) | 24 |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 24 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 23 |
| მილან მიხალეკი (ოტა) | 23 |
| რადიმ ვრბატა (ფინ) | 22 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 21 |
| მეტ მოულსონი (აილ) | 21 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 41 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 38 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 36 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 31 |
| მარიან ჰოსა (ჩიკ) | 31 |
| პი ეი პარენტო (აილ) | 30 |
| დანიელ სედინი (ვან) | 30 |
| ბრაიან კემპბელი (ფლო) | 30 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 30 |

ფორმულა 1

# ოფიციალურად: სენა უილიამსში

ბრაზილიელი პილოტი **ბრუნო სენა** 2012 წელს "უილიამსის" ღირსებას დაიცავს – ეს ინფორმაცია გუშინ ოფიციალურად დაადასტურა ბრიტანულმა საჯინიბომ. სენა ახალი მანქანის საჭესთან პირველად 9 თებერვალს, ხერესში გასამართავი ტესტებისას დაჯდება. როგორც იცით, წლევანდელ ჩემპიონატში ბრუნოს მეწყვილე ვენესუელელი პილოტი **პასტორ მალდონადო** იქნება.

*"უილიამსმა" თავის საპრიზო პილოტად ამირჩია და ეს ჩემთვის დიდი პატივია. ამ გუნდს უდიდესი მემკვიდრეობა გააჩნია და იმედი მაქვს, რომ ჩემს სახელს ჩავწერ მის ისტორიაში. შემოწმების პროცესი მეტად ინტენსიური გამოვიდა. იმ დროის განმავლობაში, რაც ამ გუნდის ბაზაზე გავატარე, დავრწმუნდი, რომ აქ შესანიშნავი ადამიანები მუშაობენ. გუნდს ყველა რესურსი აქვს იმისთვის, რომ წელს უფრო მაღალ შედეგებს მიაღწიოს.*

*ძალიან საინტერესო იქნება იმ გუნდთან თანამშრომლობა, რომელშიც ჩემი ბიძა გამოდიოდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ აქ მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც აირტონთან ერთად მუშაობდნენ. იმედი მაქვს, ძველი დროის გახსენების საბაბი გვექნება, თუმცა საკუთარი სიტყვის თქმასაც ვაპირებთ"*, - განაცხადა ბრუნო სენამ.


ბრუნო სენა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| არაუ-იანგ ბოიზი | 3:5 |
| ადმირა-რუჟომბეროკი | 1:0 |
| ნიტრა-მატერსბურგი | 1:1 |
| დინამო (დრ)-ნეფთჩი | 1:0 |
| ლევერკუზენი-გრააფსხაპი | 3:0 |
| ვინტერტური-სტ. გალენი | 0:0 |
| ბაზელი-ვიდეოტონი | 1:0 |
| ჰანზა-ვერდერი | 3:0 |
| პადერბორნი-ჰანოვერი | 2:3 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ტრანმერი-როჩდეილი | 0:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ჰეიესი-ებსფლიტი | 1:2 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| ლესტერი-ნოტინგემი | 4:0 |
| მილუოლი-დაგენჰემი | 5:0 |
| ბოლტონი-მაკლსფილდი | 2:0 |
| ქუინზ პარკი-მილტონი | 1:0 |

**League Trophy**

| | |
|---|---|
| ჩესტერფილდი-ოლდჰემი | *გადაიდო* |

**ესპანეთის თასი**

| | |
|---|---|
| ესპანიოლი-მირანდესი | 3:2 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გინგამი-ნანტი | 2:0 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ჰემილტონი-სტ. მირენი | 0:1 |
| კილმარნოკი-დანდი | 2:1 |

**საბერძნეთის თასი**

| | |
|---|---|
| ქსანტი-პანსერაიკოსი | 1:2 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბალიმენა-გლენტორანი | 0:3 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ლ. რიტასი | 81:67 (ო) |
| ბანვითი-კრკა | 77:65 |
| არისი-ხიმკი | 48:73 |
| ბუდუჩნოსტი-სპარტაკი | 57:65 |
| ვილერბანი-დონეცკი | 75:86 |
| გრაველინი-ვალენსია | 63:69 |
| ბენეტონი-ალბა | 72:64 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ნ. ნოვგოროდი-ბეშიქთაში | 64:75 |
| ვენტსპილსი-ლეიდენი | 69:73 |
| პარდუბიცე-ფუენლაბრადა | 73:79 |
| ჟოლნოკი-აალსტი | 112:76 |
| პინარი-ანტვერპენი | 70:51 |
| არტლანდი-ტრიუმფი | 83:74 |
| როანი-ოლდენბურგი | 86:80 |

**ხელბურთი**

**[illegible]**

**კაცები**

| | |
|---|---|
| გერმანია-მაკედონია | 24:23 |
| პოლონეთი-სლოვაკეთი | 41:24 |
| სერბეთი-დანია | 24:22 |
| შვედეთი-ჩეხეთი | 33:29 |

**წყალბურთი**

**ევ. ჩემპიონატი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| მაკედონია-საბერძნეთი | 6:10 |
| სერბეთი-გერმანია | 13:12 |
| ესპანეთი-რუმინეთი | 12:10 |
| ჩერნოგორია-ხორვატია | 8:10 |
| ჰოლანდია-უნგრეთი | 6:19 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავტომობილისტი-ატლანტი | 3:2 (ბ) |
| ბარისი-დინამო (რ) | 6:5 (ბ) |
| ტრაქტორი-სკა | 3:1 |
| ცსკა-ნეფტეხიმიკი | 4:1 |
| დინამო (მნ)-აკ ბარსი | 1:2 (ბ) |
| ლევ პოპრადი-ს. იულიაევი | 2:3 (ო) |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აკრონი-ლინცერი | 1:5 |
| ვენა-ალბა | 3:2 |
| ზალცბურგი-გრაცი | 6:3 |
| კლაგენფიურტი-ვილახი | 2:3 (ბ) |
| ზაგრები-ოლიმპია | 5:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 6:5 |
| ჰანოვერი-კიოლნი | 2:3 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტიერნენი-სპარტა | 0:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კალპა-ჰპკ | 4:1 |
| კერპეტი-იუვიასკიულა | 5:4 (ო) |
| პელიკანსი-ლუკო | 3:1 |
| საიპა-ტპს | 4:0 |
| ჰიფკ-ტაპარა | 2:3 |
| ესეტი-ილვესი | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ლიბერეცი | 1:0 |
| კლადნო-ბრნო | 3:2 |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 4:1 |
| ბოლესლავი-ბუდეიოვიცე | 3:0 |
| სლავია-ზლინი | 2:1 (ო) |
| სპარტა-პლზენი | 4:3 (ბ) |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ციურიხი-ბილი | 2:5 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| იურგორდენი-ტიმრა | 3:0 |

TV პროგრამა

**18 იანვარი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. ალკმაარი.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. ვიტესი.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. XVIII ტური. კატანია-რომა.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XX ტური. პსჟ-ტულუზა.
16:00 იტალიის ჩემპიონატი. XVIII ტური. იუვენტუსი-კალიარი.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXI ტური. ჩელსი-სანდერლენდი.
21:00 იტალიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის თასი. ფინალი. რეალი-ბარსელონა.
01:00 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. რეალი-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. აიაჩო-ოსერი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-სან ანტონიო.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლონდონ აირიში-კარდიფ ბლუზი.
19:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - სპორტის სამყაროში.
20:45 საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
21:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-სან ანტონიო.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. I ტური. ოლიმპიაკოსი-ცსკა (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სტოკი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ბოსტონი.
22:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. არლეკინსი-გლოსტერი.
00:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.

ჩოგბურთი

# ვილანდერი საავადმყოფოში

ლეგენდარულმა შვედმა ჩოგბურთელმა, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **მატს ვილანდერმა** მელბურნში, საკუთარ სახლში ტრავმა მიიღო. ვილანდერი იატაკზე უხერხულად დაეცა, რის გამოც თირკმელი გაუსკდა და ამან სისხლდენა გამოიწვია. ახლა ჩოგბურთელი საავადმყოფოშია და საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ინციდენტი შაბათს მოხდა, მაგრამ მის შესახებ მხოლოდ სამი დღის შემდეგ გახდა ცნობილი. დეტალების შესახებ პრესა არაფერს იტყობინება.

47 წლის ვილანდერმა გასული საუკუნის 80-იან წლებში შვიდჯერ გაიმარჯვა "დიდი სლემის" ტურნირებზე: სამ-სამჯერ მოიგო ავსტრალიისა და აშშ-ის ღია პირველობა და ერთხელ როლან გაროსი.

დღეისთვის შვედი ლეგენდა ტელეარხ Eurosport-თან თანამშრომლობს – ის ექსპერტი და მატჩების კომენტატორია. "დიდი სლემის" ტურნირების დროს ეთერში გადის მისი გადაცემა – "გეიმი, სეტი და მატსი", თუმცა გასაგები მიზეზის გამო, მიმდინარე ავსტრალიის ღია პირველობაზე ვილანდერის კომენტარებს ვერ მოვისმენთ.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა


ნოვაკ ჯოკოვიჩი

# ჯოკოვიჩს ყველაფერი წესრიგში აქვს

ავსტრალიის ღია პირველობის მეორე დღეს ჩაება ბრძოლაში მსოფლიოს პირველი ჩოგანი და მოქმედი ჩემპიონი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. სერბს გუშინ იოლი გასეირნება გამოუვიდა 30 წლის იტალიელ **პაოლო ლორენცის** წინააღმდეგ.

თავდაპირველად, ჯოკოვიჩს გაუჭირდა ავსტრალიურ სიცხესთან ადაპტირება, რის გამოც მისმა მეტოქემ მოულოდნელი ბრეიკი გააკეთა და 2:1 დაწინაურდა. ამით აპენინელის წარმატებები დასრულდა - აქედან მოყოლებული ლორენციმ ვერც ერთი გეიმის აღება ვერ შეძლო. მხოლოდ ერთხელ, მეორე სეტის სტარტზე შეძლო მან მეორე ბრეიკის გაკეთება, მაგრამ ნოვაკის ბოლო საჩუქარი - სამმაგი ბრეიკ-პოინტი ქარს გაატანა.

საბოლოოდ, ჯოკოვიჩმა ზედიზედ 17 გეიმი მოიგო და შეხვედრა საათსა და 32 წუთში დაასრულა. მან ეს შეხვედრა აშკარა ვარჯიშად აქცია და რამდენიმე სათამაშო ელემენტის დახვეწით იყო დაკავებული. მაგალითად, ხშირად გადიოდა ბადესთან და 26 ასეთი შემთხვევიდან 21 წარმატებული გამოდგა.

■ ■ ■

მცირე სასტარტო პრობლემებს წააწყდნენ სხვა ფავორიტები - **ენდი მიურეი** და **ჟო-ვილფრიდ ცონგა**, რომლებიც, ბადის მიხედვით მეოთხედფინალში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. ბრიტანელს უპირისპირდებოდა პერსპექტიული ამერიკელი, 19 წლის **რაიან ჰარისონი**, რომელიც შარშან ზაფხულში ტოპ-ასეულში შევიდა. პირველი სეტი რაიანმა ძალიან კარგ დონეზე ჩაატარა - შესანიშნავად ათამაშებდა ბურთს, უნარიანად უმკლავდებოდა ენდის შეტევებს და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. მაგრამ მეტის გაკეთება ჰარისონმა ვერ შეძლო. ის ოდნავ დაიღალა და თამაშის დონეს უკლო, მიურეიმ კი პირიქით, უკეთ მოქმედება დაიწყო და საბოლოოდ, ზედიზედ სამი სეტი აიღო.

ცონგას მატჩში მოვლენები სხვაგვარად ვითარდებოდა. მისი მეტოქე **დენის ისტომინი** ბოლომდე იბრძოდა მოგებისთვის. თანაც ორივე ჩოგბურთელი კარგ ფორმაში შეხვდა ტურნირს, რისი წყალობითაც მაყურებელმა ბევრი ლამაზი გათამაშება იხილა. პირველი სეტი ფრანგს დარჩა, მეორეში უზბეკმა ბრეიკი დაიბრუნა და საბოლოოდ, უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მაგრამ შემდეგ თავისი გაიტანა მსოფლიოს მეექვსე ჩოგანის კლასმა - მან დამაჯერებლად აიღო მესამე პარტია, რასაც მეოთხე სეტში მოგება მოჰყვა.

■ ■ ■

სხვა მატჩებიდან გამოვყოფთ **ლეიტონ ჰიუიტისა** და **სედრიკ-მარსელ შტებეს** შეხვედრას. ცაცია გერმანელი შარშან შესანიშნავად გამოდიოდა ჩელენჯერებზე, წლის ბოლოს კი ჩოგბურთის ისტორიაში ჩაწერა თავისი სახელი - სან პაულუში ჩელენჯერის სერიის პირველი შემაჯამებელი ჩემპიონატი მოიგო. მაგრამ ვეტერანმა ავსტრალიელმა, რომელმაც ტრავმების გამო დაკარგა ადგილი ტოპ-ასეულში, ძველი დრო გაიხსენა და გამარჯვება მოიპოვა. ამასთან, მეოთხე სეტში ჰიუიტმა პატარა სასწაული მოახდინა, როცა 2:5-დან შეძლო სეტისა და მატჩის მოგება. აღსანიშნავია, რომ მატჩის მსვლელობისას შტებემ სამჯერ აიღო სამედიცინო ტაიმ-აუტი. ლეიტონს კი მეორე წრეში ერთგვარი რეტრო-მატჩი ელის ამერიკელ **ენდი როდიკთან**.

პირველი დღისგან განსხვავებით, ამჯერად ნაკლები იყო ხუთსეტიანი მატჩების რაოდენობა. ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრაში სერბმა **ვიქტორ ტროიცკიმ** 0:2-დან გადაარჩინა ესპანელ **ხუან-კარლოს ფერეროსთან** მატჩი (სხვათა შორის წინა დღესაც ორი სეტის მოგების შემდეგ ასევე ესპანელი ჩოგბურთელი დამარცხდა - **ფერნანდო ვერდასკომ** წააგო **ბერნარდ ტომიჩთან**).

კიდევ ერთ ხუთსეტიან მატჩში წააგო რუსმა **მიხაილ იუჟნიმ**, რომელიც ყოფილ თანამემამულესთან, ამჟამად ყაზახეთის სახელით მოასპარეზე **ანდრეი გოლუბევთან** დამარცხდა. პირველ წრეში ხუთი რუსი გამოეთიშა ბრძოლას. მართალია, ტურნირს შემორჩა ამ ქვეყნის სახელით მოასპარეზე **ალექს ბოგომოლოვი**, მაგრამ მას რუსულ ჩოგბურთთან არანაირი კავშირი არ აქვს, რადგან ამერიკაშია გაზრდილი და დაოსტატებული და სულ ცოტა ხნის წინ გადაწყვიტა რუსეთის დროშის ქვეშ გამოსვლა.

## კაცები

### I წრე

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-პაოლო ლორენცი (იტა) 6:2, 6:0, 6:0; **სანტიაგო ხირალდო (კოლ)**-მატეო ვიოლა (იტა) 6:4, 6:2, 6:1; **ტაცუმა იტო (იაპ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:3, 4:6, 6:3, 6:4; **ნიკოლა მაუ (საფ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 29) 7:5, 7:5, 6:3; **მილოშ რაონიჩი (კან, 23)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:4, 6:0, 6:2; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-ლუკაშ როსოლი (ჩეხ) 6:0, 6:0, 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-სებრიკ-მარსელ შტებე (გერ) 7:5, 6:4, 3:6, 7:5; **ენდი როდიკი (აშშ, 15)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:3, 6:4, 6:1; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 9)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 5:7, 7:6(12), 6:3, 6:4; **ჯეიმს დაკუორტი (ავსტრა)**-იურგენ ზოპი (ესტ) 6:3, 6:4, 6:4; **ანდრეი გოლუბევი (ყაზ)**-მიხაილ იუჟნი (რუს) 7:5, 6:7(4), 6:4, 4:6, 6:3; **რიშარ გასკე (საფ, 17)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:3, 3:6, 6:3, 6:1; **ხუან-იგნასიო ჩელა (არგ, 27)**-მაიკლ რასელი (აშშ) 7:6(3), 6:3, 6:4; **პაბლო ანდუხარი (ესპ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:1, 7:6(12), 6:0; **რაიან სვიტინგი (აშშ)**-მატიას ბახინგერი (გერ) 6:4, 6:4, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-რუი მაშადო (პორ) 6:1, 6:4, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 4:6, 6:3, 6:4, 6:2; **ედუარდ როჟე ვასელენი (საფ)**-ქსავიე მალისე (ბელ) 7:6(6) უარი; **მიკაელ ლოდრა (საფ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 2:6, 6:1, 6:2, 6:2; **ალექს ბოგომოლოვი (რუს, 32)**-დანიელ ხიმენო-ტრავერო (ესპ) 6:3, 6:2, 6:4; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 19)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 4:6, 6:7(3), 6:2, 7:6(3), 6:2; **მიხაილ კუკუშკინი (ყაზ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:4, 6:3, 6:0; **ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-დუდი სელა (ისრ) 7:6(5), 6:4, 6:3; **გაელ მონფილსი (საფ, 14)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 7:6(5), 6:3, 6:3; **ჟილ სიმონი (საფ, 12)**-დანაი უდომჩოკე (ტაივ) 6:1, 3:6, 6:7(5), 6:3, 6:2; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-კაროლ ბეკი (საფ) 6:4, 6:2, 7:5; **მეტიუ ებდენი (ავსტრა)**-ჟოაო სოუზა (ბრა) 6:3, 7:6(1), 6:2; **კეი ნიშიკორი (იაპ, 24)**-სტეფან რობერი (საფ) 6:1, 7:6(7), 6:0; **მარსელ გრანოლერსი (ესპ, 26)**-იესე ლევინი (აშშ) 6:0, 7:6(4), 5:7, 5:7, 6:3; **ფრედერიკო ჟილი (პორ)**-ივან დოდიგი (ხორ) 2:6, 6:1, 6:1, 4:1 უარი; **რიკარდო მელო (ბრა)**-რობერტო ბაუტისტა-აგუტი (ესპ) 6:4, 6:4, 7:5; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:4, 3:6, 6:2, 7:5.

# ავსტრალიამ იმედი დაკარგა

მეორე დღეს მოხდა ავსტრალიის ღიაზე ჯერჯერობით ყველაზე დიდი სენსაცია, რამაც ძალიან გააწბილა ავსტრალიური პუბლიკა. ადგილობრივ გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ **სამანტა სტოსური** შარშან, ამერიკის ღია პირველობის მოგების შემდეგ იმავე შედეგს საკუთარ კედლებშიც მიაღწევდა.

ავსტრალიელ ჩოგბურთელებს უკვე დიდი ხანია არ მოუგიათ საკუთარი ქვეყნის ღია პირველობა. ქალებს შორის ბოლო მასპინძელი ტრიუმფატორი იყო **კრის ო'ნილი**, რომელმაც 1978 წელს მოიგო მთავარი პრიზი. კაცებს შორის ეს უიღბლო სერია ოდნავ უფრო შორიდან - 1976 წლიდან იწყება. აქ ბოლო ავსტრალიელი ჩემპიონი **მარკ ედმონდსონი** იყო.

როგორც ჩანს, ავსტრალიელებმა მინიმუმ ერთი წლით უნდა გადადონ ადგილობრივი ჩოგბურთელის ტრიუმფი, რადგან გუშინ სტოსურმა მოულოდნელად ორ სეტში წააგო რუმინელ **სორანა კირსტეასთან** - 6:7(2), 3:6. მასპინძლის დამარცხება უამრავი შეცდომის ბრალი იყო - სამანტას ჯამში 33 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა.

საერთოდ, სტოსურს ყოველთვის უჭირდა ავსტრალიის ღიაზე თამაში და აქ მეოთხე რაუნდზე შორს არასოდეს გასულა. სულ მას „მელბურნ პარკის" კორტებზე ათჯერ აქვს ნათამაშები და სამჯერ გავარდა პირველი წრიდან.

■ ■ ■

სხვა ფავორიტებმა წარმატებით აიღეს სტარტი. ჩეხ **პეტრა კვიტოვას** მეტოქედ რუსი **ვერა დუშევინა** ჰყავდა, რომელმაც 2005 წელს მელბურნში მოულოდნელად მერვედფინალში გააღწია, მაგრამ მას შემდეგ „დიდი სლემის" ტურნირებზე თავი არაფრით გამოუჩენია.

მიუხედავად ამისა, მატჩის სტარტი ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. დუშევინამ პირველი ორი გეიმი მოიგო, რითაც მეტოქე რთულ მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ კვიტოვამ მალე გამოასწორა თამაში და დარჩენილ გეიმებში რუსმა ჩოგბურთელმა ვერც ერთი (!) ქულა ვერ აიღო.

მეორე სეტის დასაწყისიც ჩეხი ჩოგბურთელის კარნახით დაიწყო. კვიტოვამ პირველივე გეიმში სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ დუშევინამ გაიბრძოლა, გეიმში ანგარიში გაათანაბრა და გეიმბოლიც მოიპოვა, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლო. პეტრამ მეოთხე ბრეიკ-პოინტი მეტოქის შეცდომის წყალობით გარდასახა მოგებულ ქულაში. რუსის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ სეტში მან თითქმის ყველა გეიმში ღირსეულად იბრძოლა, მაგრამ პარტია მაინც 0:6 წააგო.

გუშინ, პრაქტიკულად ყველა რუს ფავორიტს გაუჭირდა - **კუზნეცოვამ, ზვონარევამ** და **პეტროვამ** თითო სეტი დაუთმეს მეტოქეებს. მხოლოდ **მარია შარაპოვამ** აჩვენა დამაჯერებელი თამაში. არადა, მისი თაყვანისმცემლები ოდნავი შიშით ელოდნენ მარიას შეხვედრას არგენტინელ **ხისელა დულკოსთან**, რადგან ყველას ახსოვდა 2009 წლის უიმბლდონი, როცა სამხრეთამერიკელმა რუსი პირველი წრიდან გამოთიშა ბრძოლას. ამჯერად, შარაპოვას ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. მარია ძლიერად და დამაჯერებლად მოქმედებდა და მხოლოდ ერთი გეიმი გაიმეტა მეტოქისთვის.

■ ■ ■

გუშინდელი სათამაშო დღე ამერიკელმა ფავორიტმა **სერენა უილიამსმა** დაასრულა. შარშან მას მელბურნში ტრავმის გამო არ უთამაშია, მანამდე კი, 2009 და 2010 წლებში მელბურნში ტიტული მოიპოვა, ასე რომ, ავსტრიელ **ტამირა პაჩეკთან** შეხვედრას 14-მატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა.

უმცროს უილიამსს 46-ჯერ უთამაშია „დიდი სლემის" ტურნირებზე და არასოდეს დამარცხებული პირველ წრეში. სერენამ გააგრძელა ეს სერია, თანაც ძალიან იოლად გააკეთა ეს. გარკვეულ დრომდე ავსტრიელი ინარჩუნებდა თანაბარ ანგარიშს, მაგრამ პირველი სეტის ბოლოს ამერიკელმა მოუმატა და ასე საჭირო ბრეიკი გააკეთა.

ასევე პირველ ბრეიკამდე იყო ბრძოლა მეორე სეტში. სერენამ მეხუთე გეიმში აიღო მეტოქის მოწოდება, რასაც ზედიზედ ოთხი ეისი დაუმატა და საბოლოოდ გატეხა პაჩეკის წინააღმდეგობა. სულ მალე უილიამსმა ოფიციალურად გაიფორმა მეორე წრეში გასვლა. ამერიკელმა აქტიურად ითამაშა და 34 „ვინერსი" დააფიქსირა, თუმცა ასევე ბევრი ჰქონდა (26) უნებლიე შეცდომა.

## ქალები

### I წრე

**ვერა ზვონარევა (რუს, 7)**-ალექსანდრ დულგერუ (რუმ) 7:6(4), 6:7(5), 6:3; **ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ)**-ევგენია როდინა (რუს) 6:3, 6:1; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:0, 2:6, 6:0; **კაია კანეპი (ესტ, 25)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:2, 6:4; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 17)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:3, 6:1; **გრეტა არნი (უნგ)**-რებეკა მარინო (კან) 6:4, 6:2; **ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ)**-ირინა ბრემონი (საფ) 6:0, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 12)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:3, 6:2; **საბინ ლისიცკი (გერ, 14)**-სტეფანი ფოგელი (შვეიც) 6:2, 4:6, 6:4; **შაარ პეერი (ისრ)**-იზაბელა ჰოლანდი (ავსტრა) 6:2, 6:0; **სლოუნ სტივენსი (აშშ)**-სილვია სოლერი (ესპ) 6:4, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 18)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:3, 3:6, 6:0; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 30)**-ბოიანა ბობულიჩი (ავსტრა) 6:1, 6:3; **სტეფანი დუბუა (კან)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:4, 1:6, 6:4; **ჯეიმი ჰემპტონი (აშშ)**-მენდი მინელა (ლუქ) 6:1, 6:1; **მარია შარაპოვა (რუს, 4)**-ხისელა დულკო (არგ) 6:0, 6:1; **სორანა კირსტეა (რუმ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 6) 7:6(2), 6:3; **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-ელისონ რისკე (აშშ) 6:4, 1:6, 6:2; **სარა ერანი (იტა)**-ვალერია სავინიხი (რუს) 6:2, 6:1; **ნადია პეტროვა (რუს, 29)**-ანდრეა ჰავაჩკოვა (ჩეხ) 6:3, 3:6, 6:0; **რობერტა ვინჩი (იტა, 23)**-ალექსანდრა კადანტუ (რუმ) 6:0, 6:1; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-მედისონ კეისი (აშშ) 6:2, 6:1; **ელენა დოკიჩი (ავსტრა)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 6:2, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 9)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 7:5, 6:0; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 15)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 7:6(5), 6:1; **ვანია კინგი (აშშ)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 7:6(3), 6:3; **მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 6:3, 7:6(13); **ანა ივანოვიჩი (სერ, 21)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:0, 6:3; **მარია კირილენკო (რუს, 27)**-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა) 6:4, 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-შუაი ჟანგი (ჩინ) 6:3, 6:3; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-ირინა-კამელინა ბეგუ (რუმ) 6:1, 7:5; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 2)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:2, 6:0.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


სორანა კირსტეა

ეროვნული ბიბლიოთეკა